www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

შაბათი, 5 ივნისი, 2004 წელი. №132 (681)

ფასი 50 თეთრი

ოსური კვანძის გახსნა შეიძლება

აცხადებს საქართველოს პარლამენტი

ლევან ხარბედლიძის ფოტო

გიორგი ასანიშვილი

საქართველოს პარლამენტი ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების შესაძლებლობას საკმაოდ ოპტიმისტურად უყურებს. "დღეს უკვე არსებობს ყველა პოლიტიკური და ეკონომიკური წინაპირობა ქართულ-ოსური კონფლიქტის საბოლოოდ მოსაწესრიგებლად, რაც უნიკალურ პრეცედენტს შექმნის ყოფილ საბჭოთა სივრცეში არსებული ე.წ "გაყინული კონფლიქტების" პოლიტიკური მეთოდებით მოსაგვარებლად," - ნათქვამია ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მიერ 131 ხმით ერთსულოვნად მხარდაჭერილ განცხადებაში.

გაგრძელება A3 გვერდზე

სასუქი უკვე შეიტანეს...

"უთხარით მიშას, რომ კარგად მოიფიქროს და ადრინდელი შეცდომა არ დაუშვას. ქართველებსა და ოსებს შორის სისხლისღვრა არ უნდა განმეორდეს," - ასეთი დარიგება მიიღო საქართველოს პრეზიდენტმა ოსურ სოფელში მცხოვრები მოხუცი ქალბატონისგან.

საქართველოს პრეზიდენტის ტრადიციული საჩუქარი - 100 ტონამდე სასუქი (ამონიუმის გვარჯილა) გუშინ ოსურმა სოფლებმა დიდი გაჭირვებით, მაგრამ მაინც მიიღეს. მიუხედავად იმისა, რომ ორი დღის წინ ოფიციალური ცხინვალი აცხადებდა - "თქვენი სასუქი არ გვჭირდება, ნაკელი თავზესაყრელი გვაქვსო," - სასუქს ოსი მოსახლეობა მაინც დიდი სიხარულით შეხვდა. სოფლის მეურნეობის მინისტრსა და შიდა ქართლის გუბერნატორს სახელდახელო სუფრას უშლიან - ცხელი ლავაში, ლუდი და, რა თქმა უნდა, უგემრიელესი ოსური ხაჭაპური - ხაბიზგინები. ისმევა ქართველებისა და ოსების ძმობისა და მეგობრობის სადღეგრძელოები.

თუმცა, მანამდე ქართულ სასუქსა და მის ჩამომტანებს არაერთი პრობლემა შეექმნათ.

სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლება ჰუმანიტარული აქციისთვის ხელის შეშლას ცდილობდა. სოფელ წინაგარას შესასვლელთან სასუქით დატვირთულ "კამაზის" ტიპის ავტომანქანას გზა ოსურმა შეიარაღებულმა ფორმირებებმა გადაუკეტეს. ჰაერშიც გაისროლეს. სოფლის მეურნეობის მინისტრს დავით შერვაშიძეს და მხარის რწმუნებულს მიხეილ ქარელს ამ სოფელში სასუქის შემოვლითი გზებით შეტანა მოუწიათ - შემოვლითი გზები მათ თავად ოსური სოფლების მოსახლეობამ ასწავლა.

წინაგარა პირველი ოსური სოფელია, რომელმაც გუშინ საქართველოს პრეზიდენტის საჩუქარი მიიღო. იქ, ძირითადად, ოსი ეროვნების მოქალაქეები ცხოვრობენ. **"სასუქი რატომ არ უნდა გვინდოდეს, ყველაფრისთვის მადლობელი ვართ, ოღონდ ომი არ გვინდა, იარაღი არ გვინდა,"** - ამბობენ სოფლის უხუცესები.

ოსური სოფლებისთვის განკუთვნილ საპრეზიდენტო საჩუქარზე 300 ათასი ლარი დაიხარჯა - პრეზიდენტის ფონდიდან.

24 საათი

რატომ იცვამენ ფრანგები "ბაბაჯანას ქოშებს"?

რევაზ საყევარიშვილი

საქართველოს ხელისუფლების მიერ დეკლარირებული კურსი აბსოლუტურ საინვესტიციო კარგახსნილობაზე, თავისთავად, ამ ფართოდ გახსნილ კარში ყველა ჯურის და შესაძლებლობების მქონე ინვესტორის შემოსვლის ალბათობას უშვებს. მართალია, ჯერჯერობით, რუსული კაპიტალის გარდა, დიდ აქტივობას არავინ იჩენს, მაგრამ ეკონომიკაში რამდენიმე აქტიური ნაბიჯის გადადგმის შემდეგ, სავარაუდოდ, ინვესტორთა ინტერესი იმატებს. საგულისხმოა ისიც, რომ ქვეყანაში პოლიტიკური ამინდის მეტნაკლები დაწმენდის შემდეგ შესაძლებელი გახდა ადრე, ზოგიერთ შემთხვევაში წლების წინ დაწყებული პროექტების დასკვნით ფაზაში გადაყვანა. თუმცა, რამდენად მისაღები ფორმით ხდება ქვეყნის მეურნეობის სხვადასხვა სექტორებში ინვესტორების შემოყვანა, ეს უკვე სხვა საუბრის თემაა.

გაგრძელება A3 გვერდზე

ევროკავშირსა და რუსეთს შორის, შესაძლოა, სავაჭრო ომი დაიწყოს

მოსკოვის სამიტზე პროდი და პუტინი ურთიერთგაგებაზე საუბრობდნენ.

რევაზ ბახტაძე

ბრიუსელმა მოსკოვს მიანიშნა, რომ ევროპიდან ხორცის იმპორტის შეჩერების გამო, შესაძლოა, რუსეთს სავაჭრო სანქციები დაუწესოს.

ბრიტანული გაზეთი "ინდიფენდენტი" იუწყება, რომ 3 ივნისს ევროკავშირსა და რუსეთს შორის ურთიერთობები მას შემდეგ დაიძაბა, რაც რუსეთის მიერ ევროკავშირიდან ხორცის იმპორტის შეზღუდვის გამო, ბრიუსელმა სავაჭრო სანქციების დაწესება არ გამორიცხა.

ყოველწლიურად, ევროკავშირსა და რუსეთს შორის ხორცით ვაჭრობის მოცულობა 1.3 მილიარდ ევროს აღემატება. რუსეთის გადაწყვეტილება ბრიუსელმა პოლიტიკურ აქციად აღიქვა. არადა, ბოლო ხანებში ორ მხარეს შორის ურთიერთობები, თითქოს, დათბა და ორი კვირის წინ ევროკავშირმა განაცხადა, რომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანებას მხარს დაუჭერს.

სამშაბათიდან რუსეთმა საქონლისა და ღორის ხორცის იმპორტის დაბლოკვა დაიწყო. მოსკოვმა ევროკავშირის წევრსახელმწიფოებს ევროკომისიის მიერ გაცემული საერთო ვეტერინარული სერთიფიკატის გამოყენება მოსთხოვა. ამჟამად, თითოეული წევრი სახელმწიფო ეროვნული უწყებების მიერ გაცემულ დოკუმენტაციას წარადგენს, რომელიც საერთოევროპულ სტანდარტს შეესაბამება.

გაგრძელება A5 გვერდზე

პოლიტიკა

სალომე ზურაბიშვილის რევოლუციური მიდგომა

სალომე ზურაბიშვილი გაოცებულია რუსული მასმედიის რეაქციით, რომელიც კოლინ პაუელის მიერ რუსეთის სამხედრო ბაზების თემის წამოწევას მოჰყვა.

A2

პოლიტიკა

გუშინ მოსკოვში

ერთი "სეტკა" აფხაზური მანდარინი, ოსური ყველის ნაჭერი და ბოთლი აჭარული ნავთი საქართველოს საელჩოს პარმაღზე

A3

ეკონომიკა

ექსპერტები ერგნეთის ბაზრობის დახურვის შედეგების შესახებ

ჩრდილოვანი სექტორის შევიწროვებას თან სდევს მთელი რიგი უარყოფითი პროცესები, რომლის დარეგულირება ხელისუფლებას დროულად მართებს. წინაალმდეგ შემთხვევაში, ქვეყანაში კონტრაბანდის ახალი წყაროები გაჩნდება.

A4

უცხოეთი

ამერიკული დაზვერვა ტენეტის გარეშე

ჯორჯ ტენეტის გადადგომა პრეზიდენტმა ბუშმა მხოლოდ "პირადი ხასიათის მოტივებით" ახსნა, ექსპერტთა უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ დაზვერვის გავლენიანი შეფის თანამდებობა სამი წლის წინანდელმა 11 სექტემბრის ტრაგედიამ შეიწირა.

A5

საზოგადოება

დოქტორი ლევანი: არ მოწიოთ, არ დალიოთ, ერიდეთ სტრესებს

A6

ამინდი

	5/06	6/06
თბილისი	26	29
ქუთაისი	29	33
ბათუმი	28	33
სოხუმი	25	28
ფოთი	27	33
თელავი	24	27
ზუგდიდი	28	34
გორი	25	27
ახმეტა	26	27
ჭიათურა	28	31

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	1.9200
ევრო	2.3407
გირვანქა სტერლ.	3.5253
რუბლი	0.0661

A2 ამბები A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 პრობლემა

B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 გულახდილად B7 სხვადასხვა B8 სხვადასხვა

შვილის გამტაცებელი მამა დაკავებულია

ბოლო დღეებში მისი და მისი უწყების მისამართით გამოთქმულ ბრალდებებს შინაგან საქმეთა მინისტრი მშვიდად და აუღელვებლად პასუხობს.

გიორგიტა ბუხაიძის ფოტო

"არ არსებობს სტრუქტურა, სადაც კორუფცია არ მძვინვარებს. შინაგან საქმეთა სამინისტროს მისამართით გამოთქმული შეხედულებები და შენიშვნები სამართლიანი და მისაღებია, თუმცა ყველამ უნდა იცოდეს, რომ ასე უცებ მნიშვნელოვანი ცვლილებები ვერ მოხდება. სანამ შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმა ბოლომდე არ განხორციელდება, სირთულეები მუდმივად იქნება," - ასე მშვიდად და აუღელვებლად პასუხობს შინაგან საქმეთა მინისტრი ბოლო დღეებში მისი და მისი უწყების მისამართით გამოთქმულ ბრალდებებს. გიორგი ბარამიძე, როგორც თავად აცხადებს, ცუდს ვერ ხედავს იმაში, რომ მასაც და მისი უწყების მუშაობასაც მისივე გუნდის წევრები გააკრიტიკებენ. "თუ ვინმეს შენიშვნა აქვს, უნდა ითქვას," - აცხადებს გიორგი ბარამიძე და ცოტა ხანში სახეცვლილი პოლიციელების ხილვის იმედს იძლევა. თუმცა, გუშინ რეფორმებსა და ქვეშევრდომების "ნამოღვაწარზე" საუბარი გიორგი ბარამიძეს სულაც არ ჰქონდა დაგეგმილი. შინაგან საქმეთა სამინისტროში გამართული გუშინდელი სპეციალური ბრიფინგის თემა ახლად გახსნილი ერთი მძიმე დანაშაული გახლდათ.

საქმე ეხება ისეთ მძიმე დანაშაულს, როგორიც გატაცებაა.

როგორც გუშინ გაირკვა, შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის 15 მაისს მიუმართავს ერთ-ერთ ქალბატონს და საკუთარი რვა წლის ვაჟის, გიორგი იოსელიანის გატაცების ამბავი უცნობებია. გატაცებიდან 20 დღის თავზე დანაშაული გახსნილია. რაც ყველაზე სამწუხაროა, რვა წლის ბავშვის გამტაცებელი მისივე მამა აღმოჩნდა. ბაჩუკი იოსელიანი სამართალდამცველებმა გუშინ დააკავეს.

"მამა შვილის სანაცვლოდ ნათესავს - მოსკოვში მცხოვრებ ბიზნესმენს - 40 ათას დოლარს სძალავდა. გატაცების ამბავი არ გაგვიხმაურებია და არც უნდა გახმაურებულიყო, რადგან ბავშვის სიცოცხლე გასაფრთხილებელი იყო," - აცხადებენ შინაგან საქმეთა სამინისტროში. გიორგი ბარამიძის თქმით, ეს გახლავთ გატაცების პირველი ფაქტი მისი მინისტრის თანამდებობაზე დანიშვნის დღიდან. **" ჩვენ ვცდილობთ, ყველაფერი გავაკეთოთ იმისთვის, რომ მსგავსი სიმძიმის დანაშაული არ მოხდეს. მოხდა, მაგრამ გაწეული სერიოზული მუშაობის შედეგად მშვიდობიანად გაიხსნა. დამნაშავე პასუხს მთელი სიმკაცრით აგებს,"** - აცხადებს მინისტრი.

შვილის გამტაცებელ ბაჩუკი იოსელიანთან ერთად დაკავებულია მისი სამი თანამზრახველი.

"შეუძლებელი იყო, ვინმეს წარმოედგინა, რომ რვა წლის ბავშვის გამტაცებელი მისივე მამა იქნებოდა. ჩვენ თავიდანვე ავიღეთ ეჭვი მამაზე, რომელიც დაზარალებულად მიიჩნევდა თავს. გადავკეტეთ ყველა ის მიმართულება, რომელსაც გამტაცებელები გამოიყენებდნენ. ბავშვის დედამ ითანამშრომლა პოლიციასთან და შედეგიც მივიღეთ. ბავშვის გატაცების რეალური მოტივი არ არსებობდა. გამტაცებლები მძევალ ბავშვში 40 ათას დოლარს ითხოვდნენ მაშინ, როცა ეს ოჯახი საკმაოდ გაჭირვებულია. აღსანიშნავია, რომ ბაჩუკი იოსელიანს მისი პირველი ცოლის (ბავშვის დედის) მდიდარი ნათესავის იმედი ჰქონდა. თანამზრახველებთან ერთად დარწმუნებული იყო, რომ შვილში გამოსასყიდს მიიღებდა და ვერც ვერავინ გაიგებდა, რვა წლის ვაჟი თავად რომ გაატაცებინა. ერთი სიტყვით, არ გამოვააშკარავეთ, ეჭვი გატაცებულის მამაზე რომ გვქონდა. ეს ეჭვი კი ბოლოს რეალობად იქცა," - აცხადებენ სამართალდამცველები. მათივე თქმით, შვილის გამტაცებელი ბაჩუკი იოსელიანი სხვადასხვა დანაშაულისთვის წარსულში ორჯერ არის გასამართლებული.

ხათუნა ჯანგირაშვილი

საპარლამენტო ოპოზიცია კუთვნილ ადგილებს ითხოვს

საპარლამენტო ოპოზიცია იუსტიციის საბჭოში თავის კუთვნილ ადგილს კატეგორიულად მოითხოვს. "მემარჯვენე ოპოზიციის" წარმომადგენლის, პარლამენტარ გიორგი ცაგარეიშვილის განცხადებით, საპარლამენტო უმრავლესობა იუსტიციის საბჭოს დაკომპლექტების წესის შესახებ საკითხის განხილვას განგებ აჭიანურებს. ცაგარეიშვილის შეფასებით, სასამართლო ხელისუფლების საქმიანობის ზედამხედველობის თვალსაზრისით საბჭოს შემადგენლობაში ოპოზიციის წარმომადგენლის არსებობას საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს.

"გამორიცხული არ არის, აღმასრულებელი ხელისუფლების გაძლიერების ფონზე შესუსტდეს სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა. ამასთან, შემაშფოთებელია ისიც, რომ 9-კაციან საბჭოში გათვალისწინებული არ არის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ადგილი," - აცხადებს ცაგარეიშვილი.

მთავრობის მიერ წარმოდგენილი კანონპროექტით, საპარლამენტო ოპოზიციამ იუსტიციის საბჭოს დაკომპლექტების განსაზღვრული წესის ალტერნატიული ვარიანტი შეიმუშავა და განსახილველად პარლამენტის ბიუროს გადასცა. ოპოზიცია იუსტიციის საბჭოს საპარლამენტო სამკაციან კვოტაში ერთ ადგილს კატეგორიულად ითხოვს.

ინტერ-პრესი

"დაწყვილების" სურვილი სამმა პარტიამ გამოთქვა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობას ცხრა პოლიტიკური ორგანიზაცია და ერთი საარჩევნო ბლოკი მიიღებს. აჭარის უმაღლესმა საარჩევნო კომისიამ ერთიან პარტიულ ბლოკში გაწევრიანების მსურველთა რეგისტრაცია დაასრულა. როგორც გაირკვა, "ეროვნულ-დემოკრატიული პარტია", "ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი" და "ქრისტიან-დემოკრატიული პარტია" ერთ პოლიტიკურ ბლოკში გაერთიანდნენ და 20 ივნისის არჩევნებში ერთიანი პარტიული სიით გამოვლენ. ბლოკს კი "ძლიერი აჭარა ერთიანი საქართველოსთვის" ერქმევა.

ამასობაში, აჭარის უმაღლესი საარჩევნო კომისიის რამდენიმე წევრი აშკარად უკმაყოფილოა, რომ თორმეტივე საარჩევნო ოლქის თავმჯდომარეებად თბილისიდან ჩასული ადამიანები დაინიშნენ. თანაც, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, თორმეტივე - "ნაციონალური მოძრაობის" წევრია. როგორც აჭარის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ გუგული დუაძემ განაცხადა, **"ეს დანიშვნები სხვა არაფერია, თუ არა ხელისუფლების მხრიდან ჩვენი კომისიისადმი უნდობლობის გამოცხადება".** მისივე თქმით, ბათუმში ნამდვილად **"მოიძებნებოდა თორმეტი პროფესიონალი, ვინც საოლქო საარჩევნო კომისიებს სათავეში ჩაუდგებოდა და არჩევნების ორგანიზებასაც წარმატებით გაართმევდა თავს".** თუმცა, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს დიმიტრი ქიტოშვილს მიაჩნია, რომ თბილისში შერჩეული, საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეები პროფესიონალები არიან და არჩევნების ორგანიზების საკმაო გამოცდილებაც აქვთ.

24 საათი

სამცხე-ჯავახეთს წლის ბოლოსთვის საკუთარი ტელევიზია ექნება

სამცხე-ჯავახეთის რეგიონს წლის ბოლოსთვის საკუთარი ტელევიზია ექნება. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ საერთო საეთერო ტელერადიომაუწყებლობაზე ლიცენზიის მისაღებად კონკურსი გამოაცხადა. ლიცენზიის მიმღებ კომპანიას მაუწყებლობის შესაძლებლობა ნინოწმინდის, ახალქალაქის, ახალციხის, ბორჯომისა და წალკის რაიონებში ექნება. კონკურსი მიმდინარე წლის 17 სექტემბერს ჩატარდება, განცხადებების წარდგენის ვადა კი 16 ივლისს იწურება. ლიცენზიის საწყისი ფასი 57 946 ლარით განისაზღვრა. გამარჯვებულად ის კომპანია გამოცხადდება, რომელიც უფრი სრულყოფილ სამუშაო გეგმას წარადგენს და მეტ თანხას გადაიხდის. როგორც კომისიაში აღნიშნავენ, ლიცენზიის მისაღებად კონკურსის გამოცხადების მოთხოვნით მათ განცხადებით მიმართა "სამცხე-ჯავახეთის მასმედიის განვითარების რეგიონულმა ასოციაციამ".

ინტერ-პრესი

პრეზიდენტის წინააღმდეგ ტერაქტის მზადებაში ბრალდებული ისევ დააკავეს

აჭარის შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა გუშინწინ, გვიან ღამით ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად კრიმინალური წარსული მქონე მსხალაძეების გვარის სამი წარმომადგენელი დააკავეს - ედვარდ, ვაჟა და როინ მსხალაძეები. დაკავებულებს იარაღის უკანონო ტარება ედებათ ბრალად, იარაღი წუხელ ღამითვე, მათი სახლების ჩხრეკისას აღმოაჩინეს. ედვარდ მსხალაძის წინააღმდეგ ერთი წლის წინ აჭარის შინაგან საქმეთა სამინისტროში სისხლის სამართლის საქმე იყო აღძრული, დაახლოებით ორი თვის წინ კი მსხალაძე ტერორიზმის მუხლით საქართველოს უშიშროების სამინისტრომ დააკავა.

მას ბრალად ედებოდა მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ ტერაქტის მოწყობის მცდელობა. მსხალაძემ აღიარებითი ჩვენება მისცა. იმის გათვალისწინებით, რომ მსხალაძემ აქტიურად ითანამშრომლა გამოძიებასთან და ჯანმრთელობის მდგომარეობაც მძიმე ჰქონდა, უზენაესმა სასამართლომ მას აღმკვეთ ღონისძიებად პოლიციის ზედამხედველობა შეუფარდა საცხოვრებელი ადგილის შესაბამისად. როგორც აჭარის შს სამინისტროში აცხადებენ, ამის მიუხედავად, მსხალაძე დანაშაულებრივ ქმედებებს მაინც აგრძელებდა, რის გამოც საგამოძიებო ორგანოები ეჭვმიტანილისთვის უფრო მკაცრი აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების საკითხზე იმსჯელებენ.

აჭარის შინაგან საქმეთა სამინისტროდან გვაცნობეს, რომ ამჯერად ქობულეთში, მსხალაძის სახლში ჩატარებული ჩხრეკისას ამოღებულ იქნა 1 ცალი ავტომატი "კალაშნიკოვი" ვაზნებით, რომელსაც იგი უნებართვოდ ინახავდა.

ედვარდ მსხალაძის დაკავების შესახებ არაოფიციალური ვერსიებიც ვრცელდება. ერთ-ერთი ვერსიის მიხედვით, ახალ ხელისუფლებას მსხალაძის გამოყენება აჭარის უშიშროების მინისტრის ყოფილი მოადგილის, ამჟამად პატიმრობაში მყოფი გოგი კუპრეიშვილის წინააღმდეგ უნდოდა, მაგრამ მან კუპრეიშვილის წინააღმდეგ ჩვენება არ მისცა და ამიტომაც დააკავეს. ამ ვერსიის შესახებ კომენტარი არ გაუკეთებია აჭარის შინაგან საქმეთა მინისტრს დავით ღლონტს. მისი თქმით, მსხალაძე კრიმინალია და იარაღის უკანონო ტარების გამოა დაკავებული.

ინტერ-პრესი

ისევ რუსული სამხედრო ბაზების შესახებ

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო რუსეთის მხარეს საქართველოს ტერიტორიებიდან რუსული სამხედრო ბაზების გაყვანასთან დაკავშირებით მოლაპარაკებების მორიგი, მე-9 რაუნდის ჩატარებას სთხოვს. ქართულ მხარეს სურვილი აქვს, რომ აღნიშნული მოლაპარაკებები 10-11 ივნისს თბილისში გაიმართოს.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო იმედოვნებს, რომ ამ შემოთავაზებაზე რუსეთის მხრიდან უახლოეს მომავალში შესაბამის პასუხს მიიღებს.

ინტერ-პრესი

შიმშილობა ქუთაისში

ბექა სისაური ფოტო

იმერეთში პრეზიდენტის რწმუნებულის დათო მუმლაძის წინააღმდეგ გამართულმა აქციამ სახე იცვალა და შიმშილობაში გადაიზარდა. თავდაპირველად შიმშილობა აქციის ერთ-ერთმა წევრმა გელა კეპულაძემ დაიწყო. გუშინ კი მის ინიციატივას ნუგზარ ლალიაშვილი და გიორგი კანდელაკი შეუერთდნენ. მათი განმარტებით, შესაძლოა, აქციას დღეს კიდევ რამდენიმე პირი მიემატოს. პარალელურად მუმლაძის ოპოზიცია რაიონებში ხელმოწერებს აგროვებს, ერთადერთი მოთხოვნით: სურთ თუ არა რწმუნებულად დათო მუმლაძე. ამ ეტაპზე აქციის მონაწილეთა მოთხოვნებს შემდეგი სახე გააჩნია: **"მოვითხოვთ, რომ შეიქმნას სამხრივი კომისია: ხელისუფლების, ჩვენი ორგანიზაციისა და ჟურნალისტების მონაწილეობით. კომისიამ უნდა შეისწავლოს ყველა იმ პრეტენზიის არსი, რომელიც წარდგენილი აქვს მუმლაძეს და მიიღოს სათანადო დასკვნა, შემდეგი რეაგირების მიზნით. უმოკლეს ვადაში დაინიშნოს ქუთაისის მერის არჩევნები."** რაც შეეხება მოშიმშილეებს, ისინი რწმუნებულს "გონზე მოსვლისკენ" მოუწოდებენ. ხოლო აქციის გაგრძელებას სასურველი შედეგის მიღწევამდე აპირებენ. **"იმერეთის გუბერნატორი გონს უნდა მოეგოს და ბრალდებებს პასუხი გასცეს, იგი თვითონ უნდა იყოს დაინტერესებული, რომ 1992 წლიდან დღემდე მის მიერ გაწეული საქმიანობა კომისიური წესით იქნას შესწავლილი. პრეზიდენტი უნდა გაერკვეს, ჰყავს თუ არა მას ერთგული რწმუნებული."** - აცხადებს გელა კეპულაძე. გუშინვე აქციის ორგანიზატორების მისამართით განცხადებები რწმუნებულის მოადგილე გია თევდორაძემ და ქუთაისის ვიცე მერმა გივი ჯიბლაძემ გააკეთა. თევდორაძის განმარტებით, გელა კეპულაძემ მას შემდეგ გადაწყვიტა შიმშილობის დაწყება, რაც ქუთაისი ერთ-ერთი უბნის მუნიციპალიტეტის თვმჯდომარედ დანიშვნაზე უარი უთხრეს. **"რაც შეეხება აქციას, რომელიც მერიის წინ იმართება, ამ ხალხის მწვავე რეაქცია, პირადად ჩემი და ჩემი მეგობრების ხელისუფლებაში მოსვლამ გამოიწვია. ვინაიდან ისინი წარმოადგენენ იმ რეჟიმის ნარჩენებს, რომელთა მსხვრევაშიც ჩვენ გარკვეული წვლილი გვაქვს შეტანილი. გელა კეპულაძე კი ნოემბრის რევოლუციის შემდეგ გააქტიურდა. თუმცა მას შემდეგ, რაც უარი ეთქვა სურვილზე, გამხდარიყო ძელქვიანის მუნიციპალიტეტის თავმჯდომარე, განაწყენდა და აქციის მონაწილეთა შორის აღმოჩნდა,"** - აცხადებს რწმუნებულის მოადგილე გია თევდორაძე. გელა კეპულაძეს კი აღნიშნულ ვერსიას კატეგორიულად უარყოფს და გუბერნატორის გუნდს ხროვას უწოდებს: **"მაგათ შეუძლიათ ჩემზე ბევრი რამ თქვან. აქედან გამომდინარე ვასკვნი, რომ მუმლაძე თვითონ არის პროვოკატორი. შეიძლება ითქვას, რომ უკვე არა მარტო მუმლაძის გუნდი, არამედ მისი ხროვაც შეიქმნა, რომელიც ყოველგვარ პროვოკაციაზე წავა,"** - აცხადებს კეპულაძე. თავის მხრივ რწმუნებულის მოადგილე იმასაც აღნიშნავდა, რომ აქციის მონაწილეთა მხრიდან შანტაჟისა და პროვოკაციის მცდელობები ფიქსირდება. საქმე ეხება ქუთაისის ვიცე მერს გივი ჯიბლაძეს, რომელსაც აქციის მონაწილეები კრიმინალურ ქმედებებში სდებენ ბრალს. **"ბოლო რამდენიმე დღეა აქციის ლიდერების მხრიდან ჩემზე მორალური შანტაჟი ხორციელდება, კერძოდ მათ მოითხოვეს, თუ არ გავაკეთებდი რწმუნებულის წინააღმდეგ განცხადებებს, ისინი ჩემი პირადი ცხოვრებიდან ერთ ფრაგმენტს, მათთვის სასურველი ვერსიით გაახმაურებდნენ. საქმე ეხება ფაქტს, რომელიც ცამეტი წლის წინ მოხდა. ჩემს ოჯახსა და მეზობლებს შორის არსებობდა მეზობლური დავა, რა დროსაც მეზობლის ქალმა, ჩემი ოჯახის წევრებს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, რის გამოც მე იგი ვცემე. ეს იყო 14 წლის ბიჭის რეაქცია ოჯახის შეურაცხყოფის გამო. ვთვლი, რომ ეს თემა ამოწურულია,"** - განაცხადა ჯიბლაძემ.

ასე რომ, აქციის მონაწილეებსა და რწმუნებულის მომხრეებს შორის ვითარება სულ უფრო მეტად იძაბება. მიუხედავად იმისა, რომ მუმლაძის ოპოზიციას სერიოზული მხარდამჭერები არ ჰყავს, რწმუნებულს მაინც სერიოზულ დისკომფორტს უქმნის.

ბექა სისაური, ქუთაისიდან

ენერგოშეზღუდვები გაგრძელდება

4 ივნისს დილით, სარემონტო სამუშაოების გამო გამორთული ენგურჰესის მეოთხე აგრეგატი 15 საათისთვის ამუშავდა.

როგორც "მედია-ნიუსს" სახელმწიფო ელექტროსისტემაში განუცხადეს, თბილისსა და რეგიონებს ელექტროენერგია უკვე ჩვეული გრაფიკით მიეწოდებათ. თბილისის ელექტრომომარაგება შეიზღუდება 21.30-23.00 საათისთვის. საღამოს საათებში თბილისისა და რეგიონების შეზღუდვის გრაფიკი 10 ივნისამდე იმოქმედებს, ვიდრე ექსპლუატაციაში არ შევა ენგურჰესის კიდევ ერთი აგრეგატი.

მედია-ნიუსი

სალომე ზურაბიშვილის რევოლუციური მიდგომა

ახალქალაქის და ბათუმის რუსული სამხედრო ბაზების გაუქმების სანაცვლოდ, ქართული მხარე რუსეთს ერთობლივი ანტიტერორისტული ცენტრის ჩამოყალიბებას სთავაზობს. საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელის სალომე ზურაბიშვილის განცხადებით, რომელიც ოფიციალური ვიზიტით აშშ-ში იმყოფება, ქართული მხარე ერთობლივი ანტიტერორისტული ცენტრის შესაქმნელად მზადაა, თუ რუსეთი საქართველოში თავისი ბაზების გასაუქმებლად სამ წელიწადს იკმარებს.

როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, ეს თემა მისი აშშ-ს სახელმწიფო მინისტრ კოლინ პაუელთან შეხვედრაზე განიხილებოდა.

"ჩვენ რუსეთის წარმომადგენლებთან შევთანხმდით, განვაახლოთ ორმხრივი მოლაპარაკებები სამხედრო საკითხებსა და ჩარჩო-ხელშეკრულებასთან დაკავშირებით. მეორე მხრივ, უნდა მოიძებნოს ახალი მიდგომები, კერძოდ, საუბარია ბაზების გაყვანის სანაცვლოდ ანტიტერორისტული ცენტრის შექმნაზე," — განაცხადა მან.

სალომე ზურაბიშვილი გაოცებულია რუსული მასმედიის რეაქციით, რომელიც კოლინ პაუელის მიერ რუსეთის სამხედრო ბაზების თემის წამოწევას მოჰყვა.

ქართველი მინისტრი აღნიშნავს, რომ ნატო-ს სტამბოლის სამიტის მოახლოებასთან ერთად მრავალი ქვეყანა გამოთქვამს შეშფოთებას იმის გამო, რომ საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის საკითხში პროგრესი არ იგრძნობა. ზურაბიშვილის განცხადებით, საქართველოს ხელისუფლებას მიაჩნია, რომ ქვეყნიდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანა სამ წელიწადში უნდა მოხდეს. რუსეთის პოზიცია კი - რვა წელია. "პრობლემის სწრაფად გადაწყვეტა იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუკი ორივე მხარე ამ საკითხს ნოვატორულად, რევოლუციურად მიუდგება," - ზურაბიშვილის თქმით, საკითხის ამგვარი გადაწყვეტა ამერიკის მხარესაც მისაღებად მიაჩნია და მზადაა, ორივე მხარესთან აქტიურად ითანამშრომლოს.

24 საათი

რუსეთ-აფხაზეთის საზღვარზე სასაზღვრო-საბაჟო კონტროლი გამარტივდება

რუსეთის შს სამინისტროს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების სახელმწიფო დეპარტამენტის ინსპექტორის ვიქტორ კირიანოვის, საკონტროლო გამშვების პუნქტის "სოჭის" ხელმძღვანელის ალექსეი პლატონოვისა და აფხაზეთის პრემიერ-მინისტრ რაულ ხაჯიმბას შეხვედრაზე რუსეთ-აფხაზეთის საზღვარზე სასაზღვრო-საბაჟო კონტროლის გამარტივების საკითხი განიხილეს. აფხაზეთის მხარემ რუსეთს შესთავაზა ტურისტებისათვის, რომლებიც აფხაზეთში მიემგზავრებიან, საბაჟო და სასაზღვრო კონტროლი ავტობუსებიდან ჩამოუსვლელად განხორციელდეს. შეხვედრისას, აგრეთვე, განიხილებოდა საკითხები, რომელიც მცირეგაბარიტიანი სატვირთო ტრანსპორტის მიერ საზღვრის გადაკვეთასა და ავტომონაქანების დაზღვევაზე ტარიფების შემცირებას შეეხებოდა. რუსეთის წარმომადგენლები აფხაზურ მხარესთან საკითხების ერთობლივად გადაწყვეტაზე შეთანხმდნენ.

მედია-ნიუსი

ორი სიტყვით

თბილისი. კოდორის ხეობის სოფელ აჟარაში 6 ივნისს გაიმართება ხეობის მოსახლეობის ყრილობა, რომელზეც საქართველოს პრეზიდენტისადმი მიმართვას მიიღებენ. მასში ხეობის სამივე სოფელში არსებული მძიმე სოციალური პრობლემების გარდა, ყურადღება გამახვილდება იმ ფაქტზე, რომ ხელისუფლება თბილისში კოდორის ხეობაში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის წარმომადგენლობის გაუქმებას აპირებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებით, ცხინვალის რეგიონში ქართული და ოსური მოსახლეობა სამედიცინო დახმარებას მიიღებს. უახლოესი ორი-სამი კვირის განმავლობაში, სამედიცინო გამოკვლევები რეგიონის ყველა სოფლის მაცხოვრებელს ჩაუტარდება. გამოკვლევებს ჩაატარებენ თანამედროვე აპარატურით აღჭურვილი ექიმთა ჯგუფები, რომლებიც დაკომპლექტებულია როგორც თბილისელი, ასევე ადგილობრივი ექიმებით. ჯგუფები აღჭურვილია საჭირო აპარატურით და 86 დასახელების მედიკამენტით. გარდა ამისა, სამინისტროს ინიციატივით, კონფლიქტის ზონის ქართულ სოფლებში (ერედვი, ქურთა, ავნევი) დაიწყება წიოელას, ნითურასა და ყბაყურას საწინააღმდეგო აცრები. მოგვიანებით, ვაქცინაცია ოსურ სოფლებშიც დაიწყება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. "ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის" ლიდერ ბაჩუკი ქარდავას განცხადებით, პარტია აჭარის უზენაესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობას ქრისტიან-დემოკრატიულ პარტიასთან ერთად მიიღებს. საარჩევნო ბლოკს "აჭარა-დემოკრატები" ერქმევა. ბაჩუკი ქარდავას თქმით, "ქრისტიან-დემოკრატიული პარტია" აჭარაში სოლიდურ ძალას წარმოადგენს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თელავი. საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია და ამერიკული სამთავრობო ორგანიზაცია "მილენიუმ ჩელენჯ კორპორეიშენის" დელეგაცია თელავში ჩავიდნენ. მათ იქ რამდენიმე ობიექტი მოინახულეს. დელეგაციის წევრები ბათუმშიც უნდა ჩასულიყვნენ, თუმცა, გარკვეული მიზეზების გამო ეს ვიზიტი არ შედგა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების შერეული საკონტროლო კომისიის მორიგი სხდომა თბილისში, 14-15 ივნისს გაიმართება და კონკრეტულ ეკონომიკურ პროგრამებს შეეხება, რაც, თავის მხრივ, კონფლიქტის ზონაში ეკონომიკის აღორძინებას ითვალისწინებს. ამის შესახებ პარასკევს აცნობა ჟურნალისტებს სახელმწიფო მინისტრმა კონფლიქტების მოწესრიგების საკითხებში გიორგი ხაინდრავამ. "შერეული საკონტროლო კომისიის ცხინვალში, 2 ივნისს გამართული საგანგებო სხდომა რომ არ ყოფილიყო, რაც კონფლიქტის ზონაში არსებული სიტუაციის გამწვავებამ გამოიწვია, კომისიის მონაწილენი თბილისში, ჩვეულ ფორმატში უნდა შეკრებილიყვნენ", - აღნიშნა ხაინდრავამ. მისი თქმით, გეგმიურ სხდომაზე განიხილება "ევროკავშირის 2,5 მილიონი ევროს ღირებულების გრანტის ათვისების საკითხი, რომელიც მიმართულია ცხინვალის რეგიონში სახლების, საირიგაციო სისტემების, ასევე ჰესების აღდგენაზე". **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გენერალ-მაიორი ბადრი ბიწაძე შაბათს, ახმეტის რაიონში სოფელ ომალოში, რუსეთის ფედერალური სასაზღვრო სამსახურის ჩრდილო-კავკასიის უფროსს, გენერალ-ლეიტენანტ ნიკოლაი ლისინსკის შეხვდება. როგორც საზღვრის დაცვის დეპარტამენტის პრესსამსახურის ხელმძღვანელმა შალვა ლონდარიძემ აღნიშნა, ეს შეხვედრა გეგმიურია და მხარეები საქართველო-რუსეთის სასაზღვრო მონაკვეთებზე არსებული სიტუაციის განხილვას აპირებენ. მისი თქმით, შეხვედრისას განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ჩეჩნეთის, ინგუშეთისა და დაღესტნის მონაკვეთებს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. 2004 წლის 7 ივნისს, ქალაქ ბრიუსელში მდებარე ნატო-ს შტაბ-ბინაში "26 + 1" ფორმატით, საქართველოს ნატო-სთან ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის განხილვა გაიმართება. საქართველოს დელეგაციის შემადგენლობაში იქნებიან საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი, თავდაცვის მინისტრი გელა ბეჟუაშვილი და გენერალური შტაბის უფროსი, გენერალ-მაიორი გივი იუკურიძე. აღნიშნული გეგმა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მიმდინარე წლის 7 აპრილს უკვე გააცნო ნატო-ს გენერალურ მდივანს იაფ დე ჰოოპ სხეფერს. **ინტერ-პრესი**

სააქციო საზოგადოება ნავთობის ეროვნული კომპანია

"საქნავთობი"

აცხადებს ღია კონკურსს კომპანიის გენერალური დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად

კონკურსში მონაწილეობისთვის კანდიდატს უნდა გააჩნდეს:
- უმაღლესი განათლება საინჟინრო, საფინანსო, ეკონომიკურ, ბიზნესის მართვის ან ბიზნესის სამართლის დარგში;
- გამოცდილება საწარმოს, ორგანიზაციის ან დაწესებულების მართვაში.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ განცხადება, ავტობიოგრაფიული მონაცემები, განათლების სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები, მოტივაცია საკონკურსო თანამდებობის დასაკავებლად (არაუმეტეს 2 გვერდისა).

საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა **2004 წლის 30 ივნისი, 16:00 სთ.**
მისამართი: თბილისი, მ. კოსტავას ქ. No 65, "საქნავთობი", მე-4 სართ. სამეთვალყურეო საბჭოს ოფისი. ტელ: 33-53-94; 33-34-90; ფაქსი: 33-51-43; e-mail: saknavtobi@gol.ge
კონკურსის დასკვნით ეტაპზე დაშვებულმა კანდიდატებმა ა.წ. 15 ივლისამდე დამატებით უნდა წარმოადგინონ 3 სარეკომენდაციო წერილი ვაკანტური თანამდებობისთვის მათი შესატყვისობის დასაბუთებით და გაიარონ გასაუბრება საკონკურსო კომისიაში.

ს.ს. "საქნავთობის" სამეთვალყურეო საბჭო

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა ნიქარიშვილი, გიორგი ბერიაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

ოსური კვანძის გახსნა შეიძლება

პირველი გვერდიდან

ლევან ხერხეულიძის ფოტო

დეპუტატებმა გუშინ არც ეროვნული ბანკის პრეზიდენტს ირაკლი მანაგაძეს დასწყვიტეს გული და მის მიერ წარმოდგენილი 2003 წლის ანგარიში ერთხმად დაამტკიცეს.

პარლამენტის მიერ ერთხმად მიღებულ დოკუმენტში დადასტურებულია, რომ საქართველოს ერთიან სახელმწიფოში აუცილებლად იქნება გარანტირებული ოსი ეროვნების მოქალაქეების უფლებებისა და თავისუფლებების სრული სპექტრი, შეიქმნება ყველა აუცილებელი პირობა მათი თვითმყოფადობის დაცვისა და განვითარებისთვის, აგრეთვე, კულტურული, ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური უფლებების რეალიზებისთვის. **" ეს ყველაფერი მიღწეული უნდა იქნას პოლიტიკური დიალოგის გზით. ამასთან, ამ დიალოგში აუცილებლად უნდა მონაწილეობდეს ხალხი, ის მოსახლეობა, ვისაც ყველაზე მეტად სურს მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნება,"** - აღნიშნულია განცხადებაში.

თუმცა, დეპუტატებს ისიც კარგად ესმით, რომ მხოლოდ შიდაეროვნულ რესურსებზე დაყრდნობით, კონფლიქტის გადაჭრა შეუძლებელია. ამიტომ, დოკუმენტი შეიცავს თხოვნას აშშ-ს, რუსეთის, ევროკავშირის წევრი და სხვა მეგობარი ქვეყნების მთავრობებისადმი, მხარში ამოუდგნენ საქართველოს ხელისუფლების ძალისხმევას, რომ ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ირგვლივ შექმნილი ვითარება ერთხელ და სამუდამოდ მოწესრიგდეს.

განცხადების ტექსტში ცალკე ადგილი აქვს დათმობილი რუსეთის ხელისუფლების ცალკეული ორგანოებისადმი მიმართვას, რომლითაც საქართველოს პარლამენტი რუს პოლიტიკოსებს მეტი ობიექტურობისკენ, პოლიტიკური შორსმჭვრეტელობისკენ და კორექტულობისკენ მოუწოდებს. **"იმ ფონზე, როდესაც საქართველოსა და რუსეთს შორის რეალურად დაიწყო კეთილმეზობლური, ორმხრივად ხელსაყრელი ურთიერთობების შენება, პოლიტიკური ზეწოლისა და სუვერენული სახელმწიფოს შიდა საქმეებში ჩარევის მცდელობები არც ერთ და არც მეორე ქვეყანას ზიანის მეტს არაფერს მოუტანს,"** - ნათქვამია პარლამენტის განცხადებაში.

თუ ამ დოკუმენტთან დაკავშირებით დეპუტატებს შორის გუშინ სრული ერთსულოვნება სუფევდა, სამაგიეროდ, პლენარულ სხდომაზე განხილულ თითქმის ყველა სხვა საკითხზე პარლამენტარები ერთმანეთს მწვავედ დაუპირისპირდნენ. აღსანიშნავია, რომ კოლიზიას ადგილი ჰქონდა არა უმრავლესობასა და ოპოზიციას შორის, არამედ თავად უმრავლესობის შიგნით.

ასე მაგალითად, "საერთო სასამართლოების შესახებ" მოქმედ კანონში შესატანი ცვლილებები იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის, ლევან ბეჟაშვილის ინიციატივით შემუშავდა, მაგრამ ამ კომიტეტის წევრთა უმრავლესობას მისი თავმჯდომარისგან განსხვავებული ხედვა აღმოაჩნდა. კერძოდ, მათ მიიჩნიეს, რომ მოსამართლეთა დისციპლინარული დევნა სისტემის გარეთ უნდა იქნეს გამოტანილი და იგი იუსტიციის საბჭომ განახორციელოს. ნიკა გვარამიას აზრით, წინააღმდეგ შემთხვევაში, რიგით მოსამართლეებზე ზეგავლენის მოსახდენად სასამართლოს თავმჯდომარეებს ძალიან ძლიერი ბერკეტები ექნებათ.

ამასთან, გვარამიას დაუშვებლად მიაჩნია, რომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა დისციპლინარული დევნის უფლება მხოლოდ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს ჰქონდეს. **"უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა ცალკე კასტად ჩამოყალიბება არასწორია. ისინი სამართლებრივად დანარჩენ მოსამართლეებს უნდა გაუთანაბრდნენ,"** - დაჟინებით ითხოვდა გუშინ ლევან ბეჟაშვილის "ოპოზიცია".

რაკი პოზიცია არც იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარემ შეიცვალა, ამიტომ "მტყუან-მართლის" გარკვევა პულტებით მოხდა. "მართალნი" ნიკა გვარამია და მისი მომხრეები აღმოჩნდნენ.

ბეჟაშვილისგან განსხვავებით, მეტი პოლიტიკური გამჭრიახობა გამოიჩინა ვიცე-სპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმა.

პარლამენტართა პენსიებთან დაკავშირებით გაჩაღებულ დავაში იგი ყოფილი კოლეგების გულის მოგებას შეეცადა და, ალტერნატივის სახით, იმ ვარიანტის კენჭისყრაზე დაყენება განიზრახა, რომლის თანახმადაც, პენსიონერ დეპუტატებს მუშაობის უფლება უნდა მისცემოდათ. მაჭავარიანის მტკიცებით, ეს არანაირ დამატებით საბიუჯეტო ხარჯებთან არ იქნებოდა დაკავშირებული, მაგრამ ამ საკითხზე ფინანსთა სამინისტროს განსხვავებული მოსაზრება აღმოაჩნდა. ამიტომ, მაჭავარიანმა საზოგადოების თვალში არაპოპულარული ნაბიჯის გადადგმა აღარ ისურვა და თავისი ალტერნატიული წინადადება კენჭისყრიდან მოხსნა. ამით, დასამტკიცებლად გზა გაეხსნა ძირითად კანონპროექტს, რომლის მეორე და მესამე მოსმენით მიღების შემდეგაც ყოფილი პარლამენტარების პენსია 750-დან 495 ლარამდე შემცირდა.

გუშინ პარლამენტმა, აგრეთვე, მხარი დაუჭირა (პირველი მოსმენით) "სახელმწიფო ჯილდოების დაწესების შესახებ" კანონში ცვლილებების შეტანას. ამ ცვლილებების საბოლოოდ დამტკიცების შემდეგ (რაც, სავარაუდოდ, მომავალ სასესიო კვირაში მოხდება), შემოღებული იქნება ეროვნული გმირის წოდება და ნმ. გიორგის სახელობის გამარჯვების ორდენი.

დეპუტატებმა გუშინ არც ეროვნული ბანკის პრეზიდენტს ირაკლი მანაგაძეს დასწყვიტეს გული და მის მიერ წარმოდგენილი 2003 წლის ანგარიში ერთხმად დაამტკიცეს.

პარლამენტში ექვსი მაჟორიტარის ადგილი ვაკანტურია

პარლამენტში კვლავ რამდენიმე დეპუტატის ადგილია ვაკანტური. მას შემდეგ, რაც პარლამენტის რამდენიმე წევრმა საკანონმდებლო ხელისუფლებიდან აღმასრულებელში გადაინაცვლა, მსურველებს კვლავ შეუძლიათ დიდუბის, კრწანისის, გორისა და ზესტაფონის ამომრჩეველთა გულებისა და სიმპათიებისთვის იბრძოლონ. საარჩევნო კოდექსის მიხედვით, "არჩევნები ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში წელიწადში ორჯერ - მაის-ივნისში და ოქტომბერ-ნოემბერში ტარდება".

ლელა მჭედლიძე

თუმცა, როგორც ირკვევა, დეპუტატობის მსურველთა ნუსხას ამ დროისთვის უკვე ქობულეთისა და ბათუმის მაჟორიტარების ადგილიც დაემატება. პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის ლევან ბეჟაშვილის განმარტებით, **"მაჟორიტარი დეპუტატების - ჯემალ გოგიტიძისა და როსტომ ჯაფარიძის უფლებამოსილება პარლამენტს არც კი უცვნია. მართალია, თავიდან იყო საუბარი იმის თაობაზეც, რომ ამ დეპუტატს ელემენტარული სამსახურებრივი შეუთავსებლობა ჰქონდათ (გოგიტიძე - შს მინისტრი, ჯაფარიძე კი უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე იყო), მაგრამ ყველაფერი ელემენტარული პროცედურული დარღვევის გამო მოხდა. ამ დეპუტატებს ნარკოლოგიური შემოწმება არ გაუვლიათ, რაც, საარჩევნო კოდექსის პირველი მუხლის თანახმად, სავალდებულო პროცედურა იყო."** როგორც ბეჟაშვილი აცხადებს, მსგავს შემთხვევაში დეპუტატებს უფლება აქვთ, ნარკოლოგიური შემოწმების მოთხოვნის უფლების მიცემით ცენტრალურ საარჩევნო კომისიას და ჯანდაცვის სამინისტროს მიმართონ. ბეჟაშვილი მიიჩნევს, რომ ისეთი გარემოებების დასაზუსტებლად მართლაც კარგი იქნებოდა საარჩევნო კოდექსში გარკვეული ცვლილებების შეტანა.

როგორც ცენტრალური საარჩევნო კომისიის იურიდიული სამსახურის უფროსი ლელა დევრესაშვილი განმარტავს, **"ნარკოლოგიური შემოწმების მოთხოვნის თაობაზე განცხადებით ცესკო-სთვის არც ჯემალ გოგიტიძეს და არც როსტომ ჯაფარიძეს არ მიუმართავთ. რა თქმა უნდა, ამგვარი მიმართვის უფლება მათ აქვთ, მაგრამ მხოლოდ საარჩევნო კომისიის მიერ არჩევნების შემაჯამებელი ოქმის დამტკიცებიდან 14 დღის ვადაში."** ეს ვადა კი უკვე კარგა ხანია, რაც გავიდა და რადგან კანონით შესაბამისი ვადა უკვე ამოიწურა, ცესკო-ს იურისტის განმარტებით, გოგიტიძისა და დოლიძის სადეპუტატო უფლებამოსილება ავტომატურად გაუქმებულად ითვლება; ბათუმისა და ქობულეთის ოლქებში კი ხელახალი არჩევნებია ჩასატარებელი.

გუშინ მოსკოვში

რუსუდან ნიკურაძე
საკ. კორ. მოსკოვში

"გამოურთეთ საქართველოს დენი და ომი ოსეთში არ იქნება"

ამ მოწოდებით შეიჭრა რუსეთის პარლამენტის სხდომათა დარბაზში დეპუტატი ალექსეი მიტროფანოვი, რომელმაც პლენარულ სხდომამდე დუმის ბუფეტში მცირე სკანდალი მოუწყო ქართველ ჟურნალისტებს: **"სტალინმა თავის დროზე საქართველო "კუსოკებად" დაჭრა და სწორიც გააკეთა - ახლა სტალინის "დოროჟნაია კარტას" ნუღარ გადააკეთებთ... აჭარაში ეთნიკური კონფლიქტი არ ყოფილა და სააკაშვილმა იმიტომ გაიმარჯვა. სამხრეთ ოსეთი აჭარა არ არის, ეს სუფთა რუსული რეგიონია რუსეთის მოქალაქეებითა და რუსეთის შემადგენლობაში ყოფნის სურვილით,"** - აი, ერთი რუსი პარლამენტარის აზროვნების დღევანდელი თვალსაწიერი.

4 მაისის სხდომაზე დეპუტატებმა მიტროფანოვმა, საველიევმა და გუდკოვმა რუსეთის პრემიერ-მინისტრს ფრადკოვს პარლამენტში გამოცხადება უბრძანეს და ხელისუფლებას მოთხოვეს საქართველოსათვის მკაცრი ეკონომიკური სანქციების დაწესება. "ოთხ დღეში სამხრეთ ოსეთში ომი იწყება, ჩვენ კი ისე ვდუმვართ, როგორც ჩეჩენეთსა და ერაყში ომის დაწყების წინ," - გაყვიროდა მიტროფანოვი. მთელი სხდომის მანძილზე იგი ითხოვდა საქართველოსათვის გაზის მიწოდების შეწყვეტას, დენის გამოთიშვასა და რუსეთიდან ქართველების გაყრას: "ლონდონში ბერეზოვსკისთან, ან თბილისში, პატარკაციშვილის "ქორწინების სასახლეში" - დიდი ადგილი აქვს მისაკუთრებული და ყველანი დაეტევიანო"... მიტროფანოვის ისტერიკა კოლეგების მიერ გაუზიარებელი დარჩა.

იგივე თემაზე საუბრისას პარლამენტის ვიცე-სპიკერმა დმიტრი როგოზინმა არ გამორიცხა განსაკუთრებული სიტუაციის შექმნის პირობებში სამხრეთ ოსეთის რუსეთის შემადგენლობაში მიღების პერსპექტივა. მართალია, მიტროფანოვისა და მისი მშობელი ფრაქციის (ჟირინოვსკის ლდპ) იდეოლოგია, ისევე, როგორც როგოზინისა, კრემლის პროდუქტია, მაგრამ არც იმის დავიწყება ღირს, რომ რუსეთის პარლამენტში აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან "ჩრდილოვანი" დელეგაციები ხელცარიელნი არსოდეს ჩამოდიან. ასე რომ, აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დღევანდელ ლობისტებს დუმაში სათანადო იდეოლოგიურ-მატერიალური ბაზა მეტი იურიდიული "მანევრირების" საშუალებასაც აძლევს. ოღონდ ესაა, რომ ამ ბოლო დროს უშედეგოდ.

ერთი "სეტკა" აფხაზური მანდარინი, ოსური ყველის ნაჭერი და ბოთლი აჭარული ნავთი საქართველოს საელჩოს პარმაღზე

მოსკოვში საქართველოს საელჩოს წინ ნეობოლშევიკური ყაიდის ახალგაზრდულმა ორგანიზაცია "წითელი ახალგაზრდობის ავანგარდმა" საპროტესტო პიკეტი გამართა. შავპერანგიანმა და წითელჰალსტუჰიანმა "ბოლშევიკებმა" ჯერ საელჩოს წინ მიწაზე დაწოლა გადაწყვიტეს სამხრეთ ოსეთში საქრთველოს მოქმედებების გაპროტესტების მიზნით, შემდეგ გადაიფიქრეს და ელჩს კოტე კემულარიას კაბინეტში ძღვენი შეუგზავნეს პეტიციასთან ერთად. მოპიკეტეები გაიძახოდნენ: **"ჩვენ ყველანი საბჭოთა კავშირის შვილები ვართ და ამერიკული იმპერიალიზმის მსხვერპლ საქართველოში არ უნდა დავუშვათ რუსეთის მოქალაქეების შევიწროვება, მათი დევნა და პრორუსულ რეგიონებში ამერიკის მიერ დაფინანსებული ვარდების რევოლუციის ექსპორტი."**

პეტიციის მისაღებად საელჩოდან ქართველი დიპლომატი გამოვიდა, ოღონდ ელჩისათვის გადასაცემ ძღვენზე უარი განაცხადა, მანდარინი ჩვენც თავზე საყრელად გვაქვსო. "ეს ხომ სიმბოლური საჩუქარია, რათა ძმები აფხაზეთის, ოსებისა და აჭარლების ყოფნა შეგახსენოთო," - არ ცხრებოდა ახალგაზრდული ორგანიზაციის ავანგარდი ამხანაგი საველიევი.

როგორც გიარკვა, პიკეტი საქართველოს საელჩოს წინ არასანქცირებული იყო და მილიციას მისი დაშლის უფლებაც ჰქონდა, მაგრამ რატომღაც პიკეტი არავის აღუკვეთავს. არც ორგანიზატორს დაუკავებდნენ, რომ არა მისი კატეგორიული უარი, საელჩოს კართან მიყრილი ძღვენის უკან წაღებაზე. "იქნებ შიგნით ასაფეთქებელი ნივთიერებაა, ახლავე მოკიდეთ ხელი და გაიტანეთ," - ამაოდ მოუწოდა ნესრიგის დამცველმა ახალგაზრდა მოპიკეტეებს. კემულარიასათვის განკუთვნილი ძღვენი მოპიკეტეებმა საელჩოს პარმაღზე დატოვეს, ხოლო საველიევი მოსკოვის მილიციამ და რუსეთის დაცვის ფედერალური სამსახურის იარაღიანმა წარმომადგენელმა დაუპატიმრეს და განყოფილებაში მიაბრძანეს. ყოველივეს ფოტოაპარატით აფიქსირებდა წითელი ახალგაზრდობის ერთ-ერთი აქტივისტი გოგონა. მილიციამ ადგილზე მყოფი ჟურნალისტებისა და ოპერატორების გვარებიც საგულდაგულოდ ჩაიწერა. მოპიკეტეთა თავკაცის დაპატიმრების შემდეგ "სეტკიდან" რუსმა ჟურნალისტებმა მანდარინები ამოკრიფეს და იქვე ჭამა დაიწყეს. ერთი-ორი მანდარინი მილიციონრებსაც შეახვედრეს. ოსური ყველის ნაჭერი და ნავთის ბოთლი კი სადღაც გაქრა.

ორგანიზაცია "წითელი ახალგაზრდობის ავანგარდი" მოსკოვში ხშირად მართავს ანტიმილიტარისტული ხასიათის აქციებს ჩეჩნეთში ომის წინააღმდეგ და პუტინის გადადგომის მოთხოვნით.

რატომ იცვამენ ფრანგები "ბაბაჯანას ქოშებს"?

პირველი გვერდიდან

"თბილწყალკანალის" მართვის უფლებით გადაცემის თაობაზე რამდენიმე წლის წინ გამოცხადებული ტენდერი მთელი მიმყოლი პროცედურებით, როგორც ჩანს, ძლივს დასასრულს უახლოვდება. თავის დროზე აქტიურად რეკლამირებული და, თითქოს, სათანადო გამოხმაურების მქონე კონკურსი საბოლოოდ საკმაოდ უღიმღამოდ და აბსოლუტურად არაკონკურენტულ სივრცეში დასრულდა. თავად განსაჯეთ: თავდაპირველად გამოცხადებული 7 დაინტერესებული კომპანიიდან სხვადასხვა ეტაპებზე ინტერესი, პრაქტიკულად, ყველამ დაკარგა და, საბოლოოდ, ტენდერში უკონკურენტო გამარჯვებულად ფრანგული კომპანია "ჯენერალ დეზო" დასახელდა.

თავისთავად, უდავოა, რომ ქალაქის წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემა გადაუდებელ შველას საჭიროებს. აქედან გამომდინარე, ტენდერის გამოცხადებაც და სისტემაში უცხოური, შესაბამისი გამოცდილების მქონე კომპანიის შემოყვანის მცდელობაც აბსოლუტურად ლოგიკურია. თუმცა, ეს სულაც არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ კონკურსით შერჩეული კომპანია (თავისი ავტორიტეტულობისა და კომპეტენტურობის მუხედავად) პირობებს ერთპიროვნულად კარნახობდეს და ყველა მისი ხუმტური უაპელაციოდ იყოს გაზიარებული. ამ თვალსაზრისით ქვეყანაში უკვე არსებობს საკმაოდ მწარე გამოცდილება თუნდაც იმავე ენერგოსექტორის მაგალითზე, სადაც დარგის მსოფლიო მასშტაბით ცნობილმა მოთამაშეებმა ისეთი თამაშის წესები და ურთიერთობების ტრადიცია დაამკვიდრეს, რომ პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა მათზე რაიმე სახის კონტროლის დაწესება, რაც საბოლოოდ სრულ განუკითხაობაში გადაიზარდა.

ეს პროცესები, ნაწილობრივ, დღესაც გრძელდება და ყველასათვის ნათელია, რომ არსებული მდგომარეობის გამოსწორებას ერთი საკმაოდ მნიშვნელოვანი პრობლემა უშლის ხელს: პრაქტიკულად, სისტემაში შემოსულ ყველა ინვესტორთან სახელმწიფოს იმგვარი კონტრაქტი აქვს დადებული, სადაც სახელმწიფოსა და მომხმარებლის პოზიცია აბსოლუტურად იგნორირებულია, ინვესტორის უფლებები - უკიდეგანოდ გაზრდილი, მისი პასუხისმგებლობა კი - აბსოლუტურად ნულოვანი.

მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი ტენდენციით გაფორმებული კონტრაქტების შედეგად ქვეყანამ არცთუ დიდი ხნის არაერთი მძიმე დარტყმა იწვნია, როგორც ჩანს, ეს პრაქტიკა დღესაც საკმაოდ მტკიცედ არის ფეხმოკიდებული. კონტრაქტი, რომლის გაფორმებასაც ქართული სახელმწიფო (არა აქვს მნიშვნელობა, ვისი სახელით - მერიის, ქონების მართვის სააგენტოს თუ სულაც "თბილწყალკანალის") ფრანგულ კომპანიასთან აპირებს, ამის კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა. შესაბამისად, "ენერგოტერორიზმის" შემდეგ, თბილისელი მომხმარებელი, შესაძლოა, სულ მალე "საწყალოსნო ტერორიზმის" მსხვერპლიც გახდეს.

როგორც თავად ტენდერის, ასევე ინვესტორთან გასაფორმებელი კონტრაქტის ერთ-ერთ უპირველეს ღირსებად მისი შემოქმედნი მესაკუთრის შენარჩუნებას მიიჩნევენ - "თბილწყალკანალი" სახელმწიფოს საკუთრებაში რჩება და "ჯენერალ დეზო" მხოლოდ მის 10-წლიან მართვას განახორციელებს. თუმცა, რატომ არის ტენდერის ეს ურაპატრიოტული ნაწილი ასე მნიშვნელოვანი, ვერავინ ხსნის. როგორც თავად სისტემის, ასევე უპირველესად მომხმარებლისთვის ხომ პირველადი მნიშვნელობა ამ სეგმენტის გამართულ მუშაობას ენიჭება და ნამდვილად აბსოლუტურად სულ ერთია, ვინ იქნება კომპანიის დროებითი ოპერატორი თუ მუდმივი მფლობელი.

რაც შეეხება გამართული მუშაობის ნაწილს, ამ მხრივ კონტრაქტი სულაც არ არის ისეთი მკაცრი, როგორიც შეიძლებოდა ყოფილიყო. მაგალითად მარტო იმ ფაქტის დასახელებაც კმარა, რომ "ჯენერალ დეზოს", პრაქტიკულად, არავითარი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება წყლის ხარისხზე - ამაზე კონტრაქტში უბრალოდ არაფერია ნათქვამი. ასე რომ, თუ თბილისური ონკანიდან ტრადიციული ჟანგიანი და ამებიაზის ჩხირებით "გამდიდრებული" სითხე გადმოდინდა, პასუხს ახალ ფრანგ მეთულუხჩეებს ისევე ვერავინ მოსთხოვს, როგორც მათ ძველ ქართველ თანამეამქრეებს ვერ სთხოვდნენ.

არანაკლებ საინტერესოა კონტრაქტის ფინანსური ნაწილიც. აქ უპირველესი და უმნიშვნელოვანესი მომენტი არის ის, რომ პრინციპში გადაწყვეტილია ტარიფის პერმანენტული და თან აბსოლუტურად გაუგებარი მოდელით ზრდა. პირველ ეტაპზე, იჯარის პირველი სამი წლის განმავლობაში გაზრდილი ტარიფის მოთხოვნებს მსოფლიო ბანკის კრედიტის სახსრები (?) და ბიუჯეტი (?) შეავსებს, მეოთხე წლიდან კი ტარიფი, დაახლოებით, 15 პროცენტიან მატებას დაიწყებს და უკვე მეექვსე წლისთვის დღევანდელი 1,2 ლარის ნაცვლად, როგორც "თბილწყალკანალში" ვარაუდობენ, 2 ლარს გაუტოლდება.

სცენარი მეტნაკლებად ნაცნობია. "თელასის" გაყიდვის დროსაც თავდაპირველადვე იყო ნათქვამი, რომ ტარიფი ეტაპობრივად ოთხჯერ გაიზრდებოდა. თუმცა, არავის დაუწესებია ზედა ზღვარი და დენის ფასი 4 წლის განმავლობაშო გასამმაგდა - ერთი კილოვატი 4,5-დან 13,7 თეთრამდე გაიზარდა. ცხადია, თბილისის სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის გაყიდვის დროს არავის უთქვამს, რომ ზრდა ამხელა იქნებოდა. ამას, შესაძლოა, კომპანიის გაყიდვის პროცესიც კი ჩაეშალა.

დღეს "თბილწყალკანალშიც" იგივე ხდება. 10-წლიანი კონტრაქტის მოქმედების პირობებში, ნამდვილად ვერავინ უზრუნველყოფს, რომ "ჯენერალ დეზო" ნლიური 15 პროცენტიანი ზრდით შემოიფარგლება და მისი აპეტიტი დროთა განმავლობაში არ იმატებს. მით უფრო, რომ აქაც, ისევე როგორც "თელასის" შემთხვევაში, ინვესტორს პრაქტიკულად არავითარი წარმოდგენა არა აქვს იმ ქონების რეალურ მოცულობაზე, ღირებულებასა და სისტემის გამართვისთვის აუცილებელი ინვესტიციების ზუსტ ოდენობაზე, რომელიც "თბილწყალკანალს" ჭირდება. ეს თანხა გაცილებით მეტია, ვიდრე მსოფლიო ბანკის პროექტის ან თავად "ჯენერალ დეზოს" მიერ საინვესტიციოდ გამზადებული სახსრების რაოდენობა. შესაბამისად, აქ კიდევ ერთხელ შეიძლება განმეორდეს "თელასის" არცთუ სახარბიელო ისტორია, როდესაც კომპანია აღმოჩნდება ჭარბი ინვესტიციების განხორციელების აუცილებლობის წინაშე, ამ ინვესტიციების სიდიდეს ვერავინ გადაამოწმებს, სამაგიეროდ აუცილებლად და საკმაოდ საგრძნობლად გაიზრდება ტარიფი (ინვესტორს ეძლევა უფლება, მსოფლიო ბანკის უპროცენტო სესხიდან ქსელის რეაბილიტაციაზე მიმართული თანხა ტარიფში ასახოს), რომელიც ან მოსახლეობას უნდა დააწვეს, ან სახელმწიფო ბიუჯეტს.

მაგრამ საკითხი ამითაც არ ამოიწურება. თუ გადასახადების ამოღების მოცულობა ნაკლები იქნება წინასწარ გაცხადებულ ციფრზე, დანაკლისს "ჯენერალ დეზოს" კვლავ სახელმწიფო ბიუჯეტი შეუვსებს, რაც თავისთავად ბადებს კითხვას, მაშინ რაღა საჭირო იყო ინვესტორი, თუ "თბილწყალკანალი" კვლავაც სახელმწიფოს კმაყოფაზე არსებულ ობიექტად უნდა დარჩეს.

ასეთია ის უფლებები და დაპირებები, რომელიც ინვესტორს ეძლევა. სამაგიეროდ მას (ამჯერადაც ტრადიციულად) თითქმის არავითარი პასუხისმგებლობა არ ეკისრება ხელშეკრულების დარღვევაზე და სანარმოს დროზე ადრე დატოვების შესაძლებლობაც ეძლევა იმ შემთხვევაშიც კი, თუ ქართული მხარე ვალდებულებებს პირნათლად შეასრულებს.

ცალკე საუბრის თემაა ის მემკვიდრეობა და ამ მემკვიდრეობის შემოქმედნი, რაც "ჯენერალ დეზოს" თავად "თბილწყალკანალში" ხვდება. ფრანგულ კომპანიას უპირველესად "წყალკანალის" ვალები ხვდება, რომელთა ბედიც ასევე გაურკვეველია. მათ ჩამოწერას, ცხადია, არავინ მოახდენს. შესაბამისად, ეს ვალებიც, ალბათ, ტარიფში შევა და ისევ მომხმარებელს დააწვება ("თელასის" მაგალითი ამ მხრივაც უაღრესად თვალსაჩინოა: მიუხედავად იმისა, რომ მას ვალები 99 წლით გადაუვადეს, მომხმარებლიდან წლობით დაგროვილი ვალების ამოღება მაინც დაუყოვნებლივ დაიწყო).

და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, "ჯენერალ დეზოს" "თბილწყალკანალში" ერთობ ორიგინალური ქართული მენეჯმენტი ხვდება. ორიგინალური როგორც მუშაობის წესით, ასევე უკვდავებით. დიახ, სწორედაც უკვდავებით, რადგან კომპანია "თბილწყალკანალს", რომელიც მუდამ ბიუჯეტის კმაყოფაზეა და ეს დოტაცია წლიდან წლამდე მზარდია; კომპანიას, რომელსაც წყალზე ტარიფს უმატებენ და ის დაწყევლილივით ამოღებას ამცირებს; დაბოლოს, კომპანიას, სადაც კორუფცია და სახსრების არამიზნობრივი ხარჯვა საკმაოდ იოლი დასამტკიცებელია, ქვეყანაში ერთ-ერთი ყველაზე მდგრადი და წაუქცეველი ქართველ მენეჯერთა გუნდი უდგას სათავეში, რომლის გამოცვლას არც რევოლუციები ეხება, არც ქალაქის მერების ცვლილებები და არც "წყალკანალის" მუშაობის სულ უფრო და უფრო დაბალი ხარისხი.

რატომ ხდება ეს, თავად განსაჯეთ. შიშველი ფაქტი კი ის არის, რომ როგორც უკვე ათასგზის ნახსენებ "თელასში", "თბილწყალკანალშიც" ინვესტორის დამდუღრულ რეჟიმში შემოყვანა და მისთვის ყველაფრის ფეშქაშად მირთმევა სწორედ ამ მენეჯერთა და მათ ჯაჭვზე ფართოდ გამობმულ ჩინოვნიკთა უპირველესი დამსახურებაა.

ექსპერტები ერგნეთის ბაზრობის დახურვის შედეგების შესახებ

ხელისუფლებამ თავიდან უნდა აიცილოს კონტრაბანდული გზების "ჩანაცვლება"

ეთერ მამულაშვილი

შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანაში "ერგნეთის" პრობლემა აღარ არსებობს, რითიც, როგორც ექსპერტები ირწმუნებიან, კონტრაბანდის მოცულობა ადგილობრივ ბაზარზე, სხვადასხვა შეფასებებით, 35-დან 75 პროცენტამდე შემცირდა. ცხადია, საქართველოს ხელისუფლების ეს გადაწყვეტილება უდავოდ დადებითად არის აღსაქმელი და ხანგრძლივ პერსპექტივაში იგი ცალსახად დადებით შედეგებს მოგვცემს.
თუმცა, იგივე ექსპერტები აღიარებენ, რომ ამ გზით ჩრდილოვანი სექტორის შევიწროვებას თან სდევს მთელი რიგი უარყოფითი პროცესები, რომლის დარეგულირება ხელისუფლებას დროულად მართებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვეყანაში კონტრაბანდის ახალი წყაროები გაჩნდება. ასეთ პროგნოზს აკეთებს ეკონომიკურ ექსპერტთა ერთი ნაწილი.

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

ნათია თურნავა - ეკონომიკის მინისტრის მოადგილე:

ყველასათვის ცნობილი ფაქტია, რომ კონტრაბანდის ერთ-ერთი უმსხვილესი წყარო ერგნეთის ბაზრობა იყო. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მარტო ერგნეთის ბაზრობის ხარჯზე პროდუქციის დაახლოებით 75-პროცენტიანი ლეგალიზაცია მოვახერხეთ. ბუნებრივია, მხოლოდ ერგნეთზე კონცენტრირება არასწორი იქნება. როცა ჩვენ ვსაუბრობთ, რომ ამ სფეროში არნახული წესრიგი უნდა დავამყაროთ, მაშინ უნდა ვიცოდეთ და შევეგუოთ იმას, რაც კონტრაბანდასთან ბრძოლას თან ახლავს. ბუნებრივია, რომ კონტრაბანდასთან ბრძოლა ყოველთვის ამცირებს არალეგალურ სექტორში დასაქმებულთა შემოსავლებს და სამუშაო ადგილებს, ამიტომ პარალელურად უნდა მიმდინარეობდეს ლეგალურ ეკონომიკაში სამუშაო ადგილების ზრდა. ეს რაღაც შეკრულ წრეს ჰგავს - თუ კონტრაბანდას არ ებრძვი, მაშინ ლეგალურ ეკონომიკას მიმზიდველობა არა აქვს და იქ განვითარება არ ხდება, ამიტომ აქ ერთი მეორეს განაპირობებს, თუმცა არა მგონია, რომ ამ ღონისძიებამ პროდუქციის ფასების სერიოზულ ზრდამდე მიგვიყვანოს, რადგან ჩვენი მსყიდველუნარიანობა ნაკლებად ელასტიურია. გარდა ამისა, ფასების ზრდა პირდაპირ დაარტყამდა გასაღებას.

დემურ გიორხელიძე - ყოფილი პარლამენტარი, ეკონომიკის ექსპერტი:

პირველი, რაც ხელისუფლების ამ ნაბიჯს მოჰყვება, არის ის, რომ ეკონომიკის ჩრდილოვანი სექტორი მკვეთრად შემცირდება; თუმცა მსგავს პროცესებს ყოველთვის თან სდევს ადამიანთა გარკვეული კატეგორიის შემოსავლის გარეშე დარჩენა. ამიტომ ვფიქრობ, რომ ხელისუფლებას სასწრაფოდ მართებს იმ ღონისძიებების გატარება, რომლებიც ამ ადამიანების ლეგალურ სექტორში დასაქმებას უზრუნველყოფს. წინააღმდეგ შემთხვევაში, კონტრაბანდა ქვეყანაში არ შემცირდება; უბრალოდ, შეიცვლება ტრასები. კიდევ ერთი უარყოფითი შედეგი, რაც ამ ღონისძიებას შეიძლება თან ახლდეს, არის პროდუქციაზე ფასების შესაძლო ზრდა. ეს ბუნებრივიცაა, როცა იმპორტის (თანაც - იაფფასიანი იმპორტის) ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო იკეტება, ეს ავტომატურად მოქმედებს ფასებზე, მით უმეტეს - როცა ქვეყანაში არ ხდება იმპორტის შემცვლელი ადგილობრივი წარმოების სტიმულირება. მიუხედავად ამხელა უარყოფითი შედეგებისა, დარწმუნებული ვარ, რომ სხვა გამოსავალი არ არსებობდა, ერგნეთის ბაზრობა უნდა დახურულიყო.

თენგო შერგელაშვილი - ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია:

მთავარი დადებითი შედეგი არის ის, რომ ბაზარზე კონტრაბანდული საქონელი მნიშვნელოვნად შემცირდება. ეს, თავის მხრივ, დადებითი ტენდენცია არის. რაც შეეხება ამ ღონისძიების უარყოფით მხრეს: იმის გამო, რომ ერგნეთის ბაზრობა არა მარტო ადგილობრივ დონეზე, სხვებისთვისაც სერიოზული შემოსავლის წყარო იყო, გარკვეული ადამიანების უკმაყოფილებას ეს, ბუნებრივია, გამოიწვევს; თუმცა, არა მგონია, რომ ამ ყველაფერმა ფასებზე სერიოზული გავლენა იქონიოს, რადგან ეს პროცესი ახლა არ დაწყებულა - შეზღუდვები კარგა ხანია, რაც დაიწყო. შეგახსენებთ, რომ კონტრაბანდასთან ბრძოლა და "შავი ხვრელების" ამოქოლვა ხელისუფლებას ერგნეთის ბაზრობით არ დაუწყია, მანამდე იყო წითელი ხიდი, აჭარა...

აქ, ჩემი აზრით, მთავარია, რამდენად და როგორ ჩაენაცვლება კონტრაბანდას კანონიერი იმპორტი, რაზეც ბევრი რამ არის დამოკიდებული. არსებობს ერგნეთის სხვა კონტრაბანდული გზით ჩანაცვლების რეალური საშიშროებაც, რადგან ადამიანის შესაძლებლობებს ზღვარი არა აქვს, მით უმეტეს - ამ შემთხვევაში, როცა შემოსავლის გარეშე დარჩენილ ადამიანებზე ვსაუბრობთ; თუმცა, მგონია, რომ კონტრაბანდასთან ბრძოლას ხელისუფლება ერგნეთით არ დაამთავრებს და ის სხვა მიმართულებებითაც გაგრძელდება.

ირაკლი კოვზანაძე - თსუ-ს პროფესორი:

კონტრაბანდის დაკეტვა პროდუქციაზე ფასების ზრდას გამოიწვევს. ეს ლოგიკურიც არის, თუმცა მიმაჩნია, რომ ხელისუფლების ამ ღონისძიებას, რასაც ერგნეთის გადაკეტვა ჰქვია, პლუსები წარმოუდგენლად დიდი აქვს. დარწმუნებული ვარ, რომ ეს სამუდამოდ მოაწესრიგებს სამრეწველო ბაზარს. გარდა ამისა, აუცილებლად იმოქმედებს ფისკალურ პოლიტიკაზეც. მგონია, რომ პროდუქციის გაძვირება გარდაუვალი პროცესი იქნება. ამიტომ ამ შემთხვევაში სახელმწიფომ თავისი მარეგულირებელი ორგანოების საშუალებით უნდა დაარეგულიროს ფასები. წინააღმდეგ შემთხვევაში, ფასებზე ცვლილებები 5-7 პროცენტამდეა მოსაღოდნელი. კიდევ ერთი, რაც ხაზგასმით უნდა აღნიშნოს: სახელმწიფომ რაც შეიძლება სწრაფად უნდა შეუწყოს ხელი იმას, რომ ადამიანები, რომლებიც ერგნეთით "იკვებებოდნენ", დაუსაქმებლები არ დარჩნენ.

რაც შეეხება ერგნეთის ალტერნატიულ გზებს, არა მგონია, რომ ამის საშიშროება ქვეყანაში დღეს არსებობდეს, რადგან აშკარად ვხედავ, ხელისუფლების დიდ სურვილს და მის პოლიტიკურ ნებას ქვეყანაში კონტრაბანდის აღკვეთასთან დაკავშირებით.

თბილისი-ცხინვალი - კომფორტული და იაფი

მარიამ ჯაჭვაძე

დღეიდან თბილისი-ცხინვალის მიმართულებით მოძრავი ავტობუსები მგზავრებს შემცირებული ტარიფით მოემსახურებიან. თუკი დღემდე ამ მიმართულებით მგზავრობის ღირებულება 3 ლარს შეადგენდა, ინფრასტრუქტურისა და განვითარების მინისტრის თამარ სულუხიას გადაწყვეტილებით, მოქმედი ტარიფი 50 თეთრით შემცირდება და რეისების რაოდენობა კვირაში 12-ით განისაზღვრა.

მინისტრის თქმით, შესაძლოა, უახლოეს მომავალში რეისების ეს ინტენსივობა კიდევ უფრო გაიზარდოს, რადგან ამ ბოლო დღეებში აშკარად შეიმჩნევა მგზავრთა ნაკადის უმნიშვნელო ზრდა. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სიახლე, რომელიც ძალაში დღეიდან შედის. მინისტრის თქმით, თბილისი-ცხინვალის მიმართულებით პენსიონრები, პედაგოგები, ინვალიდები და ბავშვები უფასოდ იმგზავრებენ, შესაბამისი საბუთის წარდგენის შემთხვევაში. ამ კატეგორიის მგზავრთა გადაყვანის ხარჯებს სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული ტრანსპორტის მარეგულირებელი ადმინისტრაცია გაიღებს.

ამ მარშუტით მგზავრთა გადაყვანას უზრუნველყოფს ტენდერში გამარჯვებული ავტოგადამზიდავი კომპანია "ტრანსპლიუსი", რომელიც, მინისტრის თქმით, მგზავრობის გაიაფებით დიდ დათმობაზე წავიდა.

სულუხიას ინფორმაციით, უახლოეს რამდენიმე კვირაში ცხინვალის რეგიონში მგზავრობა კომფორტულიც გახდება, როცა საგზაო დეპარტამენტი ქართულ და ოსურ სოფლებში მისასვლელი გზების რეაბილიტაციას დაასრულებს. სარეაბილიტაციო სამუშაოებს კი საგზაო დეპარტამენტი სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე დღეიდან იწყებს. შესაბამისი სამშენებლო ტექნიკა, მიუხედავად გარკვეული შეფერხებებისა, უკვე ცხინვალის ტერიტორიაზეა. როგორც საგზაო დეპარტამენტში გვითხრეს, ცხინვალი-გორი-როკის და თამარაშენი-კეხვის 17-კილომეტრიანი გზის მონაკვეთის შეკეთებით დაიწყება რეგიონში აღდგენითი სამუშაოები, რადგან ხსენებული მაგისტრალი ძალზე სავალალო მდგომარეობაშია და საერთაშორისო მნიშვნელობა გააჩნია. რუსეთთან დაკავშირება სწორედ გზის ამ მონაკვეთით ხდება, ამიტომაც მისი დროული შეკეთება, ქართული მხარის გარდა, თვითგამოცხადებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ინტერესებშიც შედის.

გარდა ამისა, რეგიონში იგეგმება სხვა მონაკვეთების რეაბილიტაციაც. გზების აღდგენითი სამუშაოები, სავარაუდოდ, მთელი თვის განმავლობაში გაგრძელდება. საგზაო დეპარტამენტის ამავე პროექტის ფარგლებში იგეგმება ორი ხიდის აღდგენა. გზებისა და ხიდების მშენებლობის პროცესში ქართველებთან ერთად დასაქმებულები იქნებიან ადგილობრივი ოსი ეროვნების მოქალაქეებიც.

როგორც "24 საათს" საგზაო დეპარტამენტში განუცხადეს, ყველა სარეაბილიტაციო სამუშაოების ხარჯებს თავად დეპარტამენტი გაიღებს საკუთარი საგზაო ფონდიდან. წინასწარი ინფორმაციით, დანახარჯები 650 ათას ლარს შეადგენს, თუმცა, როგორც დეპარტამენტში გვითხრეს, ეს ციფრი, შესაძლოა, მნიშვნელოვნად გაიზარდოს. საქმე ის არის, რომ დღეიდან უახლოესი რამდენიმე დღის განმავლობაში საგზაო დეპარტამენტის თანამშრომლები ცხინვალის რეგიონში გზების ინვენტარიზაციას იწყებენ. როგორც დეპარტამენტში გვითხრეს, შესაძლოა, რეგიონში გზების მდგომარეობის შესახებ მათ ხელთ არსებული მონაცემები რეალობას არ ასახავდეს და საჭირო გახდეს დამატებით სხვა მონაკვეთების შეკეთებაც.

ქართული საბანკო სისტემა ცხინვალში ფილიალების გასახსნელად მზად არის

სოფიკო ოხანაშვილი

ქართული საბანკო სისტემა პრეზიდენტის ინიციატივას გამოეხმაურა - გუშინ "საქართველოს ეროვნული ბანკის" და "სახალხო ბანკის" წარმომადგენლები ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ჩავიდნენ. თვითგამოცხადებული რესპუბლიკის მისადგომებთან შექმნილი პრობლემების მიუხედავად, ეროვნული ბანკისა და "სახალხო ბანკის" წარმომადგენლებმა ცხინვალში შესვლა მაინც მოახერხეს.

ვიზიტის მთავარი მიზანი ცხინვალსა და მის მიმდებარე სოფლებში ბანკების ფილიალების გახსნის შესაძლებლობების განხილვა და რეალური მდგომარეობის შესწავლა იყო. "სახალხო ბანკის" წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაში, "სახალხო ბანკი" ტექნიკურად მზად არის ცხინვალში ფილიალის გასახსნელად, რომელიც რეგიონის მოსახლეობას, პენსიების დარიგების გარდა, საბანკო მომსახურების სრულ პაკეტს შესთავაზებს. **"ქართული საბანკო სისტემა გაფართოებისთვის ტექნიკურად მზად არის. საჭიროა მხოლოდ პოლიტიკური ნება,"** - აცხადებენ ეროვნულ ბანკში.

"სახალხო ბანკის" ხელმძღვანელობამ სოფელ თამარაშენში არსებული ფილიალიც მოინახულა. სოფელ თამარაშენში არსებული ფილიალიდან უკვე ოთხი თვეა, იქაური მოსახლეობა პენსიებს იღებს. "სახალხო ბანკის" დირექტორის ლაშა ხოფერიას თქმით, თამარაშენის ფილიალში დაგეგმილია მომსახურების სერვისის გაფართოება — ფილიალი მოსახლეობას სწრაფი ფულადი გზავნილებით და სხვა სახის საბანკო მომსახურებით უზრუნველყოფს.

ოსური მხარის პოზიცია, ჯერჯერობით, უცნობია. გუშინ ეროვნული ბანკისა და "სახალხო ბანკის" წარმომადგენლებს სამხრეთ ოსეთის ოფიციალური პირები არ შეხვედრიან.

ორი სიტყვით

თბილისი. საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისია მსოფლიო ბანკის დაფინანსებით მუშაობს "მოსახლეობის უნივერსალური სერვისით უზრუნველყოფის პროექტზე". სერვისი საქართველოს ყველა სოფელში უნივერსალური პუნქტის ფუნქციონირებას გულისხმობს, რომლის საშუალებითაც მოსახლეობას ტელეფონით და ინტერნეტით სარგებლობის საშუალება მიეცემა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს ეროვნული ბანკის 2003 წლის ანგარიში პარასკევს გამართულ პარლამენტის სხდომაზე დადებითად შეაფასა პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ. მან აღნიშნა, რომ საბანკო სექტორმა ქვეყნის პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფაში გადამწყვეტი როლი შეასრულა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის სამეთვალყურეო საბჭო ახალ თავმჯდომარეს 10 ივნისს აირჩევს. 10 ივნისს დაგეგმილია კორპორაციის ახალი სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა, რომლის დღის წესრიგშიც შეტანილია თავმჯდომარისა და მისი მოადგილის არჩევის საკითხი. **ინტერ-პრესი**

"ს/ს თელასის" განცხადება

ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:

7 ივნისს, 11.00-დან 16.00-სთ-მდე:
რუსთაველის გამზირის(ნაწილობრივ), მარჯვენა სანაპიროს, მანჯგალაძის, ვაჩნაძის, გალაქტიონ ტაბიძის, ათონელის, ორბელიანის, თაბუკაშვილის, ინგოროყვას(ნაწილობრივ), კოტეტიშვილის, ოძელაშვილის, უკრაინკას, ყიფიანის, ზუბალაშვილების, ანტონ კათალიკოსის, ბამბის რიგის, ჩალაუბნის, ჩახრუხაძის, ერეკლე მეორის, ივერიის, ლესელიძის, ნაკაშიძის, რკინის რიგის, შარდენის, შავთელის, სიონის, ათონელის, ავლევის, ბარათაშვილის, გოგჩის, მტკვრის, ორბელიანის, სულხანიშვილის, ტელეგრაფის ქუჩების მაცხოვრებლებს.

ქართულ ბაზრებში ფასებმა საგრძნობლად მოიმატა

დიანა ჩაჩუა

თბილისის ბაზრებში ფასების საგრძნობი მომატება შეინიშნება. "24 საათი" შეეცადა, პროდუქციის გაძვირების მიზეზები გაერკვია. ერთ-ერთ მიზეზად ერგნეთის ბაზრის, ანუ საქართველოში შემომავალი უმნიშვნელოვანესი კონტრაბანდული ნაკადის გაუქმება სახელდება.

ამჟამად ერგნეთის პროდუქტების გარეშე დარჩენილი ბაზრები მარაგით ვაჭრობენ. ის, თუ საიდან მოხდება პროდუქტების შემოტანა მარაგის დამთავრების შემდეგ, ბევრს გადაწყვეტილი არ აქვს. ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ ცხადია - საიდანაც არ უნდა მოხდეს პროდუქტებით მომარაგება, მათი ფასები კიდევ უფრო გაიზრდება.

საბურთალოს ერთ-ერთი ბაზრის ადმინისტრატორი აღიარებს, რომ ფასები გაიზარდა და ამის მიზეზად, ერგნეთის ბაზრის დახურვასთან ერთად, ბუნებრივი პირობების გაუარესებას ასახელებს. **"ცხრა წელია, ბაზარში ვმუშაობ და ასეთი ფასები არ მახსოვს. გარკვეულწილად, ამაზე ერგნეთის ბაზრის დახურვამ იმოქმედა, მაგრამ ეს ცუდი ამინდებითაცაა გამოწვეული,"** - განაცხადა ამავე ბაზრის ერთ-ერთმა გამყიდველმა. ბაზრის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ფასების ზრდის დონე მისი ბაზრის მაგალითზე 10-15 პროცენტით შეაფასა.

თბილისის ერთ-ერთ ყველაზე დიდ ბაზარში - "ცენტრალურ სუპერმარკეტში" (იგივე დეზერტირებში) - ფასების მომატება შეიმჩნევა, თუმცა არა ისეთი, როგორც ზემოთ ნახსენებ ბაზრებში. როგორც "ცენტრალური სუპერმარკეტის" დირექტორის მოადგილემ ნინო ბალიაშვილმა განაცხადა, მათთან ფასების ცვლილება, ძირითადად, წინასაახალწლო ან ახალი ხილის შემოსვლის პერიოდშია დამახასიათებელი, მაგრამ ამჟამად სხვა მიზეზებია:

ხელისუფლების მიერ წამოწყებული ანტიკორუფციული პროცესები საქართველოში ფასების მომატების მიზეზი გახდა; მაგალითად, ფინანსური პოლიციის მიერ თევზის მაცივრების დალუქვის გამო ბაზარში თევზი თითქმის აღარ არის. ამასთან, **"თუ ადრე თევზი 15 ლარის ფარგლებში იყიდებოდა, ახლა ეს ფასი 25-ლარამდე გაიზარდა, თევზი ბაზარში თითქმის აღარ არის,"** - განაცხადა ბალიაშვილმა.

მისივე თქმით, გაზრდილია ხორცის ფასი და, როგორც ვარაუდობენ, მისი ზრდა კვლავ მოსალოდნელია. ამის მიზეზი, როგორც ბაზრის დირექტორის მოადგილემ აღნიშნა, საქართველოში ხორცის პროდუქტების ნაკლებობაა. **"ადრე ხორცი რუსეთიდან შემოდიოდა, მაგრამ ეს ძალიან დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული,"** - დაამატა ბალიაშვილმა.

"ცენტრალური სუპერმარკეტის" ადმინისტრაცია ფასების გაზრდის კიდევ ერთ მიზეზად განბაჟების პროცენტის გაზრდასაც ასახელებს. ადმინისტრაციის მონაცემებით, ფასის ცვლილების დონე ბაზარში დაახლოებით 3-5 პროცენტია.

რაც შეეხება თბილისში პურის ფასს, იგი ბოლო რამდენიმე თვეა, დაბალანსებულია. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პურის ფასის სტაბილურობა სახელმწიფოს ხელში არსებული ხორბლის მარაგების მიზანმიმართული რეგულირებით არის განპირობებული.

საბოლოო ჯამში, ცხადია, რომ კონტრაბანდული გზების გადაკეტვა ფასებს ზრდის, თუმცა, ლოგიკურად, თუ საქმე მხოლოდ ანტიკორუფციულ ღონისძიებებშია და არა უბრალო სპეკულაციაში, ფასებთან ერთად აუცილებლად უნდა გაიზარდოს ქვეყნის ბიუჯეტი. ამან კი, წესით, ხელისუფლებას სოციალური ხარჯების გაზრდის საშუალება უნდა მისცეს. ხელისუფლება, რომელიც დღეს მართლაც მნიშვნელოვანი ტერიტორიული პრობლემების მოგვარებაში არის ჩართული, აშკარად ნაკლებ ყურადღებას აქცევს იმ ეკონომიკურ და სოციალურ შედეგებს, რასაც მთელ საქართველოში იწვევს ბოლო დღეებში მის მიერ გადადგმული ნაბიჯები. თუ ეს ყურადღება სასწრაფოდ არ იქნა გამოჩენილი და გარკვეული ნაბიჯები სოციალური სიტუაციის განსამუხტავად გადადგმული, ექსპერტთა აზრით, მეტად მძიმე სოციალურ მდგომარეობაში ჩავარდნილ მოსახლეობაში სოციალური უკმაყოფილების ტალღაც შეიძლება აგორდეს და სასწრაფოდ მოხდეს ახალი კონტრაბანდული გზების ძიება.

რუსი ბიზნესმენები ხელისუფლებისგან ფინანსურ ამნისტიას ითხოვენ

ნინო ნარჩემაშვილი

ბიზნესისა და ხელისუფლების თანაარსებობის საკითხი მუდმივად დღის წესრიგშია, აქტუალობას არ კარგავს და რუსეთის სახელისუფლებო თუ ბიზნესწრეების მაღალ ეშელონებში ხშირი განხილვის საგანი ხდება. განსაკუთრებული სიმძაფრე კი საკითხმა მას შემდეგ შეიძინა, რაც რუსეთის გენერალურმა პროკურატურამ ქვეყნის უმდიდრესი ბიზნესმენები, კომპანია "იუკოსის" აქციონერები - მიხაილ ხოდორკოვსკი და პლატონ ლებედევი - გადასახადების დამალვის ბრალდებით დააპატიმრა. რუსეთის მრეწველთა და მწარმოებელთა კავშირმა, რომელშიც უმსხვილესი კორპორაციების მფლობელები არიან გაერთიანებულნი, ინიციატივით მიმართა რუსეთის მთავრობას, ამნისტიის მეშვეობით მოახდინოს ადრეულ წლებში ქვეყნის გარეთ გატანილი კაპიტალის ლეგალიზაცია.

კავშირის ვიცე-პრეზიდენტის იგორ იურგენსის თქმით, სახელისუფლებო ორგანოებს შესაბამისი წინადადებები უკვე გაეგზავნათ და მიუხედავად იმისა, რომ მათი რეალიზება სახელმწიფო ბიუჯეტს რამდენიმე მილიარდ დოლარს შეჰმატებს, პრობლემა ბიზნესი-ხელისუფლება მაინც არ გადაიჭრება.

განსხვავებული შეფასება აქვს ბიზნესმენთა უმრავლესობას, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ეს ღონისძიება ხელს შეუწყობს ქვეყნის ბიუჯეტში დამატებითი სახსრების მოზიდვას და, რაც მთავარია, გაზრდის ნდობის ხარისხს ხელისუფლებასა და ბიზნესს შორის. ზოგიერთი ექსპერტი ქვეყნიდან უკანონოდ გატანილი კაპიტალის ამნისტიის შედეგად ერთჯერადი გადასახადის კონკრეტულ თანხად სამ მილიარდ აშშ დოლარს ასახელებს.

კომპანია "ვიმ-ბილ-დანის" პრეზიდენტი დავით იაკობაშვილი აცხადებს, რომ **"აუცილებელია კაპიტალის ამნისტირება. რათა სამუდამოდ ბოლო მოეღოს გაურკვევლობას და მოხდეს მისი ე.წ. დეკლარირება, უნდა გადავიხადოთ გადასახადები და ვიცხოვროთ მშვიდად".**

გამოსვლები, წინადადებები და მოწოდებები ცარიელ სიტყვებად დარჩება, თუ რუსეთის საკანონმდებლო და აღმასრულებელმა ხელისუფლებამ ბიზნესმენთა მიერ შეთავაზებული წინადადებები არ მიიღო და შესაბამისი ქმედებები არ განახორციელა. ბლოკ "ედინაია როსიას" ერთ-ერთი ლიდერი, რუსეთის დუმის ვიცე-სპიკერი ოლეგ მოროზოვი მიიჩნევს, რომ ნიადაგი ფინანსური ამნისტიის შესახებ კანონის მისაღებად უკვე მომწიფდა და მხარს უჭერს ქვეყნის გარეთ გატანილი რუსული კაპიტალის ლეგალიზაციის იდეას. რაც შეეხება იდეას, თუ რუსეთის საკანონმდებლო ორგანოში ოლეგ მოროზოვის სტატუსსა და გავლენას, აგრეთვე პარლამენტში მისი თანაგუნდელების რაოდენობას გავითვალისწინებთ, მისი დაკანონება დიდი პრობლემა არ უნდა იყოს.

ამერიკული დაზვერვა ტენეტის გარეშე

მასთან ერთად კიდევ ერთი გავლენიანი მზვერავი ტოვებს პოსტს

მსოფლიო მასმედიის და ანალიტიკური წრეების განხილვის მთავარ თემად ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს დირექტორის ჯორჯ ტენეტის გადადგომა რჩება.

მიუხედავად იმისა, რომ პრესისათვის კომენტარი მას თავად არ გაუკეთებია, და ტენეტის გადადგომა პრეზიდენტმა ბუშმა მხოლოდ "პირადი ხასიათის მოტივებით" ახსნა, ექსპერტთა უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ დაზვერვის გავლენიანი შეფის თანამდებობა სამი წლის წინანდელმა, 11 სექტემბრის ტრაგედიამ შეინირა. ტენეტი ლენგლის ტერიტორიას ივლისში დატოვებს. ახალი შეფის დანიშვნამდე კი ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს დირექტორის მოვალეობას მისი პირველი მოადგილე ჯონ მაკლოკლინი შეასრულებს.

სააგენტო "ბიბისის" ცნობით, კიდევ ერთი გავლენიანი მზვერავი ტოვებს პოსტს. მისი სახელია ჯეიმს პავიტი, რომელიც სააგენტოს საიდუმლო ოპერატიულ დირექტორატს ხელმძღვანელობდა. პავიტი ორგანიზაციში 31 წლის განმავლობაში მუშაობდა და მისი სახე არც ერთ ჟურნალისტს არ აქვს ნანახი. დღემდე არავის ჰქონდა წარმოდგენა იმის თაობაზე, თუ ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს საიდუმლო სპეცოპერაციებს ვინ ედგა სათავეში. სააგენტოს წარმომადგენლების ცნობით, პავიტის გადადგომის მიზეზი მარტივია - ის პენსიაზე გადის და მისი გადაწყვეტილება ხელმძღვანელობასთან ჯერ კიდევ რამდენიმე კვირის წინ იყო შეთანხმებული. ასე რომ, როგორც დაზვერვის ინკოგნიტო წარმომადგენლები იუწყებიან, პავეტის გადადგომას ტენეტის გადადგომასთან არანაირი კავშირი არ აქვს. თუმცა, ჟურნალისტებს ამაში ძნელად თუ დაარწმუნებს ვინმე. თანაც, იმას თუ გავითვალისწინებთ, რომ კონგრესში ცოტა ხნის წინ

ჯორჯ ტენეტის გადადგომა პრეზიდენტმა ბუშმა მხოლოდ "პირადი ხასიათის მოტივებით" ახსნა. ექსპერტთა უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ დაზვერვის გავლენიანი შეფის თანამდებობა სამი წლის წინანდელმა, 11 სექტემბრის ტრაგედიამ შეინირა.

გამართული მოსმენების დროს, ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ჩავარდნები 11 სექტემბრის ტრაგედიასთან დაკავშირებით სწორედ პავიტმა აღიარა. თანაც, პავიტი სააგენტოში უდიდესი გავლენით სარგებლობდა და ორგანიზაციიდან მისი ტენეტთან ერთად წასვლა ნამდვილად ბადებს ეჭვს.

და ისევ ტენეტი.....

"ის ძლიერი და უნარიანი ხელმძღვანელია და მე ის ყოველთვის დამაკლდება. მე ვლოცავ მას და მის ოჯახს და იმედი მაქვს, რომ სააგენტოდან წასვლამდე კიდევ კარგად ვიმუშავებ მასთან ერთად," - განაცხადა პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა.

ჯორჯ ტენეტი ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს სხვა შეფებისგან იმით განსხვავდება, რომ ეს თანამდებობა ორივე პარტის დროს შეინარჩუნა. ბევრი დამკვირვებელი დარწმუნებული იყო, რომ რესპუბლიკელი ჯორჯ ბუში დემოკრატი კლინტონის მიერ დანიშნულ ტენეტს გაათავისუფლებდა. მაგრამ ეს ასე არ მოხდა, და ტენეტს ეს გარემოება აშკარად აქტივში ჩაეწერა. ბრალდება, რომელსაც მას უყენებდნენ, საკმაოდ სერიოზული იყო: სადამ ჰუსეინის საფრთხის გადაჭარბება და "ალ-ქაიდასთან" არაფექტური ბრძოლა. 11 სექტემბრის ტრაგედიაზე პასუხისმგებლობას ის გამოძიების ფედერალური ბიუროს შეფთან ერთად ინაწილებს.

და ბოლოს, ტენეტის მოკლე ბიოგრაფია ასე გამოიყურება:

ის 1953 წელს, ემიგრანტი ბერძენის ოჯახში დაიბადა. წარჩინებით დაასრულა ჯორჯთაუნის და კოლუმბიის უნივერსიტეტები. 1992-1995 წლებში ეროვნული უშიშროების საბჭოში მუშაობდა. 1995 წელს ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს შეფის მოადგილედ დაინიშნა, ხოლო ერთ წელიწადში კი თავად გახდა ამ ღეგენდარული უწყების დირექტორი.

ევროკავშირსა და რუსეთს შორის, შესაძლოა, სავაჭრო ომი დაიწყოს

გაგრძელება A3 გვერდზე

სულ მცირე, 11 წევრმა სახელმწიფომ, მათ შორის, პოლონეთმა, ესპანეთმა, გერმანიამ, საფრანგეთმა და ირლანდიამ შექმნილი პრობლემების შესახებ პროტესტი გამოთქვეს. ევროკომისიის პრეზიდენტმა რომანო პროდიმ კი თავისი უკმაყოფილება რუსეთის პრემიერ-მინისტრს მიხაილ ფრადკოვს პირადად გამოუცხადა.

რომანო პროდის წარმომადგენელმა საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში რეიო კემპლინენმა აღნიშნა, რომ რუსული მხარის მოქმედებები "იმ ქვეყნის მოქმედებებს არ შეესაბამება, რომელიც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებას აპირებს". "ჩვენ ვერ ვხედავთ ამ ზომების მიღების მეცნიერულ დასაბუთებას, ან სხვა რაიმე სერიოზულ მიზეზს და ეს გარემოება გვიბიძგებს, რომ მიზეზები სხვაგან ვეძიოთ," - დასძინა მან.

აღსანიშნავია, რომ რუსეთმა და ევროკავშირმა, დაახლოებით, ერთი თვის წინ ევროგაერთიანებაში ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოების გაწევრიანებასთან დაკავშირებული პრობლემები მოაგვარეს, ცოტა ხნის წინ კი რუსეთი კოოტოს ხელშეკრულების რატიფიკაციასაც დათანხმდა, რომელიც გლობალური დათბობის შეჩერებას ისახავს მიზნად. ბრიუსელმა პრეზიდენტი პუტინის ამ ჟესტს შესაბამისად უპასუხა და განაცხადა, რომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანებას მხარს დაუჭერს. ამის ფონზე, რამდენიმე დღის წინ დაწყებული სკანდალი ბევრისთვის ნამდვილად მოულოდნელი აღმოჩნდა.

რუსეთის ოფიციალური პირები ამტკიცებენ, რომ მათ, მოსალოდნელი შეზღუდვების შესახებ, ევროკავშირი გააფრთხილეს. თუმცა, ევროკავშირის დიპლომატებმა მიიჩნიეს, რომ პრობლემა თავისთავად მოგვარდებოდა. მათი აზრით, "რუსეთი ევროკავშირთან სრულმასშტაბიან სავაჭრო ომზე ვერ წავიდოდა".

მოსკოვის ქმედებებს სხვადასხვა ახსნას უძებნიან: ზოგიერთები მიიჩნევენ, რომ რუსეთი ბრიუსელისაგან გარკვეულ დახმარებას მოითხოვს; სხვები ამბობენ, რომ მოსკოვი ადგილობრივი ხორცის მწარმოებლების სტიმულირებას ცდილობს.

ასეა თუ ისე, რუსეთთან ევროკავშირის ურთიერთობები ამჟამად ძალიან დაძაბულია. იმასაც ამბობენ, რომ კრემლი ცოტა ხნის წინ მოსკოვში ჩატარებული, ევროკავშირისა და რუსეთის სამიტით არის განაწყენებული. მოსკოვი ევროკავშირთან სხვადასხვა სფეროებში თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავებას მოელოდა, მაგრამ ბრიუსელმა თავი შეიკავა.

აღსანიშნავია, რომ ბოლო დღეებში რუსეთმა თავისი მიდგომა არამარტო ევროპულ, არამედ ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებთანაც შეცვალა. პრეზიდენტმა პუტინმა ცოტა ხნის წინ განაცხადა, რომ სტამბოლში ამ თვეში დაგეგმილ ნატო-ს სამიტს არ დაესწრება. როგორც ჩანს, პრეზიდენტი პუტინი ევროკავშირისა და ნატო-ს გაფართოების გამო თავის გაღიზიანებას ამგვარად გამოხატავს.

პაკისტანი - სუნიტთა და შიიტთა დაპირისპირების ასპარეზი

ლაშა გიორგიძე

ისლამური დაპირისპირება და ფუნდამენტალიზმი თითქმის ყველა მუსლიმური სახელმწიფოსათვის უკვე დამახასიათებელი გახდა. ამერიკანიზაციას და მასთან გაიგივებულ გლობალიზაციას რადიკალური მუსლიმური ორგანიზაციები კამიკაძე-ტერორისტებს და იდეოლოგიურ ომს უპირისპირებენ. მათთვის ყველაფერი დასავლური შეურაცხმყოფელად და მტრულად არის აღქმული. არანაკლებია დაპირისპირება თვით ისლამური რელიგიის სხვადასხვა თემისა და მიმდინარეობის წევრებს შორის. საზოგადოებისათვის ყველაზე ცნობილია სუნიტური და შიიტური დაპირისპირება, მაგრამ ბევრია ისეთიც, რომელიც თანაბრად უარყოფს როგორც ერთი, ისე მეორე თემის აღმსარებლობას და, საერთოდ, ყველა სხვა რელიგიასა თუ სექტას, გარდა საკუთარი თავისა. ერაყის ომის პირობებში, ისლამის ამ ორი ძირითადი თემის მიმდევრებს ერთმანეთთან საბრძოველად არ სცალიათ, სამაგიეროდ, მათ შორის ომი უკვე კულმინაციას აღწევს პაკისტანში. უპირატესობის მისაღწევად, მოწინააღმდეგე თემის მეჩეთების აფეთქება და სულიერი ლიდერების მკვლელობა ქვეყანაში ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. თანაც, იმ ფონზე, როდესაც მოუგვარებელია ინდოეთთან ქაშმირის საკითხი და ტერიტორიული პრობლემები ჩინეთთან.

ორშაბათს ქალაქ ყარაჩის სამხრეთ ნაწილში მომხდარ აფეთქებას 16 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა და 40 ადამიანი დაშავდა. აფეთქება სწორედ იმ რაიონში მოხდა, სადაც რამდენიმე დღის წინ სუნიტი სასულიერო პირი, მუფთი ნიზამუდდინ შამზაი მოკლეს. პაკისტანის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ქვეყნის ხელისუფლება ქალაქში წესრიგის აღსადგენად მკაცრ ზომებს მიიღებს. უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში სუნიტთა და შიიტთა დაპირისპირებას 4000 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. უკანასკნელი აფეთქება იმდენად ძლიერი იყო, რომ შიიტთა ტაძრის მნიშვნელოვანი ნაწილი დაინგრა. როგორც პაკისტანის სამართალდამცავებმა განაცხადეს, ეჭვმიტანილია ერთი ადამიანი, რომელიც შიიტთა ტაძარში აფეთქებამდე რამდენიმე წუთით ადრე შევიდა და მეჩეთში ხელჩანთა დატოვა.

შიიტური ტაძრის აფეთქებამდე პაკისტანის ექვსი მთავარი პარტიის კოალიციამ, რომელსაც მოსახლეობა "მაჯლის-ე-ამალის" სახელით იცნობს, მუფთი შამზაის მკვლელობის გამო, საერთო-სახალხო პროტესტის აქციები გამართა. კოალიცია სუნიტურია და ქვეყანაში ამ თემის ინტერესების აქტიურ გამტარებლად ითვლება. უკანასკნელად მომხდარ აფეთქებამდე პარტიის ლიდერმა მაულან ფაზლურ რაჰმანმა განაცხადა: **"ჩვენ ჩუმად ყოფნას არ ვაპირებთ. ჩვენ დიდი სასულიერო პირის მკვლელობის წინააღმდეგ გამოვალთ... ჩვენ იძულებულნი გავხდებით, შემდეგი ნაბიჯები გადავდგათ, თუკი ნიზამუდდინ შამზაის მკვლელები დაპატიმრებულები არ იქნებიან."** თავის მხრივ, სუნიტი სასულიერო პირის მკვლელობა სამი კვირის შემდეგ მოხდა, მას შემდეგ, რაც ყარაჩიში მეჩეთის აფეთქების შედეგად 14 ადამიანი დაიღუპა.

მართალია, პაკისტანში შეიარაღებული ისლამური ჯგუფების არსებობა ოფიციალურად აკრძალულია, მაგრამ ქვეყანა შიიტური და სუნიტური რადიკალების სიმრავლით მაინც გამოირჩევა. სუნიტური ისლამური ჯგუფებიდან აღსანიშნავია "სიპაჰ-ე-საჰაბასა" და "ლაშქარ-ე-ჟანგვის" შეიარაღებული ორგანიზაციები, ასევე დიდი გავლენა აქვს შიიტურ "თეჰრიკ-ე-ჯაფრიას" დაჯგუფებას.

პირველი ისლამური, სუნიტური დაჯგუფება 80-იანი წლების დასაწყისში შეიქმნა და, თავის დროზე, პოლიტიკური ელფერიც დაჰკრავდა. მის მთავარ მიზანს ირანის შიიტური რევოლუციის შეჩერება წარმოადგენდა. "სიპაჰ-ე-საჰაბას" რადიკალური სუნიტური ორგანიზაცია მოითხოვდა, რომ პაკისტანი ოფიციალურად გამოცხადებულიყო, როგორც ისლამური სახელმწიფო. რაც შეეხება შიიტურ ორგანიზაცია "თეჰრიკ-ე-ჯაფრიას", მისი შექმნაც ირანის ისლამურ რესპუბლიკასთან არის დაკავშირებული, მაგრამ, ამ შემთხვევაში, შიიტური დაჯგუფება აიათოლა ხომეინისაგან პირდაპირ მხარდაჭერას გრძნობდა და ორგანიზაციის სათავეშიც მისი მოსწავლე ალამა არიფ ჰუსეინ ალ-ჰუსეინი იდგა. რამდენად გაამართლა ამ დაჯგუფებამ დიდი აიათოლას იმედები, ეს სხვა საკითხია. ფაქტია, რომ ისლამური რევოლუციის არარსებობის პირობებშიც, იგი არსებობას განაგრძობს.

ყველაზე რადიკალურ და სახიფათო ორგანიზაციად "ლაშქარ-ე-ჟანგვი" სახელდება, რომელიც სხვებთან შედარებით გვიან, 1996 წელს ჩამოყალიბდა. 2003 წელს პაკისტანში მისი საქმიანობა აიკრძალა, ხოლო ერთი წლის შემდეგ, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მოხსენებაში ტერორისტული ორგანიზაციების სიაში მოხვდა. აშშ-ს ოფიციალური განცხადებით, მას მჭიდრო კავშირი აქვს ოსამა ბინ-ლადენის "ალ-ქაიდას" ქსელთან. "ლაშქარ-ე-ჟანგვის" ორგანიზაციას ასევე ბრალად ედება ამერიკელი ჟურნალისტის დანიელ პერლის მკვლელობა ყარაჩიში, 2002 წელს.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში პაკისტანს საერთაშორისო საზოგადოებასთანაც დაძაბული ურთიერთობები ჰქონდა. თუმცა, ბოლო დროს ვითარება მნიშვნელოვნად გამოსწორდა. თანამეგობრობიდან ხუთი წლის წინ გარიცხულ ქვეყანას უფლება მისცეს, ორგანიზაციაში დაბრუნებულიყო, რადგან, როგორც თანამეგობრობის წევრმა სახელმწიფოებმა განაცხადეს, "პაკისტანში დემოკრატიული ძვრები შეინიშნება". თავის დროზე, ორგანიზაციიდან სამხედრო გადატრიალების გამო (რამაც ხელისუფლებაში დღევანდელი პრეზიდენტი, გენერალი ფერვეზ მუშარაფი მოიყვანა) გარიცხული ქვეყანა, დღეს ლიბერალურ ფასეულობებზე აცხადებს პრეტენზიას.

პაკისტანის აღმასრულებელ ხელისულებასთან ერთად, რეალურად, ერთი ადამიანის ხელშია ქვეყნის საკანონმდებლო სისტემაც, რადგან ერთი წლის წინ გამართულ საპარლამენტო არჩევნებში ფერვეზ მუშარაფის მხარდამჭერებმა სრული უმრავლესობა მოიპოვეს. საერთაშორისო საზოგადოებისათვის შეღავათია ისიც, რომ პრეზიდენტმა მუშარაფმა პირობა თანამეგობრობის ქვეყნებს მისცა: წლის ბოლოს იგი არმიის მეთაურის პოსტზე უარს იტყვის. ეს განცხადება დასავლეთმა ძალიან დააფასა, მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ იმავე ფერვეზ მუშარაფის ინიციატივით კონსტიტუციაში ახალი ცვლილებები შევიდა, რითაც მას უფლებები გაეზარდა. გარდა ამისა, რამდენიმე წლის წინ ჩატარებული რეფერენდუმის შედეგად, რომლის სამართლიანობაშიც ბევრ ექსპერტს ეპარება ეჭვი, პაკისტანის პრეზიდენტს უფლებამოსილების ვადა გაეზარდა და მმართველობა ხუთწლიანი გახდა.

ფერვეზ მუშარაფს მისი წინამორბედისაგან საკმაოდ მძიმე მემკვიდრეობა ერგო. რელიგიური ორგანიზაციების გარდა, ქაშმირის მნიშვნელოვანი პრობლემის დროული მოგვარებაც საჭირო იყო. მას შემდეგ, რაც ინდოეთი და პაკისტანი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ჩამოყალიბდა, ქაშმირისათვის ბრძოლამ ორ სუვერენულ სახელმწიფოს შორის ათობით ათასი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ამ პერიოდიდან იზრდება დაინტერესება აშშ-ს მხრიდანაც, რაც მიმართული იყო არა ინდოეთის წინააღმდეგ, ან მის დასაბალანსებლად რეგიონში, არამედ საბჭოთა კავშირის აგრესიის შესაჩერებლად. ვაშინგტონმა ამ დროიდან ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ რეგიონის ქვეყნებისაგან და, მათ შორის, პაკისტანისაგან თავისი ეროვნული ინტერესების დამცველი ბასტიონი შეექმნა. შეიცვალა დრო და შეიცვალა საფრთხე. ამჯერად აშშ-სათვის ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაა მთავარი, რაშიც პაკისტანს, თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობით, ისევ მოწინავე ადგილი უჭირავს. ასე რომ, ქვეყანამ საერთაშორისო ასპარეზზე ფუნქცია კვლავ დაიბრუნა.

თვით პრეზიდენტი ფერვეზ მუშარაფი, რომელიც მთელი დასავლეთისათვის დიქტატორის ტიპური მაგალითი იყო, 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ ყველასათვის ანგარიშგასაწევი ძალა გახდა. მით უმეტეს, იმ პირობებში, რომ იგი ერთ-ერთი იმ მცირეთაგანია, რომელსაც ატომური იარაღის ღილაკზე თითის დაჭერა შეუძლია. მართალია. ოფიციალური ისლამაბადი შეაშფოთა პრეზიდენტ ბუშის პოზიციამ, როდესაც მან უახლესი თავდაცვითი ტექნოლოგიებით ინდოეთის აღჭურვის საკითხში მზადყოფნა გამოთქვა, რამაც შესაძლოა, ინდოეთსა და პაკისტანს შორის დღეს არსებული ბალანსი დაარღვიოს. თუმცა, ვაშინგტონის პოზიცია არც ერთი მათგანის გაძლიერებას ან დასუსტებას არ ისახავს მიზნად. ინდოეთთან მეგობრული ურთიერთობები მას ჩინეთის და რუსეთის შესაძლო აგრესიის შესაჩერებლად სჭირდება, ხოლო პაკისტანი - ავღანეთიდან მომდინარე ტერორიზმის შესაფერხებლად. ამ ორ ქვეყანას შორის კონფლიქტი კი ისევ აშშ-ს გავლენის გაძლიერებას იწვევს.

პრეზიდენტი მუშარაფი, ბოლო დროს განვითარებული მოვლენების შემდეგ, საკმაოდ დიდი პრობლემის წინაშე დადგა. იგი, ერთი მხრივ, იძულებულია, აშშ-ს ინტერესები გაითვალისწინოს, ხოლო, მეორე მხრივ, ვერაფერს უხერხებს ისლამისტი რადიკალების თხუთმეტწლიან დაპირისპირებას, რისი არსებობაც აშშ-ს ინტერესებში აშკარად არ შედის.

საქართველოს განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი

აცხადებს კონკურსს

ვაკანტურ თანამდებობებზე

სასწავლო გეგმების ჯგუფის წევრები

ქართული ენა და ლიტერატურა (2 ადგილი)
მათემატიკა (2 ადგილი)
უცხო ენები (8 ადგილი)
საბუნებისმეტყველო მეცნიერება (3 ადგილი)
სამოქალაქო განათლება (1 ადგილი)
ისტორია (1 ადგილი)
გეოგრაფია (2 ადგილი)
ესთეტიკური აღზრდა (3 ადგილი)
დაწყებითი განათლება (2 ადგილი)
ფსიქოლოგი (3 ადგილი)

შესავალი

საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება "განათლების სისტემის განმტკიცებისა და გარდაქმნის პროექტის" ფარგლებში მოახდინოს ეროვნული სასწავლო გეგმების რეფორმა საშუალო ზოგადსაგანმათლებლო სკოლისთვის ახალი სახელმწიფო მიზნების, სასწავლო მინიმუმის და მიღწევის სტანდარტების ჩამოყალიბებით. პროექტი ფინანსდება მსოფლიო ბანკის კრედიტით.

ეროვნული სასწავლო გეგმების განვითარებაზე პასუხისმგებელია განათლების სამინისტრო. ეროვნული სასწავლო გეგმების განვითარების ქვეკომპონენტის (A1) ამოცანაა შეარჩიოს ადგილობრივი კონსულტანტები პროგრამის მიზნებისა და დავალებების განხორციელებისათვის. შესაბამისი მიმართულების მართვა და კოორდინაცია დაევალებათ ამ კონსულტანტებს.

ძირითადი მოვალეობანი
ჯგუფის წევრი

- პასუხისმგებელია ახალი სასწავლო გეგმის შედგენა/შესწორებაზე შესაბამის დარგში
- ჯგუფის ხელმძღვანელსა და კონსულტანტებთან ერთად აწარმოებს მოლაპარაკებებს დაინტერესებულ მხარეებთან
- მონაწილეობს ახალი სასწავლო გეგმის პილოტირების პროცესში
- პასუხისმგებელია ახალი სასწავლო გეგმის საბოლოო ვარიანტის მომზადებაზე
- მონაწილეობს ახალი სასწავლო გეგმის დანერგვაში
- მოგზაურობს ქვეყნის ფარგლებში სასწავლო გეგმების გავრცელების მიზნით

კვალიფიკაცია და მოთხოვნები

- უმაღლესი განათლება შესაბამის დარგში
- განათლების სისტემაში მუშაობის გამოცდილების სულ მცირე 3 წლის
- სტაჟი (უპირატესობა ენიჭებათ სკოლის მასწავლებლებს)
- შესაბამისი საგნის სასკოლო კურსის კარგი ცოდნა
- სასურველია სასწავლო გეგმებზე მუშაობის გამოცდილება და სხვა ქვეყნების სასწავლო პროგრამების ცოდნა
- ინგლისური ენის კარგი ცოდნა
- კომპიუტერის კარგი ცოდნა

ფსიქოლოგი
ძირითადი მოვალეობანი

- გაუწიოს კვალიფიციური კონსულტაცია საგნობრივი ჯგუფის ექპერტებს (მოამზადოს მასალა 1-12 კლასის მოზარდთა ფსიქოლოგიის შესახებ)
- იმუშაოს საგნობრივ ექპერტებთან სასწავლო დატვირთვის ოპტიმალური მოცულობის განსასაზღვრად
- იმუშაოს საგნობრივ ექპერტებთან სწავლების სხვადასხვა საფეხურზე მისაღწევის მიზნების განსასაზღვრად
- იმუშაოს მოზარდთა ასაკობრივი შესაძლებლობებისა და სასწავლო სტანდარტების შესაბამისობაზე
- მონაწილეობა მიიღოს უნარჩვევების კლასიფიკაციასა და მათი საგნებისა და კლასების მიხედვით განაწილებაში

კვალიფიკაცია და მოთხოვნები

- უმაღლესი ფსიქოლოგიური განათლება (სასურველია სამეცნიერო ხარისხი)
- მუშაობის გამოცდილება * განვითარების ფსიქოლოგიაში
  * კოგნიტურ ფსიქოლოგიაში
  * ბავშვთა და ასაკობრივ ფსიქოლოგიაში
- სამეცნიერო შრომები ზემოთ ჩამოთვლილი თემების შესახებ
- კარგი კომუნიკაციური უნარი
- ინგლისური ენის კარგი ცოდნა
- კომპიუტერის კარგი ცოდნა

კონკურსანტები არ უნდა იყვნენ შესაბამის დარგში მოქმედი სახელმძღვანელოების ავტორები

ხანგძლივობა და ხელშეკრულება

აღნიშნული თანამდებობები ნახევარგანაკვეთიანია. სამუშაო ადგილი თბილისშია. თავდაპირველად ხელშეკრულება დაიდება 1 თვის საგამოცდო ვადით და დამაკმაყოფილებელი შედეგის შემთხვევაში გაგრძელდება ყოველწლიურად.

ვაკანტური ადგილის დასაკავებლად გთხოვთ წარმოადგინოთ განაცხადები ქართულ და ინგლისურ ენებზე (ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსია) შემდეგ მისამართზე:

საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი
0102 თბილისი, უზნაძის ქ. N52, ოთახი N102.
ტელეფონები: **95-98-37; 95-83-13 F**
ელ.-ფოსტა: GEP@wanex.net
საკონტაქტო პირი: ქ-ნი **ეკა ეზუგბაია**

წარმოსადგენი განაცხადების სტანდარტული ფორმები (ელექტრონული ვერსია) შეგიძლიათ მიიღოთ განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრში ზემოთ მითითებულ მისამართზე.

განაცხადების წარდგენის საბოლოო ვადაა 2004 წლის 18 ივნისი.

შენიშვნა

საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად და მსოფლიო ბანკის მოთხოვნით კონკურსში მონაწილეობას ვერ მიიღებენ:

ა) განათლების სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკების ოჯახის წევრები და ახლო ნათესავები;

ბ) ის პირები, რომელთაც მჭიდრო კავშირი აქვთ ისეთ ფირმასთან ან ასოციაციასთან, რომელმაც პროექტის მომზადების ან განხორციელების პერიოდში, შესაძლოა, შეასრულოს საიჯარო სამუშაოები.

"ვაითმენის სინდრომი"

ვერაზე, მაყაშვილის 32-ში მდებარე შპს IMSS (საერთაშორისო სამედიცინო მხარდაჭერის სამსახური), რომელიც თავის დროზე, როგორც ტენდერში გამარჯვებული ფირმა, ბაქო-ჯეიჰანის მომსახურე პერსონალის ჯანმრთელობაზე ზრუნავდა, დღეს ყველა მსურველს ემსახურება. მისი დირექტორია ირლანდიელი წარმოშობის ექიმი მაიკლ მაკარტი, რომლის მისამართით გუშინ არაერთი პრეტენზია გამოითქვა ექიმთა თავისუფალი პროფკავშირების - "სოლიდარობის" ოფისში.

ზაზა ფაჩუაშვილი

"სოლიდარობის" ოფისში შეიკრიბნენ IMSS-ს ყოფილი თანამშრომლები, რომელთა განცხადებით, ნაწილი სამსახურიდან დაითხოვეს ყოველგვარი გაფრთხილებისა და ოფიციალური შეტყობინების გარეშე, ნაწილმა კი ვერ გაუძლო დირექტორის თვითნებობას და სამსახური თავად დატოვა. მათი პრეტენზიები ჩამოაყალიბა ექიმთა თავისუფალი პროფკავშირების გამგეობის წევრმა სოფო ხაჟომიამ.

"მაიკ მაკარტი მუდმივად არღვევს ქვეშემრდომთა უფლებებს, ამცირებს და ლანძღავს მათ; ერთ-ერთ ქალბატონს კი ხელითაც შეეხო. მას გაფორმებული არ აქვს შრომითი ხელშეკრულება და თანამშრომლები ხელფასს იღებენ ხელზე, უწყისში ხელმოწერის გარეშე. მაიკ მაკარტი მოქმედებს საკუთარი ნესებით, რაც სრულიად შეუსაბამოა საქართველოს კანონმდებლობასთან და შრომით კოდექსთან. თანამშრომლებს ათავისუფლებს ყოველგვარი გაფრთხილებისა და ანაზღაურების გარეშე; ასევე, ანაზღაურების გარეშე აიძულებს დამატებით სამუშაოს შესრულებას და შაბათ-კვირას მუშაობას. მაიკ მაკარტი არ ცნობს საქართველოს ეროვნულ და რელიგიურ დღესასწაულებს და დასვენებად გამოცხადებული აქვს მხოლოდ ორი დღე - კათოლიკური შობა და წმინდა პატრიკის დღესასწაული. მაიკ მაკარტი შეურაცხყოფას აყენებს და უდიერად მოიხსენიებს არამარტო ქვეშემრდომებს, არამედ მთელ სამედიცინო სისტემას, ქვეყანას და ქართველ ერს," - განაცხადა სოფო ხაჟომიამ, რომლის შემდეგ ისაუბრეს სამსახურიდან გათავისუფლებულმა ექიმებმა.

ლაშა გოგოხია, კარდიოლოგი: "2003 წლის მარტიდან ვმუშაობ IMSS-ში. ა/წ 5 აპრილს სრულიად უსაფუძვლოდ გამათავისუფლეს. ამდენი ხანი გავიდა და მე და ჩემმა ადვოკატმა ვერ მივაღწიეთ იმას, რომ გაგვეგო, რა მიზეზით გამათავისუფლეს. დირექტორის მიერ იგნორირებულია ჩვენი ყველა ოფიციალური მოთხოვნა. ამის გამო, ვიჩივლე სასამართლოში, სადაც მსურს, დავიცვა ჩემი კანონიერი უფლებები.

მაიკ მაკარტის ხელმძღვანელობა არის "ვაითმენის სინდრომი", რომელსაც ადგილი ჰქონდა აფრიკაში ზანგებთან მიმართებაში. როგორც იქ ბატონობდნენ თეთრკანიანები შავკანიანებზე, ასეთსავე უპირატესობას ანიჭებს მაკარტი უცხოელებს ქართველებთან მიმართებაში. თუ უცხოელმა ექიმს მიაკითხა, თუ მას გასინჯვაზე ქართველი პაციენტი ჰყავს, დირექტორი აიძულებს ექიმს, კაბინეტიდან გაიყვანოს ქართველი პაციენტი და დაუყოვნებლივ მოემსახუროს უცხოელს."

ამის შემდეგ ისაუბრეს ექიმმა-ტრეინერმა დავით ბარკალაიამ, ადმინისტრატორებმა - თამუნა ბაქრაძემ და ნანა კაკაბაძემ, ბუღალტერმა ლია მჭედლიშვილმა და სხვებმა, რომლებმაც დაადასტურეს გამოთქმული პრეტენზიები. IMSS-ის ყოფილი თანამშრომლების თქმით, რამდენიმე მათგანმა განცხადებით მიმართა ფინანსურ პოლიციას, რომელიც უკვე შეუდგა ფირმის რევიზიას.

"სოლიდარობა" და ყოფილი თანამშრომლები, საკითხის შესწავლის თხოვნით, მიმართავენ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, ექიმთა ასოციაციას, ომბუდსმენს, არასამთავრობო და სხვა კომპეტენტურ ორგანიზაციებს.

აღნიშნული პრესკონფერენციის შემდეგ ჩვენ ტელეფონით დავუკავშირდით და საქმის კურსში ჩავაყენეთ IMSS-ის წარმომადგენლობა, რომელსაც კომენტარი ვთხოვეთ მათი მისამართით გაკეთებულ ყველა ბრალდებაზე. იმის მაგივრად, რომ სამსახურის ხელმძღვანელობას ესაუბრა ჩვენ მიერ შეთავაზებული შესაძლებლობით, შესაბამისი პასუხი გაეცა ყველა ბრალდებისათვის და საჩვენებლად წარმოედგინა, თუნდაც, ერთი ხელშეკრულება ამჟამად მომჩივანი პირების დაქირავების შესახებ ან რომელიმე მათგანის სახელფასო უწყება, რაც მართლაც ეჭვის ქვეშ დააყენებდა ყოფილი თანამშრომლების პრეტენზიებს, მათ მოგვიტანეს დირექტორის მიერ ხელმონერილი განცხადება, სადაც ბატონი მაიკლ მაკარტი, პრესკონფერენციის გაშუქების შემთხვევაში, სასამართლოში ჩივილით გვემუქრება.

ახლა კი სრულყოფილად გთავაზობთ მაიკლ მაკარტის განცხადების ტექსტს, რომელიც, ალბათ, იმის მაგალითად უფრო გამოდგება, თუ როგორ არ მართებს ორგანიზაციას მასმედიასთან თანამშრომლობა. განცხადების სტილი და პუნქტუაცია დაცულია.

"გაზეთ 24 საათის რედაქციას

შპს IMSS-ის დირექტორის მაიკლ მაკარტის განცხადება

2004 ნლის 04 ივნისს ჩვენს ოფისში ფიჭური ტელეფონით დაგვიკავშირდა გაზეთ 24 საათის ჟურნალისტი ზაზა ფაჩუაშვილი, რომელმაც გვაცნობა რომ ის აპირებდა გამოექვეყნებინა 05 ივნისის გაზეთ 24 საათში სტატია IMSS-ის ორგანიზაციის მიმართ იმ შინაარსით რომ, თითქოს IMSS-ის დირექტორი მაიკლ მაკარტი უხეშად ეპყრობოდა ორგანიზაციაში დასაქმებულ თანამშრომლებს და ავიწროებდა მათ, არ იქმნებოდა დოკუმენტაცია, უკანონოდ ანთავისუფლებდნენ მათ და ა.შ.

სატელეფონო საუბარში ჟურნალისტმა აღნიშნა რომ მას აღნიშნული ინფორმაცია მიანოდეს ფიზიკურმა პირებმა.

ამ გარემოებამ გამოიწვია ჩვენი უკიდურესი აღშფოთება რადგანაც დასახელებული ინფორმაცია სრულიად არ შეესაბამება სინამდვილეს და არის გამოგონილი ფაქტები (დეზინფორმაცია).

ჟურნალისტს ტელეფონით განვუმარტეთ რომ გადაემოწმებინა მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისობა სინამდვილესთან და რომ მას უფლება არ ჰქონდა გამოექვეყნებინა გადაუმოწმებელი მასალები.

პრესის შესახებ კანონის 24-ე მუხლი, ჟურნალისტს ავალებს შეამოწმოს მის მიერ მოპოვებული ინფორმაციის უტყუარობა. მიგვაჩნია რომ, იმ შემთხვევაში თუ ჟურნალისტი გამოაქვეყნებს შეუმოწმებელ მასალებს იგი დაარღვევს კანონის მოთხოვნებს და ზიანს მიაყენებს ჩვენი ორგანიზაციის საქმიან რეპუტაციას.

აქედან გამომდინარე გაცნობებთ, რომ იმ შემთხვევაში თუ ჟურნალისტი კანონის დარღვევით იმოქმედებს ჩვენ უფლებას ვიტოვებთ ჩვენივე ინტერესების დასაცავად მივმართოთ სასამართლოს მორალური და მატერიალური ზარალის ანაზღაურების შესახებ.

პატივისცემით

IMSS-ის დირექტორი მაიკლ მაკარტი"

სხვათა შორის, პრესკონფერენციაზე სხვა უფრო მწვავე ბრალდებებიც გაისმა, რასაც ამჯერად არ ვაქვეყნებთ, მაგრამ, თუ საჭირო იქნება, მომავალში ამ საკითხს ისევ დავუბრუნდებით. რა თქმა უნდა, გადამოწმების შემდეგ...

გარემოს დაცვის მსოფლიო დღე

5 მაისს მსოფლიო გარემოს დაცვის დღეს აღნიშნავს და მთელი პომპეზურობით ხვდება. საქართველო, რა თქმა უნდა, ჯერ ასეთი ქვეყნების რიგში არ არის; მეტიც, საქართველო გარემოს დაცვის დღისთვის გადაუჭრელი პრობლემებითაა დატვირთული - კერძოდ, საჭიროა ეკოლოგიის პოლიციის ფუნქციური დაქვემდებარება საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსადმი; მისი სრული რეფორმირება; კანონების, "გარემოსდაცვითი ნებართვების შესახებ" და "სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ", სრულყოფა და მათი ორიენტირება ევროკავშირის კანონმდებლობასთან; საჭიროა, მიღებულ იქნეს კანონი "გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ", სადაც მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა გარემოზე სტრატეგიული ზემოქმედების შეფასებას; კანონის, "გარემოსდაცვითი აუდიტის შესახებ", მიღება, რომელიც შინაარსობრივად აერთიანებს ნაკეთობის (პროდუქციის), ტექნოლოგიის, სისტემის და შესაბამისობის აუდიტს; კანონის, "ნარჩენების მართვის შესახებ", მიღება; მისაღებია შემდეგი კანონები: "თევზჭერის" შესახებ"; ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების გამწვანებული ტერიტორიების სისტემის შესახებ"; სახელმწიფო ტყის ფონდის მიწების არასატყეო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო მიწის ათვისების ღირებულებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ"; გარემოსდაცვითი ინტეგრირებული კონტროლის სისტემის შესახებ"; "გარემოსდაცვითი მონიტორინგის შესახებ"; "სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის შესახებ" და სხვა მარავალი, რასაც "24 საათი" მომავალში დეტალურად გააშუქებს.

24 საათი

წყალი ჩვენი არსობისა...

თამარ დვალი

ვახო ბესელიას ფოტო

საკრებულოს დადგენილებით, გუშინ 2003 წლის 3 სექტემბრის სატენდერო კომისიის გადაწყვეტილება უნდა დამტკიცებულიყო, რაც კომპანია "ჯენერალ დეზოსთან" თბილისის წყალმომარაგება-კანალიზაციის სისტემის მომსახურებაზე საიჯარო ხელშეკრულების გაფორმებას ითვალისწინებდა. სხდომის დაწყებამდე საკრებულოს თავმჯდომარე ზაზა ბეგაშვილი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს შეხვდა, რის შემდეგაც მან საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ერთი კვირით გადადო.

გუშინ, საკრებულოს სხდომაზე თბილწყალკანალის ფრანგული კომპანიისთვის მართვის უფლებით გადაცემის საკითხის განიხილვამდე არასამთავრობო ორგანიზაციები, ოპოზიციონერი დეპუტატები, "ლეიბორისტები" და ტექნიკური უნივერსიტეტის წყლის გამოყენების კათედრის წევრები საქართველოში ფრანგული კომპანიის შემოსვლას აპროტესტებდნენ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ოფიციალური განცხადება გააკეთა საპატრიარქომაც: "მიგვაჩნდა და მიგვაჩნია, რომ ყოვლად მიუღებელია მოსახლეობისათვის ასეთი სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტის კერძო სექტორისთვის მართვის უფლებით გადაცემა და საბაზრო ეკონომიკის პრინციპებით მისი მართვა. აღნიშნული საკითხი ზოგადსახელმწიფოებრივი, ეროვნული მნიშვნელობისაა და ამდენად, მისი ბედი ეკლესიისთვისაც სისხლხორცეულია.

მოსახლეობის უმრავლესობა გადახდისუუნაროა, რაც, ამ ობიექტის გასხვისების შემთხვევაში, წყლით მათ უზრუნველყოფას, ფაქტობრივად, გამორიცხავს... გასაგებია, რომ გაზის და დენის რესურსი სახელმწიფოს არ გააჩნია, ამდენად ვერ ავიდებოდით ამ დარგის კერძო სექტორში გადასვლას, წყლის რესურსით კი საქართველო ერთ-ერთი უმდიდრესია მთელ მსოფლიოში და სახელმწიფომ, გამონაკლისის სახით, უნდა შეძლოს წყალკანალის ექსპლუატაცია და წყლის სასმელად ვარგისიანობის შენარჩუნება, რაც საარსებო მინიმუმის არმქონე მოსახლეობისთვის ერთადერთი შეღავათია. მიგვაჩნია, რომ ეს უდიდესი ეროვნული სიმდიდრე მხოლოდ სახელმწიფოს საკუთრებასა და მმართველობაში უნდა იყოს, რადგან მისი ოპტიმალური მართვით ქვეყანა დიდ შემოსავალს მიიღებს.

მოგმართავთ თხოვნით ხელისუფლებას და ყველა სათანადო ინსტანციას, გაითვალისწინოთ საკითხის სერიოზულობა. გვინდა, აღვნიშნოთ, რომ საქართველოს საპატრიარქოს მხოლოდ წყლის რესურსების გასხვისების მიმართ აქვს ასეთი პოზიცია, ხოლო სხვა ობიექტების და რესურსების კერძო სექტორში გადაცემას გაგებით ვეკიდებით," - ნათქვამია საპატრიარქოს განცხადებაში.

გუშინ, "ჯენერალ დეზოს" საქართველოში შემოსვლასთან დაკავშირებით, რამდენიმე პრესკონფერენცია მოეწყო - დღის 13 საათზე "ლეიბორისტები" გამოვიდნენ თბილწყალკანალის დასაცავად; ზვიად ძიძიგურმა და კობა დავითაშვილმა პარლამენტში მიიწვიეს ჟურნალისტები; 15 საათზე ომბუდსმენის ოფისში არასამთავრობოთა კოალიცია შეიკრიბა, სადაც ტექნიკური უნივერსიტეტის წყლის რესურსების გამოყენების კათედრის მეცნიერებიც მივიდნენ. ბოლოს საპატრიარქოში საკრებულოს თავმჯდომარე ზაზა ბეგაშვილი და პატრიარქი შეხვდნენ ერთმანეთს, რის შემდეგაც საკრებულოს სხდომაზე მისულმა ბეგაშვილმა საკითხის ერთი კვირით გადადება ითხოვა.

აღსანიშნავია, რომ საკრებულოს სხდომაზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყლის რესურსების გამოყენების კათედრის წარმომადგენლები არ შეუშვეს. მათ ომბუდსმენის ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე 16-პუნქტიანი დებულება წარმოადგინეს, რის საფუძველზეც, ისინი წყალმომარაგების სისტემის იჯარით გაცემას დაუშვებლად მიიჩნევენ.

თბილწყალკანალში მოსახლეობის, ოპოზიციური პარტიებისა და არასამთავრობოების გამოსვლებს უარყოფითად აფასებენ და აცხადებენ, რომ აღნიშნული პროექტი მრავალ ინსტანციაშია განხილული და შესაბამისი დასკვნებიც არსებობს.

არის თუ არა სხვა ალტერნატივა? - ამ კითხვაზე თბილწყალკანალის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი გოჩა ჯელია პასუხობს, რომ ალტერნატივა იქნება, თუკი ამ სისტემის რეაბილიტაციისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ყოველწლიურად 25 მილიონი დოლარი გამოინახება. მისივე თქმით, უსაფუძვლოა არასამთავრობო ორგანიზაციების ბრალდებაც - ტენდერის არაგამჭვირვალედ ჩატარების თაობაზე.

საკრებულოს თავმჯდომარე ზაზა ბეგაშვილი, რომელიც ერთი თვის წინათ "ჯენერალ დეზოს" ლობირებაზე ლაპარაკობდა, დღეს პოზიციებს თმობს და აცხადებს: "საპრეზიდენტო გუნდის არც ერთი წევრი არ დაუშვებს იმას, რომ თბილისში წყლის ხარისხი გაუარესდეს ან ტარიფი გაიზარდოს. დღეს დაიწყება დისკუსია ფართო სპექტრში და მივალთ ერთობლივ გადაწყვეტილებამდე. თუ დავინახავთ, რომ საზოგადოების აზრი უარყოფითია, ჩვენ ამ გადაწყვეტილებას არ მივიღებთ. ის, რაც ხდებოდა წინა ხელისუფლების დროს, აღარ მოხდება - თითოეული თბილისელის აზრი გათვალისწინებული იქნება".

შეგახსენებთ, რომ სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებას, კომპანია "ჯენერალ დეზოს" შემოსვლის შესახებ, შარშან "ნაციონალები" აპროტესტებდნენ. წელს უკვე მთავრობაში მოსულ "ნაციონალებს" ოპოზიციონერი "ლეიბორისტები" ჩაენაცვლნენ.

წყლის შესახებ დაწყებული დავა, სავარაუდოდ, ერთ კვირაში უნდა გადაწყდეს.

საქველმოქმედო აქცია საინგილოს სკოლებისათვის

ნინო ცინცაძე

ინგილო ბავშვები ქართული წიგნებით ისწავლიან

მარიკა ამირველაგვილის ფოტო

საინგილოში, კახის, ზაქათალისა და ბელაქანის რეგიონებში 12 ქართულენოვანი სკოლაა, სადაც 2500 ქართველი მოსწავლე სწავლობს. ამასწინათ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი კახა ლომაია ამ სკოლებს ეწვია და აღმოაჩინა, რომ პირველი ოფიციალური პირი იყო, რომელიც საინგილოს ოფიციალურად სტუმრობდა. მაშინ ქართული სკოლის მასწავლებლებმა მინისტრს მოკრძალებით სთხოვეს, სკოლები ქართული სახელმძღვანელოების ნაწილით მაინც მოემარაგებინა. ამ საქმისათვის წლევანდელ ბიუჯეტში 53 ათასი ლარი ჩაიდო და, შედეგად, 2500-ვე მოსწავლე ქართულ სახელმძღვანელოებს მიიღებს. თუმცა, ეს საკმარისი არ არის. იქაურ ბავშვებს სასკოლო თვალსაჩინოების მასალები და ქართული წიგნები, ქართულ ენაზე შექმნილი ქართული თუ ნათარგმნი ლიტერატურა აკლიათ.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ "წიგნის სახლთან" ქალბატონ ნინო ჟვანიასთან, ქართველ მწერლებთან და გამომცემლებთან ერთად დიდი საქველმოქმედო აქცია წამოიწყო. ამ აქციის მიზანია, საინგილოელი ქართველი მოსწავლეებისათვის, რაც შეიძლება, მეტი ქართული წიგნი და სასკოლო თვალსაჩინოება შეაგროვონ. აქცია გუშინ "წიგნის სახლში" დაიწყო და მას თბილისში მოღვაწე თითქმის ყველა გამომცემელი ესწრებოდა. აქციის ორგანიზატორები მოუწოდებენ ყველა დაინტერესებულ პირს, ორშაბათიდან, 7 ივნისიდან ქველმოქმედების სახით გაღებული წიგნები, თვალსაჩინოება და სასკოლო მასალები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში მიიტანონ, სადაც მათი აღრიცხვა და დაკომპლექტება მოხდება. 19 ივნისს კი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში საზოგადოებრიობისა და მასმედიის წარმომადგენლებიც იქნებიან, მინისტრის, ბატონი კახა ლომაიას ხელმძღვანელობით, საინგილოს ეწვევა და სასკოლო სახელმძღვანელოებსა და თვალსაჩინო მასალას 12-ვე ქართულენოვან სკოლას გადასცემს.

იმისათვის, რომ იქაური სკოლები ამ მასალებით სრულად მოამარაგონ, სულ 16 ათასი ლარია საჭირო, ამიტომ წიგნის სახლში შეკრებილი ადამიანები ამ აქციაში მონაწილეობის მისაღებად ყველას მოუწოდებდნენ. **"ჩვენთვის უფრო სასიხარულო იქნება, ეს 16 ათასი ერთმა კეთილმა ადამიანმა კი არ მოგვცეს, არამედ 16 ათასმა ქართველმა გაიღოს თითო ლარი. ქართველი მწერლების იმ წიგნებსა და პლაკატებს, რომლებსაც ჩვენ საინგილოში ჩავიტანთ, თქვენი გულის სითბო უნდა დაჰყვებოდეს,"** - განაცხადა გუშინდელ შეხვედრაზე განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა კახა ლომაიამ. გამომცემლობა "პედაგოგიკის" წარმომადგენელმა ქალბატონმა ირინა რუხაძემ გამოთქვა სურვილი, მათ მიერ გამოშვებული მეთოდოლოგიური გაზეთები, სამინისტროს მეშვეობით, საინგილოს სკოლებს რეგულარულად ეგზავნებოდეს. მან, ასევე, გამოთქვა მზადყოფნა, საჭიროების შეთხვევაში, იქაური მასწავლებლებისათვის სემინარები ჩაატაროს და სახელმძღვანელოების ავტორებთან შეხვედრები უზრუნველყოს. როგორც გამომცემლობა "ინტელექტის" წარმომადგენელმა განაცხადა, ცოტა ხნის წინათ "სოროსის ფონდმა" ქართულ-აზერბაიჯანული უნიკალური ლექსიკონის გამოცემა დააფინანსა, რომელშიც 22 ათასი სიტყვა შედის. ამ ლექსიკონის 500 ეგზემპლარი საინგილოს მოსახლეობას უფასოდ გადაეცემა. ზღაპრის თეატრის ხელმძღვანელმა მიშა ანთაძემ გამოთქვა სურვილი, 19 ივნისის აქცია საბავშო ზეიმითაც გაალამაზოს: **"სოროსის ფონდის" დახმარებით, რეპერტუარი აზერბაიჯანულ ენაზეც გვაქვს და, თუ ეს საქმეს წაადგება, შეგვიძლია, სპექტაკლები ქართულთან ერთად აზერბაიჯანულ ენაზეც წარმოვადგინოთ."** ჯგუფ Soft Eject-ის წარმომადგენელმა ვახო ბაბუნაშვილმა მოუწოდა მათ, ვინც სამინისტროს საქმიანობას არის ჩასაფრებული და გამუდმებით მის არასწორად ინტერპრეტირებას ცდილობს, ყურადღება ასეთ აქციებზე გაამახვილონ და მასში აქტიურად ჩაერთონ. ბოლოს კი "წიგნის სახლში" ორი სიმღერა შეასრულა საინგილოში არსებულმა ერთადერთმა ქართულმა ფოლკლორულმა გუნდმა "ლაზარემ".

საქართველოს განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი

აცხადებს კონკურსს

ვაკანტურ თანამდებობებზე

ეროვნული სასწავლო გეგმების კოორდინატორები

ქართული ენა და ლიტერატურა (1 ადგილი)
მათემატიკა (1 ადგილი)
უცხო ენები (1 ადგილი)
საბუნებისმეტყველო მეცნიერება (1 ადგილი)
სამოქალაქო განათლება (1 ადგილი)
ესთეტიკური აღზრდა (1 ადგილი)

შესავალი

საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება "განათლების სისტემის განმტკიცებისა და გარდაქმნის პროექტის" ფარგლებში მოახდინოს ეროვნული სასწავლო გეგმების რეფორმა საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლისთვის ახალი სახელმწიფო მიზნების, სასწავლო მინიმუმის და მიღწევის სტანდარტების ჩამოყალიბებით. პროექტი ფინანსდება მსოფლიო ბანკის კრედიტით.

ეროვნული სასწავლო გეგმების განვითარებაზე პასუხისმგებელია განათლების სამინისტრო. ეროვნული სასწავლო გეგმების განვითარების ქვეკომპონენტის (A1) ამოცანაა შეარჩიოს ადგილობრივი კონსულტანტები პროგრამის მიზნებისა და დავალებების განხორციელებისათვის. შესაბამისი მიმართულების მართვა და კოორდინაცია დაევალებათ ამ კონსულტანტებს.

ძირითადი მოვალეობანი
კოორდინატორი

- განსაზღვრავს ჯგუფის წევრთა მუშაობის სტრატეგიას
- კოორდინაციას უწევს ჯგუფის წევრთა მუშაობას
- პასუხისმგებელია საგანთა შორის კავშირების დამყარებაზე
- მონაწილეობს კვლევით პროცესში
- პასუხისმგებელია ახალი სასწავლო გეგმის შედგენა/შესწორებაზე შესაბამის დარგში
- ჯგუფის ხელმძღვანელსა და კონსულტანტებთან ერთად აწარმოებს მოლაპარაკებებს დაინტერესებულ მხარეებთან
- მონაწილეობს ახალი სასწავლო გეგმის პილოტირების პროცესში
- პასუხისმგებელია ახალი სასწავლო გეგმის საბოლოო ვარიანტის მომზადებაზე
- მონაწილეობს ახალი სასწავლო გეგმის დანერგვაში
- მოგზაურობს ქვეყნის ფარგლებში სასწავლო გეგმების გავრცელების მიზნით

კვალიფიკაცია და მოთხოვნები

- უმაღლესი განათლება შესაბამის დარგში
- განათლების სისტემაში მუშაობის გამოცდილების სულ მცირე 3 წლის
- სტაჟი (უპირატესობა ენიჭებათ სკოლის მასწავლებლებს)
- შესაბამისი საგნის სასკოლო კურსის კარგი ცოდნა
- სასურველია სასწავლო გეგმებზე მუშაობის გამოცდილება და სხვა ქვეყნების სასწავლო პროგრამების ცოდნა
- ინგლისური ენის კარგი ცოდნა
- კომპიუტერის კარგი ცოდნა

კონკურსანტები არ უნდა იყვნენ შესაბამის დარგში მოქმედი სახელმძღვანელოების ავტორები

ანგარიშგება

ეროვნული სასწავლო გეგმების განვითარების ჯგუფის კოორდინატორები ანგარიშვალდებულნი იქნებიან ეროვნული სასწავლო გეგმების განვითარების ჯგუფის ხელმძღვანელისა და საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრის დირექტორის წინაშე.

ხანგძლივობა და ხელშეკრულება

აღნიშნული თანამდებობები სრულგანაკვეთიანია. სამუშაო ადგილი თბილისშია. თავდაპირველად ხელშეკრულება დაიდება 1 თვის საგამოცდო ვადით და დამაკმაყოფილებელი შედეგის შემთხვევაში გაგრძელდება ყოველწლიურად.

ვაკანტური ადგილის დასაკავებლად გთხოვთ წარმოადგინოთ განაცხადები ქართულ და ინგლისურ ენებზე (ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსია) შემდეგ მისამართზე:

საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი
0102 თბილისი, უზნაძის ქ. N52, ოთახი N102.
ტელეფონები: **95-98-37; 95-83-13 F**
ელ.-ფოსტა: GEP@wanex.net
საკონტაქტო პირი: ქ-ნი **ეკა ეზუგბაია**

წარმოსადგენი განაცხადების სტანდარტული ფორმები (ელექტრონული ვერსია) შეგიძლიათ მიიღოთ განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრში ზემოთ მითითებულ მისამართზე.

განაცხადების წარდგენის საბოლოო ვადაა 2004 წლის 18 ივნისი.

შენიშვნა

საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად და მსოფლიო ბანკის მოთხოვნით კონკურსში მონაწილეობას ვერ მიიღებენ:

ა) განათლების სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკების ოჯახის წევრები და ახლო ნათესავები;

ბ) ის პირები, რომელთაც მჭიდრო კავშირი აქვთ ისეთ ფირმასთან ან ასოციაციასთან, რომელმაც პროექტის მომზადების ან განხორციელების პერიოდში, შესაძლოა, შეასრულოს საიჯარო სამუშაოები.

გატაცებული მანქანების სარფიანი ბაზარი

დანაშაულებრივმა სინდიკატმა სომხეთში 800 ძვირადღირებული მანქანა გაიყვანა

საქართველოდან გატაცებული ძვირადღირებული მანქანების გასაღების ყველაზე სარფიან და მოხერხებულ ბაზრად მეზობელი სომხეთის რესპუბლიკა იქცა. კარგად ორგანიზებულმა დანაშაულებრივმა სინდიკატმა, რომლის სათავეებთან ქართველ და სომეხ მაღალჩინოსნებს მოიაზრებენ, ბოლო სამი წლის მანძილზე სომხეთში 800 ძვირადღირებული ავტომობილი - ძირითადად, "მერსედესისა" და "ბმვ"-ს მარკის მანქანები გაიყვანა.

ინგა ალავიძე

წლების წინ მანქანის გამტაცებელთა მიერ ათვისებულ ორ ძირითად არხს - ცხინვალისა და აფხაზეთის "გზებს", მოგვიანებით, სომხეთის ტრასა დაემატა და უფრო მეტად განვითარდა კიდეც. იმდენად, რომ ერევანი საქართველოდან გატაცებული მანქანების გასაღების "შავ ბაზრადაც" კი მოინათლა. ქართველ სამართალდამცველთა სტატისტიკით, "ხავერდოვანი რევოლუციის" შემდეგ, ცხინვალსა და აფხაზეთში მანქანების გადაყვანის შემთხვევებმა საგრძნობლად იკლო. სამაგიეროდ, კვლავ "აუღებელია" სომხეთის გზა. გატაცებულ მანქანათა უმეტესი ნაწილი ახლა სწორედ ამ გზაზე მოძრაობს.

ერევანში ჩასულები ამაში უფრო მეტად დავრწმუნდით. **"ერევანში, ძირითადად, საქართველოდან ჩამოყვანილი მანქანები იყიდება. ეს მოპარული მანქანებია. როგორც ამბობენ, ამაზე სერიოზული მაფია მუშაობს, რომელსაც თბილისიდან ნაწილებად დაშლილი მანქანებიც კი ჩამოაქვს და აქ ნაწილებს ყიდიან,"** - ასეთ პასუხს ავტოსაქმეში ჩახედული ნებისმიერი ერევნელი მძღოლისგან მიიღებთ. მეტიც, შეგიძლიათ ერევნის ქუჩაში მოსიარულე გააჩეროთ, ქართულ-სომხური ავტომაფიის შესახებ კითხვა დაუსვათ და მისგან დადებით პასუხს მიიღებთ: **"რა თქმა უნდა, ჩვენ ხომ ძმები ვართ, მეგობრები. ჰოდა, ამიტომაც, ქართული მანქანები ახლა ერევანში იაფად იყიდება,"** - ასეთია ერევნელთა პასუხი. **"ახლახან ჩემმა შვილმა შეიძინა თბილისიდან ჩამოყვანილი "ბმვ", კარგი მანქანაა, საბუთებიც წესრიგში ჰქონდა, უფრო ზუსტად, ცხინვალში იყო გაკეთებული,"** - ასეთი შინაარსის პასუხიც არაერთხელ მივიღეთ. სხვათა შორის, საშუალება გვქონდა, ერევნელ მანქანით მოვაჭრეს შევხვედროდით, რომელიც, ძირითადად, საქართველოში შეძენილ მანქანებზე მუშაობს. თუმცა, მან დეტალურ საუბარსაც თავი აარიდა და თავისი ვინაობის საიდუმლოდ შენახვაც გვთხოვა. **"მანქანებს საქართველოში ვყიდულობ, ძირითადად - ბაზრობებზე, თუმცა, უკვე მყავს კერძო კლიენტები, რომლებიც მონაცემებს წინასწარ მატყობინებენ. მანქანების საზღვარზე გადმოყვანა პრობლემას არ წარმოადგენს. ჯერ ერთი, მანქანის საბუთები "გაპრავებულია" და მეორეც, "სადახლოზე" არ არის ისეთი კონტროლი, რომ ჩაგეძიონ, ხანდახან რეგისტრაციასაც კი არ აკეთებენ. ხშირად, ჩემს პარტნიორებს გასაყიდი მანქანა ერევანში თავად ჩამოჰყავთ. ვინ არიან ისინი? ვერ გეტყვით, არ ვიცი, მე შუამავალი მაკავშირებს. ჩემ მიერ გაყიდული რამდენიმე მანქანა მოპარული აღმოჩნდა და ახლა გამოძიება მიდის,"** - გვითხრა ერევნელმა მანქანით მოვაჭრემ.

არსებული სტატისტიკური მონაცემებით, ქართველ და სომეხ კრიმინალთა მიერ ჩატარებული ერთობლივი დანაშაულებრივი ოპერაციებით, ბოლო სამი წლის მანძილზე საქართველოში გატაცებული 800 მანქანა სომხეთის რესპუბლიკაშია გაყვანილი. გასულ წელს სომხეთში 150 ძვირადღირებული "ინომარკაა" გადაყვანილი და მათგან 34-ზე საქართველოს შსს-ში შეტყობინება მივიდა, რომ გატაცებული მანქანები ნაპოვნია ერევანში. ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა: საქართველოში გატაცებულმა და ერევანში მიგნებულმა 34-ვე მანქანამ საქართველოს საზღვარი ისე გადაკვეთა, რომ რეგისტრაცია არც საბაჟოზე და არც სასაზღვრო-გამშვებ პუნქტზე არ გაუვლია. არც ერთი მანქანის მონაცემი არ არის დაფიქსირებული არც "სადახლოსა" და არც "გუგუთის" სასაზღვრო საგუშაგოზე და არც სომხეთის სასაზღვრო პოსტებზე. არადა, ზოგიერთ შემთხვევაში, საქართველო-სომხეთის საზღვარი ძებნაზე გადაცემულმა მანქანამ ისე გადაკვეთა, რომ მათთვის გამტაცებლებს ნომრებიც კი არ შეუცვლიათ.

იმაში, რომ "სადახლოსა" და "გუგუთის" სასაზღვრო-საკონტროლო საგუშაგოების გადაკვეთა უპრობლემოდ შეიძლება, თავად დავრწმუნდით. დასახელებულ საგუშაგოებზე კონტროლის მექანიზმი, ფაქტობრივად, არ არსებობს. მესაზღვრეები მხოლოდ ეროვნული პასპორტის ზერელე გადათვალიერებას ჯერდებიან და რეგისტრაციის პროცედურის ჩატარებასაც აუცილებლობად არ მიიჩნევენ. ასეთივე უკონტროლო სიტუაციაა საბაჟო პუნქტებზეც. **"104 "მერსედესის" მარკისა და 64 "ბმვ"-ს მარკის მანქანებია ძებნაზე გადმოცემული, დანარჩენებს რა ჩამოთვლის. ცოტა ხნის წინ გატაცებული "ნივა" დავაკავეთ. ჩვენ რა მონაცემიც გვაქვს გადმოცემული, იმას ვამოწმებთ. თუ ძებნილია მანქანა, დავაკავებთ,"** - ასე იმართლებენ თავს მესაზღვრეები. სხვათა შორის, არსებული ინფორმაციით, უკონტროლობის მხრივ, განსაკუთრებით სადახლოსა და ახქიორფის გზები გამოირჩევა. გარდა დასახელებული ოფიციალური სასაზღვრო პუნქტებისა, რამდენიმე შემოვლითი გზაც არსებობს და მისი გადაკვეთა პრობლემას არ წარმოადგენს. თუმცა, საქმეში ჩახედულთა თქმით, გამტაცებლები და პარტნიორები "შავი გზებით" იშვიათად სარგებლობენ, რადგან, როგორც გითხარით, საზღვრის მაკონტროლებელ საგუშაგოებზე სარეგისტრაციო რეჟიმი, ფაქტობრივად, არ არსებობს.

სომეხმა და ქართველმა კრიმინალებმა კარგად ორგანიზებული დანაშაულებრივი სინდიკატი შექმნეს, რომელსაც საქართველოს და სომხეთის ხელისუფლების წარმომადგენლები და სამართალდამცველთა უწყების მაღალჩინოსნები მფარველობენ.

გარდა სასაზღვრო რეჟიმის უწესრიგობისა, სამართალდამცველ უწყებაში არსებული უკონტროლობაც გამტაცებელთა სასარგებლოდ მოქმედებს. საქმე ისაა, რომ, როგორც აღმოჩნდა, უმეტეს შემთხვევაში, გატაცებულ მანქანაზე პოლიციას ძებნა არ გამოუცხადებია, ან მას შემდეგ გამოაცხადა, რაც მანქანამ საზღვარი გადაკვეთა. ჟურნალისტ მზია ნარმანიას 2003 წლის 31 მაისს ნაყიდი მანქანა 3 ივნისს მოპარეს, 4 ივნისს გატაცებული მანქანა უკვე სომხეთში იყო გადაყვანილი და ძებნაზე მხოლოდ დაზარალებულის დაჟინებული მოთხოვნით გადაიცა, ისიც, გატაცებიდან მხოლოდ ორი თვის შემდეგ. არჩილ ქურჩიკაშვილის "მერსედესის" მარკის მანქანა რამდენიმე შეიარაღებულმა, ნიღბებით სახედაფარულმა პირმა ავტოსადგომიდან გასული წლის 30 აპრილს გაიტაცა. მიუხედავად იმისა, რომ მანქანის მფლობელი 15 წუთში მივიდა პოლიციაში და სამართალდამცველებს მომხდარი ყაჩაღობის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა, მანქანის ძებნა თვენახევრის დაგვიანებით, 6 ივნისს გამოცხადდა. თანაც, ავტოსადგომის დარაჯს გამომძიებლებმა არასწორი ჩვენება დააწერინეს, ათქმევინეს, რომ ყაჩაღობას ადგილი არ ჰქონია, რომ მას ეძინა და არ დაუნახავს, მანქანა როგორ მოიპარეს. იგივე განმეორდა მერაბ აბლოთიას მანქანის გატაცების შემთხვევაშიც. მეტიც, გატაცების თაობაზე მოკვლევაც კი არ ჩატარებულა. მსგავსი მაგალითების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, რადგან ისინი მრავლადაა და სწორედ ამიტომაც, გატაცებული მანქანის მფლობელები, რომლებმაც "დაზარალებულთა უფლებების დაცვის ასოციაციაც" კი შექმნეს, აცხადებენ, რომ სომხებმა და ქართველმა კრიმინალებმა კარგად ორგანიზებული დანაშაულებრივი სინდიკატი შექმნეს, რომელსაც საქართველოს და სომხეთის ხელისუფლების წარმომადგენლები და სამართალდამცველი უწყების მაღალჩინოსნები მფარველობენ. დაზარალებულებს ამის თქმის საფუძველს, გარდა დასახელებული მიზეზისა, ის სამართლებრივი დავაც აძლევთ, რომელიც წელიწადნახევრია გრძელდება და რომელიც ჯერაც არ დასრულებულა. ამის მიზეზი კი ქართველი სამართალდამცველების მიერ კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი პროცედურის ჩაუტარებლობა გახდა. შსს-ს საგამომძიებო დეპარტამენტში სპეციალურად სომხეთში გატაცებული მანქანების საქმის გამოსაძიებლად შექმნილმა საგამოძიებო ჯგუფმა საქმე, ფაქტობრივად, არ გამოიძია. არადა, არსებული სამართლებრივი მექანიზმების გამოყენების შემთხვევაში, ამუშავდებოდა მინსკის კონვენცია, რომლის 78-ე მუხლისა სომხეთ-საქართველოს შორის გაფორმებული სამართლებრივი ხელშეკრულების მე-16 მუხლის თანახმად, ხელშეკრულების მონაწილე მხარეები ვალდებულნი არიან, ერთმანეთს დაუყოვნებლივ, უპირობოდ გადასცენ ის საგნები, რომელიც გამოყენებული იქნა დანაშაულის ჩადენისას.

შსს-ს საგამომძიებო ჯგუფს, პირველ რიგში, საქმე მანქანის გადამყვანის წინააღმდეგ უნდა აღეძრა და მთელი რიგი საგამოძიებო მოქმედებები ჩაეტარებინა. არადა, გატაცებული მანქანის მფლობელებსა და გადამყვანს შორის ამოცნობის პროცედურაც კი არ შემდგარა, რითაც გამოირიცხებოდა ვარაუდი, რომ შესაძლოა, მანქანის გამტაცებელი სწორედ გადამყვანია. მომდევნო ეტაპის მიხედვით, სომხეთიდან შიფროგრამის მიღებისთანავე, გამომძიებელს მანქანის იდენტიფიკაცია უნდა ჩაეტარებინა, რასაც უნდა მოჰყოლოდა დადგენილება ნივთმტკიცების - მანქანის ამოღებაზე. გამომძიების შუამდგომლობის საფუძველზე, სასამართლო დადგენილებას გამოიტანდა და იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებლო ბიუროს ნივთმტკიცების ამოღებას დაავალებდა. თავის მხრივ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებლო ბიუროს სომეხი კოლეგებისთვის მოთხოვნის გაგზავნა მოუწევდათ. მესამე ეტაპის მიხედვით, საქართველოსა და სომხეთის იუსტიციის სამინისტროები სომხეთის სასამართლოს შუამდგომლობით მიმართავდნენ და სწორედ ამ ეტაპზე ამუშავდებოდა მინსკის კონვენციის დასახელებული მუხლი, რომლის მიხედვითაც, გატაცებული მანქანები საქართველოს გადმოეცემოდა და სასამართლოს გადაწყვეტილებით, დაზარალებულს დაუბრუნდებოდა. სამწუხაროდ, ეს სამართლებრივი პროცედურა შსს-მ რატომღაც არ ჩაატარა. დაზარალებულები შეცდომაში შეიყვანეს და მათ სომხეთის სასამართლოს კერძო საჩივრებით მიმართეს.

საქართველოში გატაცებულმა და ერევანში მიგნებულმა 34-ვე მანქანამ საქართველოს საზღვარი ისე გადაკვეთა, რომ რეგისტრაცია არც საბაჟოზე და არც სასაზღვრო-გამშვებ პუნქტზე არ გაუვლია.

ქართული მხარის სერიოზულ სამართლებრივ შეცდომას სომეხ სამართალდამცველთა ასევე საეჭვო დაინტერესებაც დაემატა. **"მოსამართლე მარტიროსიანი, რომელსაც ჩვენი საქმე მისცეს განსახილველად, დაინტერესებული პირია. ჩვენი ინფორმაციით, ის იმ სინდიკატს მფარველობს, რომელიც მანქანის გატაცებაზე მუშაობს. ისიც და სხვა სომეხი მოსამართლეებიც ქართველი სამართალდამცველების მიერ გაგზავნილ დოკუმენტაციას იგნორირებას უკეთებენ, შეცვლილია მანქანებისთვის ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნები, მეტიც, ისინი სოლიდურ ქრთამს გვძალავდნენ და გვევაჭრებოდნენ, რაზეც არ დავთანხმდით,"** - აცხადებენ დაზარალებულები. ერთ-ერთ დაზარალებული, არჩილ ქურციკიშვილი, მოსამართლე მარტიროსიანის მეშვეობით, კურიოზულ სიტუაციაში აღმოჩნდა. მან სომხეთის სასამართლოს ყველა ინსტანცია გაიარა, საქმე საბოლოოდ მოიგო, გატაცებული მანქანაც ჩაიბარა, მაგრამ, მარტიროსიანის დადგენილებით, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ სომხეთის იუსტიციის საბჭოს წევრი გახდა, ქურციკიშვილს მანქანა კვლავ ჩამოართვეს. მარტიროსიანის ვერდიქტი ასეთი იყო: დაზარალდა სომხეთის მოქალაქე, რომელსაც ქურციკიშვილმა მიყენებული ზარალისთვის 10 ათასი დოლარი უნდა გადაუხადოს.

"მარტიროსიანი მე კი არ დამცინის, დასცინის ქვეყანას, რომლის მოქალაქეც მე ვარ და რომელიც ჩვენს დაცვაზე არც კი ფიქრობს. სამწუხაროდ, არ არსებობს პოლიტიკური ნება და ამიტომაც, ჩვენი პრობლემით არც ერთი უწყება არ დაინტერესებულა, საკუთარი ინიციატივით დავდივართ სომხეთში და ვცდილობთ სამართალს მივაღწიოთ," - აცხადებს ქურციკიშვილი.

ისედაც გართულებულ სიტუაციას კიდევ უფრო ამძიმებს ქართული მხარის გულგრილი დამოკიდებულება. თუ სომხები თავის მოქალაქეებს, გატაცებული მანქანების ახალ მფლობელებს ყველა საშუალებით იცავენ, ქართული მხარე თავის მოქალაქეების უფლებების დაცვაზე არც კი ფიქრობს. დაზარალებულები პრეტენზიებს უყენებენ სომხეთში საქართველოს კონსულსაც, რომელსაც დახმარებისთვის მიმართეს, თუმცა, უშედეგოდ. **"ჩვენმა კონსულმა, ფაქტობრივად, არ მიგვიღო. მთელი დღის მანძილზე ქუჩაში, წვიმაში გვაყურყუტა, საკონსულოს შენობაშიც კი არ შეგვიშვა და შემდეგ გვითხრა, ახლა თქვენს მისაღებად არ მცალიაო. თუ ასეა საქმე, გვითხრას ჩვენმა სახელმწიფომ უარი, გვითხრან, რომ უძლურნი არიან არსებული პრობლემის გადაწყვეტის საქმეში და სტრასბურგის სასამართლოს მივმართავთ,"** - აცხადებენ დაზარალებულები, რომლებიც, კარგა ხანია, შს მინისტრთან გია ბარამიძესთან შეხვედრას ითხოვენ, მაგრამ ვერ მოახერხეს. **"გია ბარამიძესთან ჩვენი საქმე კი არა, განცხადებაც არ შეიტანეს, ყველანაირად გვბლოკავენ, რომ შს მინისტრს არ შევხვდეთ. არადა, ის ვალდებულია, მიგვიღოს, მოგვისმინოს და პრობლემის გადაჭრაში დაგვეხმაროს,"** - ასეთია გატაცებული მანქანების მფლობელთა მოთხოვნა. მათივე ინფორმაციით, სულ ცოტა ხნის წინ, თბილისში გატაცებული "ჰამერის" მარკის მანქანა, რომელიც ერთ-ერთ თანამდებობის პირს ეკუთვნოდა, ერევანში დაიჭირეს. აღმოჩნდა, რომ მანქანის ყიდვა-გაყიდვის საქმეში სომხეთის პარლამენტის წევრი იყო ჩაბმული და მას შემდეგ, რაც საქართველოს სახელმწიფო უწყებებმა დაინტერესება გამოიჩინეს, მანქანა თბილისში ჩამოიყვანეს და ის მფლობელს დაუბრუნდა.

თუ სომხები თავის მოქალაქეებს, გატაცებული მანქანების ახალ მფლობელებს ყველა საშუალებით იცავენ, ქართული მხარე თავისი მოქალაქეების უფლებების დაცვაზე არც კი ფიქრობს.

"გამოვიდა, რომ სახელმწიფომ, ფაქტობრივად, მიგვატოვა, ჩვენი, მისი მოქალაქეების კანონიერი ინტერესების დასაცავად პოლიტიკური ნება არ გამოიჩინა. არსებობს მეორე გზაც - "შავი სამყარო", რომელთა წარმომადგენლებიც, გარკვეული საზღაურის სანაცვლოდ, ჩვენი უფლებების დაცვასა და მანქანების დაბრუნებას გვთავაზობენ. გამოდის, რომ, რაც სახელმწიფომ ვერ თუ არ შეძლო, იმას კრიმინალური "სამყარო" მოაგვარებს. ანუ, გამოდის, რომ ხელისუფლება გვაიძულებს, დახმარებისთვის "კანონიერ ქურდებს" მივმართოთ, რაც არ გვინდა. ჩვენ ვითხოვთ, ჩვენი უფლებების კანონიერ დაცვას, რაც ჩვენი ხელისუფლების გასაკეთებელია," - აცხადებენ დაზარალებულები.

სომხეთში გაყვანილ გატაცებულ მანქანებთან დაკავშირებით მომხდარი მორიგი კურიოზი ცოტა ხნის წინ გახდა ცნობილი. რამდენიმე დღის წინ საქართველოს უშიშროების საბჭოში საქმის მოსმენაზე მისულ დაზარალებულებს შსს-ს გამომძიებელმა მურმან ჯიჭონაიამ აქამდე გასაიდუმლოებული ინფორმაცია მიაწოდა - მანქანების გატაცების გამო წელიწადნახევრის წინ აღძრული საქმის გამოძიება, თურმე, შსს-ს შეუწყვეტია. **"ამ საქმეზე სერიოზული მაფია მუშაობს და ამიტომაც პარადოქსები ჩვენს საქმეში იმდენი მოხდა, რომ მათი მოყოლა შორს წაგვიყვანს, ბოლო პარადოქსი საქმის შეწყვეტა იყო. ჩვენ სომხეთში დავდივართ, იქ ვწვალობთ და, თურმე, აქ საქმის გამოძიება აღარც მიმდინარეობს",** - ამბობენ გაკვირვებული დაზარალებულები. თუმცა, უშიშროების საბჭოზე საქმის მოსმენის შემდეგ გადაწყდა, რომ შსს საქმის ძიებას განაახლებს და იმ სამართლებრივი სქემით იმოქმედებს, რომლის შესახებაც ზემოთ მოგახსენეთ და რაც წელიწადნახევრის წინ უნდა გაკეთებულიყო. მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოში გამომძიებლის შუამდგომლობა შევა და ის სომხეთში გადაყვანილი 34 მანქანის, როგორც ნივთმტკიცების, ამოღებას მოითხოვს. შსს-მ ამ საგამომძიებო პროცედურის ჩასატარებლად 10 დღე ითხოვა.

ღია კონკურსი ლტოლვილ და დევნილ ხელოვანთათვის

UNHCR

გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი
საქართველოს გაეროს ასოციაცია

ლტოლვილთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, რომელიც 2004 წლის 20 ივნისს აღინიშნება, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი და საქართველოს გაეროს ასოციაცია მართავენ გამოფენა-კონკურსს ლტოლვილ და დევნილ ხელოვანთათვის. წლევანდელი ღონისძიების თემატიკიდან გამომდინარე, ხელოვანთა მიერ წარდგენილ ნამუშევრებში უნდა აისახებოდეს მათი წარმოდგენა "სახლის" შესახებ.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ 16 წელს ზევით ასაკის ლტოლვილ და დევნილ ხელოვანებს. ნამუშევართა ფორმა შეზღუდული არ არის - კონკურსისათვის შეიძლება წარდგენილ იქნეს ფერწერული, გრაფიკული, ფოტო ნამუშევრები, ქანდაკება და ხელით ნაკეთობანი.

ყველა ნამუშევარი განხილული და შეფასებული იქნება გაეროსა და დიპლომატთა კორპუსის წარმომადგენელთა და პროფესიონალ ხელოვანთაგან შემდგარი ჟიურის მიერ. საუკეთესო 25 ნამუშევარი ლტოლვილთა საერთაშორისო კვირეულის განმავლობაში გამოიფინება საჯაროდ ავტორთა თანხმობის საფუძველზე მათი შემდგომი გაყიდვის შესაძლებლობით.

25-დან ერთი საუკეთესო ნამუშევრის ავტორი დაჯილდოვდება ფულადი პრიზით, რომელიც საშუალებას მისცემს საკუთარი სამხატვრო შესაძლებლობები განავითაროს. თითოეულ წარდგენილ ნამუშევარს თან უნდა ახლდეს მოკლე ესსე, რომელშიც ასახული იქნება, თუ როგორ გამოიყენებს ავტორი მოგებულ თანხას კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში.

ნამუშევართა წარდგინების ბოლო ვადაა 2004 წლის 7 ივნისი.

ნამუშევრები და მოკლე ესსე შეგიძლიათ წარადგინოთ შემდეგ მისამართებზე: გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენლობა საქართველოში - თბილისი, ყაზბეგის გამზირი N2ა, მე-4 სართული, ან საქართველოს გაეროს ასოციაცია, თბილისი, დოლიძის N2, მე-4 სართული.

დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ ტელეფონებზე: (995 32) 25-00-81 ან 33-25-16.

საქართველოს განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი

აცხადებს კონკურსს

ვაკანტურ თანამდებობებზე

სასწავლო გეგმების ექსპერტები

ქართული ენა და ლიტერატურა (1 ადგილი)
მათემატიკა (1 ადგილი)
უცხო ენები (3 ადგილი)
საბუნებისმეტყველო მეცნიერება (2 ადგილი)
სამოქალაქო განათლება (1 ადგილი)
ისტორია (1 ადგილი)
ესთეტიკური აღზრდა (2 ადგილი)

შესავალი

საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება "განათლების სისტემის განმტკიცებისა და გარდაქმნის პროექტის" ფარგლებში მოახდინოს ეროვნული სასწავლო გეგმების რეფორმა საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლისთვის ახალი სახელმწიფო მიზნების, სასწავლო მინიმუმის და მიღწევის სტანდარტების ჩამოყალიბებით. პროექტი ფინანსდება მსოფლიო ბანკის კრედიტით.

ეროვნული სასწავლო გეგმების განვითარებაზე პასუხისმგებელია განათლების სამინისტრო. ეროვნული სასწავლო გეგმების განვითარების ქვეკომპონენტის (A1) ამოცანაა შეარჩიოს ადგილობრივი კონსულტანტები პროგრამის მიზნებისა და დავალებების განხორციელებისათვის. შესაბამისი მიმართულების მართვა და კოორდინაცია დაევალებათ ამ კონსულტანტებს.

ძირითადი მოვალეობანი
ექსპერტი

- ურთიერთთანამშრომლობს სკოლის მასწავლებლებთან
- პასუხისმგებელია ახალი სასწავლო გეგმის შედგენა/შესწორებაზე შესაბამის დარგში
- ჯგუფის ხელმძღვანელსა და კონსულტანტებთან ერთად აწარმოებს მოლაპარაკებებს დაინტერესებულ მხარეებთან
- მონაწილეობს ახალი სასწავლო გეგმის პილოტირების პროცესში
- პასუხისმგებელია ახალი სასწავლო გეგმის საბოლოო ვარიანტის მომზადებაზე
- მონაწილეობს ახალი სასწავლო გეგმის დანერგვაში
- მოგზაურობს ქვეყნის ფარგლებში სასწავლო გეგმების გავრცელების მიზნით

კვალიფიკაცია და მოთხოვნები

- უმაღლესი განათლება შესაბამის დარგში
- განათლების სისტემაში მუშაობის გამოცდილების სულ მცირე 3 წლის
- სტაჟი (უპირატესობა ენიჭებათ სკოლის მასწავლებლებს)
- შესაბამისი საგნის სასკოლო კურსის კარგი ცოდნა
- სასურველია სასწავლო გეგმებზე მუშაობის გამოცდილება და სხვა ქვეყნების სასწავლო პროგრამების ცოდნა
- ინგლისური ენის კარგი ცოდნა
- კომპიუტერის კარგი ცოდნა

კონკურსანტები არ უნდა იყვნენ შესაბამის დარგში მოქმედი სახელმძღვანელოების ავტორები

ანგარიშგება

ეროვნული სასწავლო გეგმების განვითარების ჯგუფის ექსპერტები ანგარიშვალდებულნი იქნებიან ეროვნული სასწავლო გეგმების განვითარების ჯგუფის ხელმძღვანელისა და საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრის დირექტორის წინაშე.

ხანგძლივობა და ხელშეკრულება

აღნიშნული თანამდებობები სრულგანაკვეთიანია. სამუშაო ადგილი თბილისშია. თავდაპირველად ხელშეკრულება დაიდება 1 თვის საგამოცდო ვადით და დამაკმაყოფილებელი შედეგის შემთხვევაში გაგრძელდება ყოველწლიურად.

ვაკანტური ადგილის დასაკავებლად გთხოვთ წარმოადგინოთ განაცხადები ქართულ და ინგლისურ ენებზე (ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსია) შემდეგ მისამართზე:

საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი
0102 თბილისი, უზნაძის ქ. N52, ოთახი N102.
ტელეფონები: **95-98-37; 95-83-13 F**
ელ.-ფოსტა: GEP@wanex.net
საკონტაქტო პირი: ქ-ნი **ეკა ეზუგბაია**

წარმოსადგენი განაცხადების სტანდარტული ფორმები (ელექტრონული ვერსია) შეგიძლიათ მიიღოთ განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრში ზემოთ მითითებულ მისამართზე.

განაცხადების წარდგენის საბოლოო ვადაა 2004 წლის 18 ივნისი.

შენიშვნა

საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად და მსოფლიო ბანკის მოთხოვნით კონკურსში მონაწილეობას ვერ მიიღებენ:

ა) განათლების სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკების ოჯახის წევრები და ახლო ნათესავები;

ბ) ის პირები, რომელთაც მჭიდრო კავშირი აქვთ ისეთ ფირმასთან ან ასოციაციასთან, რომელმაც პროექტის მომზადების ან განხორციელების პერიოდში, შესაძლოა, შეასრულოს საიჯარო სამუშაოები.

ქვეყანა ნემსის წვერზე

როგორ გგონიათ, რამდენ ქართველ ვაჟს გაუსინჯავს ცხოვრებაში თუნდაც ერთხელ ჰაშიში? რამდენ გოგოს გაუკეთებია იგივე? რამდენი ქართველი ახალგაზრდა მოიხმარს ნარკოტიკს და, საერთოდ, რამდენი ნარკომანია საქართველოში? კვლევა, რომელიც გასულ წელს ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, კავკასიის ანტინარკოტიკული პროგრამის ფარგლებში, თბილისის სამ უმაღლეს სასწავლებელში ჩატარდა, ამ კითხვებზე, რბილად რომ ვთქვათ, შემაშფოთებელ პასუხებს იძლევა: ექსპერტული დასკვნებით, საქართველოში 150 000 ნარკომანია. ამ ერთი წლის წინათ ვამბობდით, რომ, ოფიციალურად, საქართველოში 3000-მდე ნარკომანი იყო, თუმცა მალე მათი რიცხვი გაცილებით მეტი იქნებოდა. ასეთი განცხადების საფუძველს ნარკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის წარმომადგენლებს აძლევდა მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის მე-10 ჩასწორება, რომლის მიხედვითაც, ნარკოტიკების რიცხვში ჰალუცინაციების გამომწვევი აქროლადი ნივთიერებებიც შევიდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ნარკომანებად ითვლებიან ისინიც, ვინც თავს წებოს თუ სხვა საყოფაცხოვრებო საშუალებების ყნოსვით ირთობს.

მაკა ჯაიანი

წებო - ბავშვობის დასაბრუნებლად

საქართველოში ასე, ძირითადად, მოზარდები ერთობიან. 10-15 წლის ბავშვები, რომელთაც არ იციან, რომ ადვილად შეიძლება ამ გზით ტოქსიკური ენცეფალოპათიის, ფსიქიკური ინვალიდობის, მძიმე მოწამვლის, გაგუდვის მსხვერპლნი გახდნენ. როგორც ნარკოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ამ მიმართულებით ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, მსგავსი საშიშროების წინაშე ჩვენი მოზარდები რეალურად დგანან. კვლევა დედაქალაქის 10-15 წლის ქუჩის ბავშვებში ჩატარდა. აღმოჩნდა, რომ გამოკითხული 38 მოზარდიდან 26 აქტიურად, დღეში ორჯერ-სამჯერ ყნოსავს წებოს. ძირითადად, ისინი იაფფასიან ირანულ წებოს ხმარობენ, რომელსაც, მათი განცხადებით, მაღალი ეფექტი აქვს. აქტიურ მომხმარებლებს დღეში სამი-ოთხი ცალი წებო ჭირდებათ. ნარკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სპეციალისტების მონაცემებით, ამ პროცესს ახლავს ჰალუცინაციური მოვლენები, რომელთა მართვა, "შეკვეთა" შეიძლება და ბავშვებსაც ეს ხიბლავს. როგორც გაირკვა, გამოკითხული ბავშვების 68 პროცენტი წებოს სწორედ ამის გამო ყნოსავს. "შეკვეთით" კი, ისინი, ძირითადად, მულტფილმებს, გემრიელ საკვებს, სათამაშოებს "უკვეთენ". მოზარდების 54 პროცენტი წებოს რეალობისგან მოსაწყვეტად, შიმშილის გრძნობის მოსაკლავად და სხვა პრობლემების დასავიწყებლად ეტანება.

ამ ბავშვების 31 პროცენტი მათხოვარია, 46 პროცენტი - ქურდი, ორი გოგონა - პროფესიონალი მეძავი, 34 პროცენტი გაზეთების გაყიდვით, მანქანების წმენდით ირჩენს თავს, 30 პროცენტი - სხვა სახის შრომით. გამოკითხულთა მხოლოდ 23 პროცენტი აღმოჩნდა სრულიად ობოლი, 50 პროცენტს ერთი მშობელი მაინც ჰყავს, 27 პროცენტს კი - ორივე. ბავშვების 31 პროცენტი მშობელმა აიძულა, ემათხოვრა, 30 პროცენტი ინვალიდი, ლოთი თუ ნარკომანი მშობლის გადამკიდე გამოვიდა გარეთ, ორი გოგონა ინცესტის მსხვერპლი იყო. ასეთია რეალობა, რომლის დავიწყებასაც ეს ბავშვები ცდილობენ, შედეგი კი ამ მცდელობას, რბილად რომ ვთქვათ, დასაფიქრებელი აქვს. გამოკითხულ მოზარდებში დაფიქსირდა მეხსიერების, აზროვნების დაქვეითება, ყურადღების კონცენტრირების პრობლემები, აბსტრაქციის უნარის დაკარგვა, ფრუსტრაციული მდგომარეობა, ნიჰილიზმი, ძალზე დაბალი თვითშეფასება.

დაფიქსირდა ასევე, რომ ეს ბავშვები თანატოლებს მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან განათლებაშიც. ბევრ მათგანს სკოლაში საერთოდ არ უვლია, ბევრს პირველი-მეორე, მესამე-მეოთხე კლასი აქვს დამთავრებული. მათ მესამედს ზრდა-განვითარების გამოკვეთილი შეფერხება აღენიშნება. არიან ბავშვები, რომლებმაც არ იციან, რამდენია ხუთს რომ ხუთი მივუმატოთ, მაგრამ გეტყვიან, რომ ხუთ ლარს მიმატებული ხუთი ლარი ათ ლარს უდრის. ფსიქოლოგების განმარტებით, გამოკითხულ მოზარდებს აქვთ ისეთი ფსიქოლოგიური პრობლემები, რომელსაც ისინი კრიმინალური სამყაროსკენ მიჰყავს. თუმცა, ესეც არ არის ყველაფერი. წებოს ყნოსვით გაბრუებული, ბევრი მათგანი დაცემულა, მანქანას დაჯახებია, თავის, ტვინის ტრავმა მიუღია და ასე შემდეგ. ამ მოზარდების დიდი ნაწილი ტუბერკულოზითაა დაავადებული, სამი გოგონა კი, მათ შორის ერთი 10 წლის გახლავთ, ათაშანგით არის ავად.

სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ ნარკოტიკების შეჩვევის საშიშროების წინაშე მარტო ქუჩის ბავშვები არ დგანან. 12-13 წელი მოზარდებისთვის გარდატეხის ხანაა. ამ დროს ისინი მძაფრ ემოციებს ეძებენ და, ადვილად შეიძლება, ვისიმე ცუდი გავლენის ქვეშ მოხვდნენ. ამ რისკს საქართველოში ჯერ კიდევ არსებული სოციალური რეალობა და ნარკოტიკების ხელმისაწვდომობა ზრდის. "სამომხმარებლო ბაზრის" გაფართოების მიზნით, ნარკომოვაჭრეები ნაცად ხერხს, ახალბედების უფასო ნარკოტიკებით მომარაგებას აქაც კარგად იყენებენ. რაც შეეხება "გადამხდელებს", არაოფიციალური მონაცემებით, შემოტანილ თუ ადგილობრივ ნარკოტიკებზე, მარტო თბილისში, წლის განმავლობაში მილიონ ლარზე მეტი იხარჯება.

ნარკოტიკი 11 წლის ასაკში

პრობლემათა იმ ჩამონათვალის ფონზე, რასაც ჰალუცინაციების გამომწვევი აქროლადი ნივთიერებები იწვევს ადამიანში, ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, რა შედეგები აქვს შედარებით ძლიერ, თუ ე.წ. ძლიერმოქმედ ნარკოტიკებს. მათი მომხმარებელი, როგორც ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით ჩატარებული კვლევის დროს აღმოჩნდა, წარმოუდგენლად ბევრია. ამ კვლევისას გამოიკითხა 800-ზე მეტი სტუდენტი. ვაჟთა 52.6-მა პროცენტმა არ დამალა, რომ ერთი-ორჯერ მაინც გაუსინჯავს ჰაშიში. ვაჟთა 7.8 პროცენტი ბოლო ერთი წელია, რეგულარულად მოიხმარს ჰაშიშს, ინტენსიურად, უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში - ვაჟთა 3.9 პროცენტი. რაც შეეხება გოგონებს, 3.4 პროცენტს ჰაშიში გასინჯული აქვს, თუმცა მის რეგულარულ მოხმარებას არც ერთი ადასტურებს. პირველი ნარკოტიკული ნივთიერება, რომელიც გასინჯეს, გამოკითხულ ვაჟთა 40 პროცენტისთვის მარიხუანა იყო. მარიხუანათი დაიწყო ნარკოტიკებთან გაცნობა იმ ვაჟთა 90 პროცენტმა, რომელიც დღეს სხვა საშუალებებს ეტანება.

მარიხუანას შემდეგ, ნარკოტიკების იშვიათ მომხმარებლებში, პირველ ადგილზეა ექსტაზი, შემდეგ - ჰეროინი, ტრამალი, ინჰალანტები. გამოკითხულ ვაჟთა 3.3 პროცენტი ამბობს, რომ მარიხუანა 11 წლამდე გაუსინჯავს. ამავე ასაკში გაუსინჯავს ინჰალანტები გამოკითხულთა 0.7 პროცენტს. დანარჩენი ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებას, ძირითადად, 15 წლის ასაკში და უფრო გვიან იწყებენ. მარიხუანას შემდეგ ყველაზე მეტად ეტანებიან ოპიუმს, ჰეროინს, კოდეინს, ტრამალს. 12-14 წლის ასაკში გაუსინჯავს მარიხუანა სტუდენტი გოგონების 0.7 პროცენტს, 15 წლის შემდეგ - ტრამალი და კოდეინის შემცველი აბები.

გამოკითხვამ აჩვენა, რომ ახალგაზრდების დიდი ნაწილი უარყოფითად არ უყურებს ნარკოტიკის მომხარებლებს. ვაჟების 50 და გოგონების 80 პროცენტი თუ გაიცხავდა მათ, ვინც მარიხუანას მოიხმარს. შედარებით მკაცრნი არიან ისინი ჰეროინისა და სხვა, ე.წ. მძიმე ნარკოტიკების მომხმარებელთა მიმართ. ამ ფონზე, ახალგაზრდები მათი ახლობლების მიერ ნარკოტიკების მოხმარების თაობაზე უპრობლემოდ საუბრობენ. გამოკითხულ ვაჟთა 41.6 პროცენტი ამბობს, რომ მათი რამდენიმე პირადი ნაცნობი ეწევა მარიხუანას; იგივეს აკეთებს 17.5 პროცენტის პირადი ნაცნობების უმრავლესობა. გოგონათა 17.9 პროცენტის აზრით, მათი პირადი ნაცნობებიდან მხოლოდ რამდენიმე ეწევა მარიხუანას; 1.9 პროცენტი ასეთად ნაცნობთა უმეტესობას მიიჩნევს.

ნარკოტიკების მომხმარებელთა და ნარკოტიკდამოკიდებულთა ზუსტი ციფრი საქართველოს არც ერთ ოფიციალურ (მით უმეტეს - არაოფიციალურ) სტრუქტურას არ გააჩნია. 2003 წლის ბოლოსთვის ქვეყანაში დაფიქსირდა ნარკოტიკების 14152 მომხმარებელი და ნარკოტიკებზე დამოკიდებული 6107 პირი. ექსპერტები თავად ამბობენ, რომ ეს მონაცემები არ ასახავს რეალობას. მათი ინფორმაციით, საქართველოში ნარკოტიკს 150 ათასზე მეტი ადამიანი მოიხმარს, მათ შორის 50 ათასი ნარკოტიკების (უფრო მეტად ოპიოიდების), ინექციური გზით მოხმარებელია. 80-იანი წლებიდან საქართველოში, ძირითადად, ე.წ. ნედლი ოპიუმისგან და, შედარებით ნაკლებად - ყაყაჩოს ნამჯისაგან დამზადებულ ნაყენს მოიხმარდნენ, ამ შემთხვევაშიც, ძირითადად, ინექციური გზით. მიუხედავად ძალზე მაღალი ღირებულებისა (1 გრ - საშუალოდ, 200 აშშ დოლარი ღირს), ჰეროინი სწრაფად გავრცელდა. ამ ნარკოტიკის მოხმარებამ პიკს 2001 წელს მიაღწია. თუ 1997 წელს ჰეროინს მხოლოდ მომხმარებელთა ხუთი პროცენტი იყენებდა, 1999 წელს მათი რიცხვი 20, 2001 წელს კი 60 პროცენტამდე ავიდა. გასულ წელს ჰეროინის მომხმარებელთა რიცხვი განახევრდა, თუმცა, მისი ადგილი სხვა ნარკოტიკებმა დაიკავეს.

ოპიუმის ახალი "საბადო"

2003 წელს საქართველოში ახალი სახის ნარკოტიკი გამოჩნდა. იგი საკვებად შემოტანილ ყაყაჩოს თესლში მოიპოვება. საუბარია ოპიუმზე, რომელიც პროდუქტიდან ქიმიური დამუშავების შემდეგ გამოიყოფა. საფრთხეს სწორედ ეს მომენტი აორმაგებს - იაფფასიანი ქიმიური გამხსნელები ნარკოტიკში ორგანიზმისთვის მეტად საშიშ მინარევებს ტოვებს. მარტო პირველი ოთხი თვის განმავლობაში, რაც ქართულ ბაზარზე პაკეტებში დაფასოებული საკონდიტრო ყაყაჩოს თესლი გამოჩნდა, ნარკოტიკების მომხმარებელთა რიცხვმა მკვეთრად იმატა. 14-დან 18 წლამდე ასაკის მოზარდების 90 პროცენტი ამ სახის ოპიუმის მომხმარებელი გახდა.

შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი ბარამიძემ, თანამდებობაზე დანიშვნის პირველივე დღეებში, აქტიურად ითბო ხელი ამ ყაყაჩოთი სავსე პარკებით გაჩაღებულ კოცონზე, თუმცა, თავისი საქმის გაკეთება, ოფიციალურად, საკონდიტროდ გამზადებულმა ყვავილის ამ თესლმა მაინც მოასწრო. გარდა იმისა, რომ მისგან მიღებულ ოპიუმს თრობის მაღალი ხარისხი აქვს, იგი წარმოუდგენლად იაფიც იყო. ნახევარი კილოგრამი ყაყაჩოს თესლის ყიდვა (ეს რაოდენობა ოთხი დამწყები ნარკომანისთვის საკმაო დოზას შეიცავს) სულ რაღაც 20 ლარად შეიძლებოდა. საქართველოს ბაზრებზე მისი გამოჩენის მარტო პირველ სამ თვეში 30-ჯერ გაიზარდა იმ პირთა რიცხვი, რომლებიც ნარკოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ყაყაჩოს თესლის ნარკოტიკის სახით მოხმარების გამო მოხვდნენ. იმატა ამგვარ მომხმარებელთა მოწამვლის შემთხვევებმაც.

ოპიუმის ეს ახალი "საბადო" - ზეთოვანი ხაშხაშის სელექციური ჯიში, არა მარტო საქართველოს, ევროპის ბაზრებზეც გამოჩნდა. ჩვენში შემოტანილს რუსული წარწერა ამშვენებდა, მაგრამ უკვე დადგენილია, რომ ჩვენ და დანარჩენ მსოფლიოსაც, მისით აქამდე მარიხუანას ძირითად "მომწოდებლად" ცნობილი ქვეყანა - ჰოლანდია ამარაგებს. ოფიციალური სტრუქტურები - სამედიცინოთი დაწყებული, სამართალდამცავებით დამთავრებული, არ მალავდნენ, რომ ოპიუმით ხელოვნურად გაჯერებული ყაყაჩოს თესლის შეძენა ნებისმიერ ჩვენს რეგიონში უპრობლემოდ შეიძლებოდა. საინტერესო იყო მაშინდელი სახელმწიფო სტრუქტურების დამოკიდებულება ამ საკითხისადმი. ისინი კანონს უჩიოდნენ. მათი განმარტებით, იქამდე, ვიდრე ყაყაჩოს თესლი ნარკოტიკული თუ ფსიქოტროპული საშუალებების უკვე დამტკიცებულ ნუსხაში არ შევიდოდა, მისი აკრძალვა კანონდარღვევად ჩაითვლებოდა. როგორ გააგრძელებენ შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სხვა სახელმწიფო სტრუქტურების ახალი ხელმძღვანელები ამ და სხვა ნარკოტიკული საშუალებების წინააღმდეგ ბრძოლას, მომავლის საკითხია.

ზიანის შემცირების პროგრამა

ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში სახელისუფლებო ორგანოებს რეალურ დახმარებას ჰპირდება ღია საზოგადოების ინსტიტუტის სტრუქტურა - ზიანის შემცირების საერთაშორისო პროგრამა. მისი დანიშნულებაა, ხელი შეუწყოს ნარკოტიკების მოხმარების პრობლემის გადაჭრისადმი ინოვაციური მიდგომების დანერგვას აღმოსავლეთი და ცენტრალური ევროპის ქვეყნებში. საქართველოსთვის, სადაც ყველაზე მწვავედ ინტრავენური ნარკომანიისა და, აქედან გამომდინარე, სხვადასხვა ინფექციური დაავადებების, მათ შორის, აივ/ინფექცია-შიდსისა და "ცე" ჰეპატიტის გავრცელების საკითხი დგას, ამ პროგრამას უმნიშვნელოვანესი დახმარების აღმოჩენა შეუძლია. პროგრამა ინტრავენურ ნარკომანებთან აქტიურ მუშაობას, შპრიცების გაცვლას, დამცავი საშუალებებით მათ მომარაგებასა და რიგი სამედიცინო მომსახურების გაწევას ითვალისწინებს. ეს პროგრამა ოცი წლის წინათ ჰოლანდიაში, თავად ნარკომანების ინიციატივით შეიქმნა.

იმისთვის, რომ პროგრამამ საქართველოში გაამართლოს, ნარკომანიის, როგორც პრობლემისადმი ხელისუფლების, საზოგადოების დამოკიდებულების შეცვლაა საჭირო. იმის გამო, რომ ნარკომანია ჩვენში ჯერ ისევ დანაშაულად ითვლება და არა დაავადებად, ნარკომანებს არ სურთ საკუთარი თავის, თუ შეიძლება ასე ითქვას, ლუსტრირება მოახდინონ. შესაბამისად, გამორიცხული არ არის, მათ თავი შეიკავონ შპრიცის გასაცვლელად სპეციალურ პუნქტში მისვლაზე. არის მეორე მიზეზიც, რომლის გამოც ნარკომანები ნემსს იტოვებენ: მათი დიდი ნაწილი ნახმარ შპრიცებს აგროვებს, რომ მასში დარჩენილი წამალი ისევ გამოიყენოს. ამას "ვტარიაკი" ეწოდება. ნარკომანები აგროვებენ ასევე ფილტრებსაც, რომელშიც წამალს ატარებენ, ხელახლა ხარშავენ და იკეთებენ. ესეც "ვტარიაკია."

მსოფლიო კარგა ხანია დარწმუნდა, რომ ნარკომანია ლოკალური პრობლემა არ არის. იგი არა მარტო ნარკომანის, მისი ოჯახის წევრების ჯანმთელობასა და ფსიქიკასაც ანგრევს. ამასთან, როგორც მძიმე ინფექციური დაავადებების გავრცელების საუკეთესო გზა, სოციალურადაც მნიშვნელოვანია. საქართველოში კი ჯერ უფრო ნარკოტიკების წარმოების, ტრანზიტის, მიწოდების წინააღმდეგ ბრძოლაზე ლაპარაკობენ და ავიწყდებათ ადამიანი, რომლისთვისაც ეს ყველაფერი უნდა კეთდებოდეს. ნარკომანების ორკვირიანი მკურნალობა, რომელიც საქართველოშია დანერგილი და, ფაქტობრივად, ნარკომანისთვის "ლომკის" მოხსნას ემსახურება, საკმარისი არ არის. ექსპერტთა აზრით, ნარკომანს სერიოზული, სულ მცირე ორწლიანი სარეაბილიტაციო კურსი და შესაბამისი სოციალური პირობები სჭირდება. სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყანა შესაბამის სოციალურ პირობებს ვერავის უქმნის, ვერც კარგად და ვერც ავად მყოფებს. საქართველოში ჯერ ისევ არ იშოვება სამსახური, არ არის სამყოფი ხელფასი, ცხოვრების ელემენტარული პირობები. რატომ უნდა უნდოდეს ადამიანს ასეთ რეალობაში დაბრუნება? რეალობაში, სადაც ადამიანი თავს ადამიანად ვერ გრძნობს.

სახიფათო თამაშები

ფაქტია, ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით სამუშაო ბევრია, რადგან, ექსპერტების ცნობით, ევრო-აზიური დერეფნის როლის მორგებამდე, საქართველომ წარმატებით მოისინჯა ნარკო და ადამიანთა ტრეფიკერის როლი. ექსპერტებისვე განცხადებით, კორუმპირებულ ჩინოვნიკთა ხელშეწყობის გარეშე ეს ვერაფრით მოხერხდებოდა. ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლას საქართველოში სამმაგი მნიშვნელობა აქვს. შიდსისა და სხვა ინფექციური დაავადებების გავრცელების ძირითად წყაროს აქ სწორედ ინტრავენური ნარკომანები წარმოადგენენ. გარდა ამისა, მათი ცხოვრების წესი ბავშვების ჯანმრთელობასაც უქმნის საფრთხეს.

საქმე ის არის, რომ ბაშვებს სადარბაზოებში, ეზოებსა და თბილისის ჯერ კიდევ შემორჩენილ სკვერებში უყვართ თამაში, იქაურობა კი, არც თუ ისე იშვიათად, ნახმარი ერთჯერადი ნემსებითაა სავსე. ნარკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის, გელა ლეჟავას ინფორმაციით, ეს, ძირითადად, ნარკომანების მიერ გამოყენებული ნემსებია და დიდ საფრთხესაც წარმოადგენს. ჭუჭყიანი ნემსით დაჩხვლეტისას, ადამიანი ნებისმიერი ინფექციით, "ცე" ჰეპატიტითაც შეიძლება დაავადდეს, მაგრამ უფრო დიდი რისკიც არსებობს. თუკი ნემსი ინფიცირებულია, მისი საშუალებით შიდსით დაავადებაც ადვილად შეიძლება.

ამავეს ამბობენ ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრში. მისი დირექტორი თენგიზ ცერცვაძე აცხადებს, რომ ასეთი საშიშროება არსებობს, რადგან დაავადებული ნარკომანის მიერ გამოყენებული ნემსი არის და, ალბათ, დიდხანს იქნება შიდსის გავრცელების ერთ-ერთი საუკეთესო წყარო. ცენტრში არაერთგზის მოუყვანიათ ეზოებში თამაშისას ნემსით დაჩხვლეტილი ბავშვი. საბედნიეროდ, შიდსი არც ერთ მათგანს არ დაუფიქსირდა, მაგრამ რა დაფიქსირდება მორიგი ასეთი შემთხვევისას, არავინ იცის.

კარგა ხანია, სადარბაზოების დასუთავება ბინების მაცხოვრებელთა ფუნქციებში შევიდა. სამწუხაროდ, ბევრი მათგანისთვის ჰიგიენა საკუთარი კარის ზღურბლთან იწყება და იქვე მთავრდება. რაც შეეხება ეზოებსა და სკვერებს, მათი დასუფთავება ძველებურად ქალაქის ხელმძღვანელობის საზრუნავია, თუმცა, რიგითი მოქალაქეებისა არ იყოს, ამ საქმეს თავს არც ჩინოვნიკები აკლავენ. პასუხის მოთხოვნის შემთხვევაში კი, ერთმანეთისკენ იშვერენ ხელს. ჯერ ისევ ამგვარად თამაშობენ ჩვენში: დიდები - სიტყვებით, პატარები - ქუჩაში დაყრილი ნემსებით. საქართველოს მომავლის ბედიც სწორედ ამ ნემსის წვერზე ჰკიდია.

ნარკომანია *- დაავადება, რომელიც ვითარდება ნარკოტიკულ საშუალებათა სისტემატური მოხმარების შედეგად და ვლინდება ნარკოტიკის მიღების გადაულახავი ან ძნელად გადასალახი მოთხოვნილების სახით. სამეცნიერო ლიტერატურაში მოიხსენიება, როგორც წამალდამოკიდებულება, რაც კარგად ასახავს დაავადების ძირითად სიმპტომს - ნარკოტიკზე ფიზიკურ და ფსიქიკურ დამოკიდებულებას.*

ნარკომანი *- ნარკომანიით დაავადებული ადამიანი, რომელსაც აქვს ნარკოტიკის მიღების დაუძლეველი მოთხოვნილება, აღენიშნება პერიოდული ან ქრონიკული ინტოქსიკაცია (მოწამვლა) და იძულებულია, გაზარდოს ნივთიერების დოზა ორგანიზმის მზარდი ტოლერანტობის (დოზისადმი შეჩვევის) გამო, ნარკოტიკის ხმარების უეცარი შეწყვეტისას აღენიშნება აბსტინენციური (გაუსაძლისი ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობა) სინდრომი.*

ნარკოტიკის მომხმარებელი *- ადამიანი, რომელიც არასამედიცინო დანიშნულებით ხმარობს ნარკოტიკულ საშუალებას, მაგრამ აქვს ჩამოყალიბებული დამოკიდებულება.*

პოლინარკომანია *- შერეული ტიპის ნარკომანია, როცა ადამიანი ორ ან მეტ ნარკოტიკულ საშუალებას ერთდროულად ან მონაცვლეობით ხმარობს. ამ ტიპის დაავადების კლინიკური სურათი ბევრად უფრო მძიმეა.*

ნარკომანიას ახასიათებს: *ფსიქიკური დამოკიდებულება - ძლიერი ემოციური მდგომარეობა, რომელიც მოითხოვს ნარკოტიკის პერიოდულ ან მუდმივ ხმარებას სიამოვნების მიღების ან უსიამოვნო შეგრძნების თავიდან აცილების მიზნით;*

ფიზიკური დამოკიდებულება *- იძულებითი დაუოკებელი ლტოლვა ნარკოტიკებისაკენ, რომელიც ნარკოტიკის ხმარების შეწყვეტის შემდეგ ვლინდება ძლიერი ფიზიკური და ფსიქიკური აშლილობით;*

ეიფორია *- ფსიქიკის მდგომარეობა ნარკოტიკული თრობის დროს: აწეული გუნება-განწყობილება უდარდელი კმაყოფილებით, პასიური სიხარულით, უშფოთველი განცხრომით. ახასიათებს არა მარტო ემოციური ფონის აწევა, არამედ ფსიქიკური და სომატური შეგრძნებებიც.*

დეპრესია *- დაქვეითებული, დათრგუნული განწყობილება, ინტელექტუალური და მოტორული (მოძრაობის) შეკავება, ყველაფრის მომცველი გადაულახავი სევდა, კაეშანი.*

ჰალუცინაცია *- გაუკულმართებული აღქმა, რომელიც რეალური ობიექტის გარეშე აღმოცენდება და პიროვნების მიერ განიცდება, როგორც ობიექტური სინამდვილე (ხილვები, მოჩვენებები, მოჩვენებითი ბგერები, ხმები, სუნი და ა.შ.).*

ქართული არტ-რევოლუცია

“მოსკოვში ქართული ხელოვნება მიღებული იყო როგორც “ზედმეტად პათეტიკური”, თბილისში კი მოსკოველთა ნამუშევრებს დაცინვად და პაროდიად აღიქვამდნენ”, - წერს რუსული პრესა იმ ხუთდღიანი გამოფენის შემდეგ, რომელმაც მოსკოვში თანამედროვე ქართული ხელოვნებისადმი ზოგადი დამოკიდებულება შეცვალა.

B3

მოგება გვინდა, მოგება

ლონდონის “ჩელსიში” გადასვლის შემდეგ ჟოზე მაურუნიომ პირველი შეხვედრა გამართა მედიის წარმომადგენლებთან და მათთვის საინტერესო შეკითხვებს უპასუხა. ეს საუბარი, ვფიქრობთ, ინგლისური ფეხბურთის ქართველ მოყვარულებსაც დააინტერესებთ.

B4

ჯორჯ ვაშინგტონი - ვისკის მხდელი

აქამდე ვიცოდით, რომ ჭეშმარიტება ღვინოში იყო, თურმე ვისკიში ყოფილა.

B7

შაბათის სტუმარი

დოქტორი ლევანი:
არ მოწიოთ, არ დალიოთ, ერიდეთ სტრესებს

ყველაფერი მელიქიშვილის ქუჩიდან დაიწყო. “სამედიცინო ლიტერატურაში” გულის ქირურგიის შესახებ დიდი წიგნი იყიდა და გადაწყვიტა, რომ მომავალს გულს დაუკავშირებდა. ის-ის იყო, მოსკოვში, ბაკულევის სახელობის გულსისხლძარღვთა ქირურგიის ინსტიტუტში დისერტაცია უნდა დაეცვა, რომ ერთი წლით (ეს 1998 წელს მოხდა), იტალიაში, ქალაქ ტურინში ჯოენის ერთ-ერთ უძლიერეს ცენტრში პრაქტიკის გასავლელად მიიწვიეს... დისერტაცია დაუცველი დარჩა, რადგან იმ პერიოდში თბილისში ჯოენის ცენტრის გახსნაზე საუბრობდნენ და იფიქრა, იტალიაში გავლილი პრაქტიკა მშობლიურ ქალაქში გამომადგებაო. გეგმები სხვაა, რეალობა - სხვა. ლევან ქარაზანიშვილი იტალიიდან თბილისში 2,5 წლის შემდეგ ჩამოვიდა და 40 ოპერაცია გააკეთა.

მაია ჭალაგანიძე

ჯერ ცოდნა, მერე - ფული

- თბილისში დავიბადე. მათემატიკური სკოლის დამთავრების შემდეგ სამედიცინო უნივერსიტეტში ჩავაბარე, მაგრამ მაშინვე ერთი სახადის - სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდა მომინია. 2 წლის შემდეგ ინსტიტუტში სრულიად სტერილური დავბრუნდი და ყველაფერი თავიდან დავიწყე. მძიმე დრო იყო და ქვეყნის გადარჩენის იდეები მაწუხებდა. ჩავეწერე ექიმების ფრონტში. ექიმები იმ მატარებელს უნდა მომსახურებოდნენ, რომელიც აფხაზეთიდან დაჭრილებს ჩამოიყვანდა. სამწუხაროდ, ეს მატარებელი მხოლოდ ერთხელ დაიძრა, მერე საჭირო აღარ გავხდით.

1994 წელს მოსკოვში, ბაკულევის სახელობის გულსისხლძარღვთა ქირურგიის ინსტიტუტში განვაგრძე სწავლა - ჯერ ორდინატურაში, შემდეგ ასპირანტურაში. დისერტაცია თითქმის მზად მქონდა, როდესაც ტურინში, ჯოენის სახელობის ცენტრში პრაქტიკების გასავლელად მიმიწვიეს. ცენტრს “ვილა მარია პია” ჰქვია და იქ უძლიერესი კარდიოქირურგები მუშაობენ. დღემდე ამ ჯგუფში (“კარდიოტიმი”) ვარ. საქართველოში ჯოენის კარდიოქირურგიული ცენტრი უნდა გახსნილიყო. იტალიაში ერთი წელი მომიწევდა მუშაობა. ამ წინადადებით კი საქართველოში საქმის კეთების ყველანაირი პერსპექტივა მეხსნებოდა.

იტალიაში საკმაოდ ინტენსიური მუშაობა მომიხდა. პროგრამით, მხოლოდ ერთწლიანი პრაქტიკა უნდა გამევლო. დროს მაქსიმალურად ვიყენებდი და პარასკევობით ისეთი დაღლილი ვბრუნდებოდი სახლში, რომ ლაპარაკიც აღარ შემეძლო, ხმა არ მქონდა. კლინიკაში ბევრი ოპერაცია კეთდებოდა და ყველას ვესწრებოდი.

- იმ დროს აქ ჭორაობდნენ, აქაური დიპლომი არ ჭრისო...

- დიპლომი არ გადიოდა, როგორც ექიმი ვერ იმუშავებდი. მე ვიყავი რეზიდენტი, რომელიც ოპერაციებზე უფასოდ ეხმარებოდა ქირურგებს. სტიპენდიას მიხდიდნენ და იმით ვცხოვრობდი. სამუშაოს შემდეგაც კლინიკაში ვრჩებოდი. ჩემი მიზანი უფრო მეტად, ცოდნის შეძენა იყო, ვიდრე სტიპენდიის მიღება.

პირველი კატანძაროელი ქართველი

- იმის გამო, რომ საქართველოში დაფინანსების მხრივ პრობლემები იყო, კლინიკის გახსნა გაჭიანურდა და ერთი წლით წასულმა მხოლოდ 2,5 წლის შემდეგ მოვახერხე ჩამოსვლა.

ჩვენს ჯგუფს სამხრეთ იტალიაში, ქალაქ კატანძაროში შესთავაზეს წასვლა. იქ ახალი ცენტრი უნდა გახსნილიყო. ეს იტალიის ჯურღმულია...

- როგორც საქართველოში, არა?

- ვერ ვიტყვი... რა თქმა უნდა, აქაც ვყოფილვარ მსგავს ჯურღმულებში, მაგრამ ვერ ვიტყვი, რადგან ეს ჩემი ქვეყანაა და აქ ყველაფერი საყვარელია.

თუმცა, პროფესიული თვალსაზრისით, დიდი გამოცდილება მივიღე. კატანძაროში ერთი წელი ვიმუშავე. იქ ჩემი მეორე ქალიშვილი, კატანძაროში პირველი ქართველი - ანა დაიბადა. ყველა მაშაყირებს, რაღა მაინცდამაინც იქო...

მეუღლე, ნატო ელიაშვილი, პროფესიით მხატვარია. მოსკოვიდან იტალიაში ერთი შვილით წავედი. დღეს ნინო 9 წლის არის, ანა - 4 წლის.

ოჯახში, რა თქმა უნდა, ქართულად ვსაუბრობთ. ნინომ პირველი-ორი კლასი თბილისში დაამთავრა. სახლში “რუსთავი 2”-ს ვუყურებთ. უფრო სწორად, მე ვუყურებ. სახლში რომ ვბრუნდები, ბავშვები ჯუჯღუნებენ - მოვიდა და ჩართავს ახლა თავის საქართველოსო... 2 თვით ადრე ალაგებდნენ ბარგს, ისე უხაროდათ საქართველოში წამოსვლა.

- თქვენს გვარს როგორ წარმოთქვამენ იტალიელები?

- თავიდან დოქტორ ლევანს მეძახდნენ, მაგრამ მერე გაიგეს, რომ ეს სახელია. ჩემი გვარი ძალიან “საშიშია”, ლათინურად 14 ასოსგან შედგება, მაგრამ იტალიელებს წარმოთქმა არ უჭირთ.

ნუ ჩაუქრობთ შუქს ექიმებს

- ეს კლინიკა ავაწყეთ, მაგრამ ჩრდილოური და სამხრეთული მენტალიტეტი ერთმანეთს ვერ შეეწყო. სტრუქტურის მმართველობის თავისებური წესები იყო. ექიმებს რაღაცნაირად ზღუდავდნენ. მაგალითს მოგიყვანთ - კლინიკის მფლობელი საღამოობით დადიოდა და საკუთარი ხელით აქრობდა სინათლეს. შეიძლება, ეს სწორიც არის, მაგრამ თანამშრომლებისთვის, რომელთაც წლის განმავლობაში 10 მილიონი დოლარი შემოაქვთ, სინათლის კაპიკების დათვლა ცოტა უხერხულია... ეს კაცი პაკეტის 100 პროცენტის მფლობელი იყო. სინათლის ჩამქრობის დაქირავება და მისთვის ფულის გადახდაც კი არ უნდოდა.

- კატანძაროელები ძუნწები ყოფილან...

- შეიძლება, მარტო ეს კაცი იყო ძუნწი. ასე იყო თუ ისე, ჯგუფი იქიდან წამოვიდა. რა თქმა უნდა, დარჩენა შემომთავაზეს, მაგრამ ჯგუფთან ერთად ყოფნა ვარჩიე, ასე უფრო ძლიერი ხარ. ამჯერად ჯგუფში 5 კარდიოქირურგია - პირველი ექიმი, ანუ “პრიმარიო” ნარკო დიენა, გვიდო ლანძილო, რომელიც აქაც ჩამოვიყვანე, მე და კიდევ 2 დამხმარე კარდიოქირურგი.

უფულო ქვეყნის რეალობა

- ტურინში დავბრუნდით და იქ დავსახლდით, მაგრამ სამუშაო ადგილი ნოვარაშია, მილანიდან 40 და ტურინიდან 100 კილომეტრით არის დაშორებული.

ამ დროისთვის საქართველოში ცენტრის გახსნის აზრიც მომწიფდა. ჯოენის ადმინისტრაციამ ამისთვის ბევრი იშრომა და 2000 წელს ცენტრი გაიხსნა. თუმცა, პირველი ოპერაციები ივნისში გავაკეთეთ და საბოლოოდ სექტემბერში ჩამოვედით.

ერთია, როდესაც პროექტებს სხვა გადასახედიდან უყურებ და მეორე, როდესაც რეალობა პირისპირ გეჯახება.

საერთოდ, გულის ოპერაციები ძვირადღირებულია და ეს საქმეს ართულებს. ერთხელ “გეპეის” ექსპროფესორი მოვიდა თავისი პრობლემებით. ევროპაში პაციენტს არაფერს უმალავენ და ამას მიჩვეული ვარ. ავადმყოფმა უნდა იცოდეს, რა შეიძლება დაემართოს და რა გზებით შეიძლება ჯანმრთელობის პრობლემის გადაჭრა. როდესაც ოპერაციის ფასი გაიგო, რომელიც მას თავად უნდა გადაეხადა, ჩემგან ისე მძიმე სულიერი მდგომარეობით წავიდა, წინასწარ რომ მცოდნოდა, გადამხდელი იყო თუ არა, ალბათ, არც ვეტყოდი, ოპერაცია გჭირდებათ-მეთქი, ისე გავუშვებდი.

ბესო გულაშვილის ფოტო

თუ ევროსტანდარტების ცენტრი შეიქმნება და ის ჩემი დღევანდელი სტატუსისთვის მიმზიდველი იქნება, საქართველოში სიამოვნებით ჩამოვალ.

ოპერაცია, მინიმალურად, 4000 დოლარი ჯდება და ეს იმის გათვალისწინებით, რომ აქ ექიმს, ექთანს და პერსონალს გაცილებით ნაკლები ხელფასი აქვთ, ვიდრე ევროპაში. და იმის გათვალისწინებითაც, რომ ჯოენის ცენტრს მასალების და მედიკამენტების ნაწილი უფასოდ გადმოეცა...

იმის გამო, რომ ეს პროექტი დაძრულიყო, უცხოელი ექიმების ჩამოყვანა გვიხდებოდა. როცა საქმე გულს ეხება, რთულია, ენდო ყველას, მაგალითად, ჩემისთანა ახალგაზრდა კარდიოქირურგს... თუმცა, ჩემი “პრიმარიო” პირველი ქირურგი 35 წლის ასაკში გახდა. წელიწადში 1200 ოპერაციას აკეთებდა. ჩვენი ჯგუფი კი დღეში 6 ოპერაციას აკეთებდა.

პირველი გული

- სახელმძღვანელოში ვნახე... პირველად ბაკულევის ინსტიტუტში შევეხე.

მელიქიშვილის ქუჩაზე სამედიცინო წიგნის მაღაზია იყო. მესამე კურსზე ვიყავით, სტიპენდია ავიღეთ და კარდიოქირურგიის შესახებ ბურაკოვსკისა და ბოკერიას უზარმაზარი წიგნი შევიძინეთ. საკმაოდ ძვირი, 18 მანეთი ღირდა. რაღაც ხომ უნდა გვეყიდა, მესამე კურსზე ვიყავით და გვეგონა, ექიმები ვიყავით... ეს წიგნი პირველად მთლიანად არც წამიკითხავს, მერე მომინია და დარგის სირთულემ მიმიზიდა, ტექნიკასთან უფრო მეტად იყო დაკავშირებული. ამიტომაც ჩავთვალე, რომ ეს შეიძლება, ჩემი სამომავლო პროფესია ყოფილიყო. მეოთხე კურსზე მტკიცედ გადავწყვიტე, გულის ქირურგიას გავყოლოდი და საგნის უკეთ შესასწავლად მოსკოვში წავედი.

- ჯანდაცვის აქაურ სისტემაზე რა წარმოდგენა გაქვთ?

- უფულო ქვეყნის სისტემაა, თუმცა, ნაკლებად ვიცნობ. ვფიქრობ, რომ ჯანდაცვის სამინისტრო იმას აკეთებს, რაც შეუძლია.

ჩემი აზრით, ჯოენის ცენტრში შექმნილი სისტემა ძალიან კარგი და პროგრესული მაგალითი იყო ახალგაზრდებისთვის. ხელფასები მაღალი ჰქონდათ და, რაც მთავარია, პაციენტთან ფულზე ჭიდაობა არ მიმდინარეობდა. ეს ექიმისთვის დამამცირებელია და იმედი მაქვს, რომ საქართველოშიც აღმოიფხვრება.

- იტალიელი ექიმების ხალათებს დიდი ჯიბეები არ აქვთ?

- არაფერში სჭირდებათ.

იქ ორი სტრუქტურა არსებობს - კერძო და საუნივერსიტეტო. მე კერძო სტრუქტურაში ვარ. უფრო ეფექტურად პატარა, კომპაქტური კლინიკა ითვლება. კერძო მფლობელს დიდი ინტერესი აქვს, რომ მისი კლინიკა მომგებიანი იყოს და ამისთვის ყველაფერს აკეთებს. საუნივერსიტეტო სტრუქტურას უფრო მეტი ხარჯი აქვს, ყოველწლიურად ბევრ მასალას ყრიან. კერძო სტრუქტურა თავს ამის უფლებას ვერ აძლევს - ყველაფერი გაზომილი აქვს.

- ავადმყოფისთვის რომელი უფრო ძვირია?

- არანაირი განსხვავება არ არის. კერძო სტრუქტურა აკრედიტებულია, სახელმწიფო შეკვეთა აქვს და პაციენტისთვის უფასოა. ჯანდაცვის სამინისტრო იტალიის ყველა მოქალაქეს უფლებას აძლევს, აირჩიოს, სად უნდა იმკურნალოს. იტალიის მოქალაქეებისთვის სამედიცინო მომსახურება უფასოა, მათ შორის, გულის ოპერაციაც. ოღონდ ეს სტომატოლოგიურ მომსახურებას არ ეხება.

- ეს ნამდვილად იტალიურია - გულის შუნტირება უფასოა და კარიესის მკურნალობა - ფასიანი... სოციალურად დაუცველი ფენები, ალბათ, არ მიდიან კერძო კლინიკებში.

- ბევრი საუნივერსიტეტო კლინიკებს ირჩევს, უფრო მეტს კი კომპაქტური, კერძო კლინიკა ურჩევნია. იქ მეტ ყურადღებას აქცევენ.

- და პაციენტის უფლებებიც უფრო დაცულია?

- იმედია, გარკვეული დროის შემდეგ საქართველოშიც ევროპული სისტემა იქნება, ეს აუცილებელია. იმისთვის, რომ იქ ექიმად იმუშაო, სადაზღვევო კომპანიაში თანხის გადახდაა საჭირო. თუ ექიმმა პაციენტს რაღაც გარემოებების გამო დაუყვირა, ან უნებური ზიანი მიაყენა, ან პაციენტს ექიმის მიერ დანიშნული კურსი არ მოეწონა, საჩივრის დაწერის უფლება აქვს.

- უფრო ხშირად ვინ იმარჯვებს?

- რა თქმა უნდა, თუ ექიმი კრიმინალი არ არის, პაციენტს ცუდს არაფერს გაუკეთებს. ჩემი დაზღვევა მილიონ ნახევარ ევროს შეადგენს. თუ პაციენტმა გაიმარჯვა, ამ თანხას წაიღებს. სადაზღვევო კომპანიას, ცხადია, ეს ხელს არ აძლევს და ადვოკატს ქირაობს. თუმცა, რის უფლებასაც აქ ექიმი თავს აძლევს, იქ შეიძლება პაციენტმა არც აპატიოს.

- კორუფცია მაფიის სამშობლოში...

- პირველად რომ ჩავედი და ვნახე, რომ პოლიციელები ფულს არ იღებდნენ, ჩემთვის აღმოჩენა იყო. რომ შესთავაზო, შეიძლება, დაგიჭირონ კიდეც. აქ სხვაგვარად ვიყავი მიჩვეული. როდესაც დიდ ხანს ვიცხოვრე, ვნახე, რომ პოლიციელის დონეზე არა, მაგრამ უფრო მაღალ დონეებზე კორუფცია არის. პრესას ეცნობი, ტელევიზიას უყურებ და ამას ხედავ.

- თქვენს სისტემაში?

- ჩვენთან საუნივერსიტეტო კლინიკის ორი პროფესორი დაიჭირეს, რომელთაც ბრაზილიურ ფირმასთან ჰქონდათ ხელშეკრულება და გულის ხელოვნური სარქველები ჩამოჰქონდათ. ეს სარქველები ხარისხიანი არ იყო, რის გამოც რამდენიმე პაციენტი დაიღუპა.

- პოლიტიკური პარტიები იქაც სპეკულირებენ ჯანდაცვით?

- ჩვენი მიზანი განვითარებული ქვეყნების ჯანდაცვის დონის მიღწევა უნდა იყოს, მაგრამ ჯანდაცვის ევროპული სისტემები პოსტსაბჭოთა ქვეყნებსაც აქვთ და, ალბათ, მათი გზა ჩვენთვის საინტერესო იქნება. ალბათ, ევროპა საკუთარი წევრებისთვის კრიტერიუმებს დაწესებს... პოლიტიკოსი არ ვარ და ამაზე მეტს ვერ ვიტყვი.

ყოველ ახალ პოლიტიკურ პარტიას საკუთარი ცვლილებები მოაქვს. ბერლუსკონიმ წინასაარჩევნოდ თავისი პარტიის იდეები მოიტანა, რაც ბევრ ექიმს არ მოეწონა. ახლა რაღაც-რაღაცებს ცვლიან, მაგრამ ეს არ იქნება რადიკალური ცვლილებები. დღეს ევროპას ძალიან აწუხებს ჯანდაცვის სისტემაში ჩადებული უზარმაზარი თანხები. საუნივერსიტეტო კლინიკებს ძალიან უჭირთ იმის გამო, რომ საკუთარ ბიუჯეტს ვერ ინახავენ. მთავრობა წლის ბოლოს ფინანსირებას უწყვეტს. ბევრი ფული იხარჯება ჯანდაცვის სისტემის შენახვაზე. ახლა რაღაც ცვლილებებს აპირებენ, მაგრამ ეს პაციენტს არ შეეხება. უბრალოდ, უფრო ეკონომიურად უნდა ხარჯონ სახელმწიფოს მიერ ჩადებული ფული. კერძო სტრუქტურა, სადაც მე ვმუშაობ, ამ ფორმულას ამუშავებს, რადგანაც ორმხრივი ინტერესია - თუ ქირურგი სხვასთან შედარებით ნაკლებს ხარჯავს, მფლობელები ხედავენ, რომ მათ ქონებას უფრთხილდება და ამ ექიმთან მუშაობის ინტერესი აქვთ.

ქართველი პაციენტები უფრო ახალგაზრდები არიან

- რა განსხვავებაა ქართველ და იტალიელ პაციენტებს შორის?

- სამწუხაროდ, ქართველი პაციენტები უფრო ახალგაზრდები არიან. ალბათ, ეს ცხოვრების პირობებმა, რითმმა და წესმა გამოიწვია.

- რა პრობლემები აქვთ ევროპელ ექიმებს?

- ვერ ვიტყოდი, რომ დიდი პრობლემები აქვთ. სანამ ახალგაზრდა ხარ, ხანდახან 48 ან 72 საათი გიწევს მუშაობა.

- რაღაც ფორმით თქვენს ქვეყანასთან ურთიერთობებს არ დაამყარებთ?

- რა თქმა უნდა. ძალიან მოწადინებული ვარ, რომ ჩამოვიდე და ვიმუშაო. ეს პროექტებზეა დამოკიდებული. ვფიქრობ, სამომავლოდ ჩემი დაბრუნების შესაძლებლობა გაჩნდება. ვერ გეტყვით როგორ, მაგრამ თუ ევროსტანდარტების ცენტრი შეიქმნება და ის ჩემი დღევანდელი სტატუსისთვის მიმზიდველი იქნება, საქართველოში სიამოვნებით ჩამოვალ. ჯერ კონტრაქტი მაქვს, მაგრამ კონტრაქტის დარღვევაც შემიძლია... მართალია, ოჯახი იქ მყავს, მეგობრებიც შევიძინეთ, მაგრამ მაინც მარტო ვართ. ბავშვებს ბებია-ბაბუები ჭირდებათ და ასე...

- რომელ საფეხბურთო გუნდს გულშემატკივრობთ?

- სიმართლე გითხრათ, ფეხბურთისთვის ვერ ვიცლი, მაგრამ ახლა გადავწყვიტე, რომ ასე არ შეიძლება, რომელიმე გუნდი უნდა ავირჩიო და ავირჩიე მილანი.

- ეს ქალაქი სამსახურთან ახლოს რომ არის, იმიტომ?

- არა, იქ ქართველი თამაშობს.

- როგორ უნდა გავუფრთხილდეთ გულს?

- რთული კითხვაა... სტანდარტულად გიპასუხებთ - არ მოწიოთ, არ დალიოთ, ბევრი არ ჭამოთ, ერიდეთ სტრესებს.

ᲔᲗᲜᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘ

ფოლკლორის ფესტივალი Art-გენი
15:00 სთ. - მოძრაობის თეატრი
17:00 სთ. - ფოლკლორი: იმერეთი, ფშავ-ხევსურეთი
21:00 სთ. - "ზუმბა"

ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲘ

თეატრალური სარდაფი
ჟან-ჟაკ ბრიკერი, მორის ლესაგი
"ინსტინქტი"
დას: 20:00 სთ.

თეატრალური სარდაფი ვაკეში
მორის რაველი
"ბოლერო"
რეჟისორი: გია მარღანია
დას: 19:00 სთ.

თავისუფალი თეატრი
მილერი
"ყველა ჩემი შვილია"
რეჟისორი: ლეო ანთაძე
დას: 13:00 სთ.

"ყვითელი ანგელოზი"
რეჟისორი: ირა მეღვინეთუხუცესი
დას: 22:00 სთ.

გრიბოედოვის თეატრი
თეოდორ დოსტოევსკი
"თვინიერი"
დას: 18:00 სთ.

ᲙᲘᲜᲝᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲘ

ამირანი
"ტროა"
დას: 10:00; 13:00; 16:00; 19:00; 22:00 სთ.

ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲔᲑᲘ

ქარვასლა
ნოდარ მალაზონიას ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

საქართველოს ხელოვნების მუზეუმი
"XX საუკუნის ქართული ხელოვნება"

თანამედროვე ხელოვნების გალერეა
აჭარელ, აფხაზ და ქუთაისელ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა

TMS
ლევან ლაღიძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

"ჰობი"
გრაფიკული ნამუშევრების გამოფენა

სურათების ეროვნული გალერეა
სახვითი ხელოვნების ნიმუშთა გამოფენა

ᲙᲚᲣᲑᲔᲑᲘ

"აჭარა მიუზიქ ჰოლი"
რეზიდენტი დი-ჯეები
კლუბის გახსნა: 22:00 სთ.
ფასი: ბიჭებისთვის 20 ლარი
გოგონებისთვის - უფასო

ᲞᲠᲔᲖᲔᲜᲢᲐᲪᲘᲔᲑᲘ

"ქარვასლა"
მედია არტ ფერმა (მაფ) აწყობს "24 საათის" კვარტალური დამატების, გაზეთ "არტურის" პრეზენტაციას
დას: 15:00 სთ

დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge

6 ᲘᲕᲜᲘᲡᲡ

გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი

საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი "რუსული კლუბი" წარმოადგენს მუსიკალურ წარმოდგენას ალექსანდრე პუშკინის ზღაპრების მოტივებზე - Превращения в Лукоморье.

დამდგმელი რეჟისორები: ინგა გარუჩავა და პეტრე ხოტიანოვსკი.

კომპოზიტორი თენგიზ ჯაიანი.

დას: 13:00; 15:00 სთ.

ᲑᲐᲚᲐᲓᲐ „ᲰᲔᲤᲘ ᲔᲜᲓᲘᲗᲐ" ᲓᲐ ᲙᲝᲢᲔᲡ ᲩᲐᲠᲗᲕᲔᲑᲘᲗ

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲡᲣᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ

"კიპლინგის თარგმნა, ცხადია, სერიოზული განაცხადია"

დღეიდან კოტე ყუბანეიშვილი თავის თავს უკვე რედიარდ ყუბანეიშვილს ეძახის, ხოლო მისი სერიოზული განაცხადი - რედიარდ კიპლინგის "ბალადა აღმოსავლეთსა და დასავლეთზე" (Ballad of East and West) უკვე წიგნის მაღაზიის თაროებზე დევს. ამ პატარა ლამაზად ილუსტრირებულ-გაფორმებული წიგნის პრეზენტაცია გუშინ "წიგნის სახლში" გაიმართა. გუშინდელი პრეზენტაციაც, ისევე როგორც კოტე ყუბანეიშვილის სხვა პრეზენტაცია-შეხვედრა-საღამოები, ხალხმრავლობით, იუმორით, გადაძახილ-გადმოძახილით და, რა თქმა უნდა, კოტეს ჩართვებით გამოირჩეოდა. და კიდევ, კინაღამ დამავიწყდა: რასაკვირველია, გაჩნდა კიდევ ერთი ახალი, ორიგინალური დიზაინის მაისური, ოღონდ ამჯერად არა კოტეს ციტატებით, არამედ ახალი წიგნის ილუსტრაციით და წარწერით - რედიარდ კიპლინგი "ბალადა აღმოსავლეთსა და დასავლეთზე".

"ბალადა აღმოსავლეთსა და დასავლეთზე" ინგლისელმა მწერალმა რედიარდ კიპლინგმა 1892 წელს გამოაქვეყნა პოეზიის მეორე ტომში, რომელშიც ასევე შევიდა მისი საუკეთესო ლექსები: Road to Mandalay, Gunda Din და If. ამ ბალადის თარგმნა კოტე ყუბანეიშვილს, როგორც თვითონ გაგვიმხილა, 30 წელია უნდოდა, მაგრამ, როგორც ხდება ხოლმე, ეს საქმე გადაიდო და გადაიდო... დიდი ხნის სურვილი მხოლოდ ახლახანს აისრულა, სულ რაღაც რამდენიმე თვის წინ, როცა ჩვენს ქვეყანაში დიდი პოლიტიკური მღელვარება იყო, თაროდან წიგნი გადმოიღო და ბალადა ორ ღამეში თარგმნა. ასე შეემატა ქართულ თარგმანებს კიდევ ერთი კარგი თარგმანი.

ᲘᲣᲠᲘ ᲚᲝᲒᲝᲠᲓᲘᲜᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

როცა ჩემ ლექსებს ვერ ვწერ/ და აღარ ვიცი რა ვქნა/ მაღლა ღმერთია შემწე/ შემომაშველა თარგმნა

"ჩემი ბიოგრაფია ძალიან განსხვავდება კიპლინგის ბიოგრაფიისაგან, მე არც ინდოეთში დავიბადე და არც ინგლისში გამიტარებია ბავშვობა, ინდოეთში საერთოდ არ ვყოფილვარ, ჟურნალისტადაც არ მიმუშავია, მაგრამ ერთი რამე საერთო მაინც აღმოგვაჩნდა - ჩვენი მამები, ორივე, წიგნის ილუსტრატორები იყვნენ. მამაჩემმა საკმაოდ დიდი გავლენა მოახდინა ჩემი ესთეტიკის ჩამოყალიბებაზე. კერძოდ, მისმა ილუსტრაციებმა ვაჟა-ფშაველას სამი პოემისათვის, აქედან ორი, "ალუდა ქეთელაური" და "სტუმარ-მასპინძელი", კიპლინგის The Ballad of East and West-ის მაგვარად ადამიანის მარადიულ ფასეულობას უმღერის," - ვკითხულობთ მთარგმნელის წინასიტყვაობაში.

ინდო-ავღანეთის საზღვარზე მომხდარ რეალურ ამბავს, რომელიც კიპლინგმა ბალადად აქცია, ქართველი მთარგმნელი "ალუდა ქეთელაურს" ადარებს, ოღონდ "ჰეფი ენდით" დასრულებულ "ალუდა ქეთელაურს". ბალადა, მართლაც, უამრავ ასოციაციას აღძრავს მკითხველში... წაიკითხავთ და თავად ნახავთ.

წიგნში მხატვარ თემო ყუბანეიშვილის საავტორო შრიფტია გამოყენებული, ილუსტრაციები კოტე ყუბანეიშვილის დას, ელენე ყუბანეიშვილს ეკუთვნის. მთარგმნელისეულ მცირე შესავალთან ერთად თარგმანს წინ უძღვის ზაქრო მეგრელიშვილის წინასიტყვაობა, სადაც მკითხველი რედიარდ კიპლინგის ცხოვრების შესახებ ბევრ საინტერესო და, შესაძლოა, მისთვის უცნობ დეტალს შეიტყობს. წიგნი ბრიტანეთის საბჭოს ფინანსური დახმარებით გამოიცა და ფასიც "ბრიტანულად სოლიდური" ადევს - 13 ლარი.

და კიდევ ერთი საყურადღებო სიახლე წიგნის მოყვარულთათვის, რომელიც გუშინდელ პრეზენტაციაზე საღამოს მასპინძელმა ზაალ სამადაშვილმაც გაგვიმხილა და საღამოს სტუმარმა კოტე ყუბანეიშვილმაც დაადასტურა (თუ შეიძლება პირიქით). კოტე ყუბანეიშვილი საკუთარი გამომცემლობის გახსნას აპირებს, სახელწოდებით "Kote.ge", "ge" - როგორც საქართველო (Georgia) და "კოტე" - როგორც კოტე. ეს კოტე ხომ, როგორც თავად პოეტი ამბობს, ყველაფერში ჯდება. საქმე ნაწილობრივ უკვე დაძრულიცაა. კოტე ყუბანეიშვილს ამ გამომცემლობის ლოგო უკვე მოფიქრებული აქვს და მონახაზიც გაკეთებული - ქაღალდის ხელსახოცზე. მაშ, დაველოდოთ...

ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲘᲡ ᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲔᲑᲘ

ᲜᲐᲜᲐ ᲑᲐᲡᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

"ეს არის მხატვრულ-დოკუმენტური რომანი, რომლის ავტორი აფხაზეთის ომის უშუალო მონაწილეა. იგი სრულიად უანგაროდ, პატრიოტული სულისკვეთებით იბრძოდა. მან დაინახა ომის უაზრობა, უპერსპექტივობა, თუმცა უკან არ დაუხევია და არ გამოქცეულა, იგი ბოლომდე იბრძოდა. ყველაფერი საკუთარ თავზე გადაიტანა. ვიღაცები მოკლა, ვიღაცებმა დაჭრეს, ბევრი უბედურება დაატყდა თავს, მაგრამ აღმოაჩნდა იმის ძალა, რომ ყოველივე მხატვრულად, ლამაზად, თავისებური იუმორით გადმოეცა," - მწერალმა ბესო ხვედელიძემ გუშინ კაფე "პარნასში" საზოგადოებას დებიუტანტი კოლეგის გიორგი ნახუცრიშვილის პირველი წიგნი წარმოუდგინა. ეს, ალბათ, არც პირველი და არც უკანასკნელი წიგნი იქნება, რომელიც აფხაზეთის ომს ასახავს. გიორგი ნახუცრიშვილი პროფესიით ბიოლოგია. 1992-1993 წლებში იგი აფხაზეთის ომში მოხალისედ წავიდა და ბოლომდე იბრძოლა. 11 წლის შემდეგ გიორგიმ იქ განცდილისა და ნანახის აღწერა გადაწყვიტა.

ᲘᲣᲠᲘ ᲚᲝᲒᲝᲠᲓᲘᲜᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

სამომავლოდ კვლავ ვაპირებ წიგნის დაწერას, ალბათ ისევ ომის თემაზე.

წიგნი, როგორც გითხარით, აფხაზეთის ომზეა. თუმცა, მხატვრულ-დოკუმენტურ პროზაში ავტორი არანაირ გეოგრაფიულ მინიშნებას არ აკეთებს. მკითხველისთვის ბოლომდე ბუნდოვანი რჩება სად, რომელი ქვეყნის, რომელ ქალაქში ხდება მოქმედება და რა ომზეა საუბარი. მასში უბრალოდ მოთხრობილია მოხალისედ წასული ჯარისკაცების მიერ განცდილი აფხაზეთის ომის მოვლენები. აღწერილია რამდენიმე ჯარისკაცის საომარი თავგადასავალი. ეს ყველაფერი კი ზღვისპირა ქალაქში და მის მიდამოებში ხდება. წიგნის გარეკანზე. მხოლოდ მწერლის სახელის ინიციალი და გვარი წერია. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ვინმე უცნობი ჯარისკაცის წერილებს კითხულობ. როგორც მწერალმა გაგვიმხილა, ნაწარმოების მთავარი გმირი თავადაა.

წიგნი რუსულენოვანია იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ გიორგი ნახუცრიშვილს განათლება რუსულად აქვს მიღებული. "Бархатный сезон"-ს გიორგი ნახუცრიშვილი მეუღლეს - ირინას უძღვნის, რადგანაც ყოფილი მეომრისთვის, ყოველივეს ფურცელზე გადატანის იდეა სწორედ მას მიუწოდებია. აქამდე იგი პატარ-პატარა სტატიების ავტორი იყო, რომლებიც წლების განმავლობაში რუსულ პრესაში იბეჭდებოდა. ის, რომ "Бархатный сезон" რუსულ ენაზეა, საზოგადოებამ ეს წიგნის პლიუსად მიიჩნია, რადგანაც კარგი იქნება მას არაქართველი მოსახლეობაც თავისუფლად გაეცნოს. მით უმეტეს, რომ სიუჟეტი, სამწუხაროდ, კვლავაც აქტუალურია.

აფხაზეთის თემას აგერ უკვე 12 წელიწადია გვერდს ვერ აუვლი და იგი მუდმივად მტკივნეული პოლემიკის საგანი ხდება. გამონაკლისი არც გუშინდელი პრეზენტაცია იყო. თავად წიგნში, ცოცხალი დიალოგების სახით, მოცემულია მეომრების შეხედულებები მიმდინარე მდგომარეობაზე, დაშვებულ შეცდომებსა და ომის უაზრობაზე. საკუთარი აზრი დამსწრე საზოგადოებამაც დააფიქსირა. რა იყო ომის დაწყების მიზეზი, სად დავუშვით შეცდომა, რატომ იყო, ან არ იყო ეს ომი უაზრო და ა.შ. "ჩვენ არავინ არ გვძულს, ჩვენ ვართ ის ხალხი, რომლებსაც ერთ ქვეყანაში, იგივე აფხაზებთან, იგივე ოსებთან ერთად ცხოვრება გვინდა", - აღნიშნა პოეტმა გაგა ნახუცრიშვილმა, მას თურმე "Бархатный сезон" -ის თარგმნა უცდია, - "საბოლოოდ გადავიფიქრე, რადგანაც ვფიქრობ, რომ ჯობდა, წიგნი ორიგინალურ ენაზე გამოცემულიყო. იგი რუსულენოვანმა მოქალქეებმაც უნდა წაიკითხონ, "Бархатный сезон" კეთილსინდისიერებას და რაინდობას ქადაგებს".

"სამომავლოდ კვლავ ვაპირებ წიგნის დაწერას, ალბათ, ისევ ომის თემაზე. იმის მიუხედავად, რომ მკითხველი ინდივიდუალურად აღიქვამს ნაწარმოებს, მინდა, რომ მან შეძლებისდაგვარად რეალურად შეაფასოს და გააანალიზოს ყოველივე. აქვე დავსძენდი, რომ ჩემს აზრებსა და განცდებს სხვას თავს არ ვახვევ", - ამბობს გიორგი ნახუცრიშვილი.

ქართული არტ-რევოლუცია

მოსკოვში ახალი საქართველო ნახეს

ვერა ნეფარიძე

"მოსკოვში ქართული ხელოვნება მიღებული იყო როგორც "ზედმეტად პათეტიკური", თბილისში კი მოსკოველთა ნამუშევრებს დაცინვად და პაროდიად აღიქვამდნენ", - წერს რუსული პრესა იმ ხუთდღიანი გამოფენის შემდეგ, რომელმაც მოსკოვში თანამედროვე ქართული ხელოვნებისადმი ზოგადი დამოკიდებულება შეცვალა.

გამოფენამ სამი თაობა გააერთიანა: ვინც საკუთარი შემოქმედებითი ცხოვრება "პერესტროიკის" პერიოდში, 80-იანი წლების დასასრულს დაიწყო; 90-იანი წლების მეორე ნახევარში ფორმირებული თაობა და ახალი მხატვრები, რომლებმაც განათლება საზღვარგარეთ მიიღეს და სამშობლოში დაბრუნდნენ.

"24 საათი" ცოტა ხნის წინათ წერდა, რომ მოსკოვში სახელწოდებით - "თანამედროვე ქართული ხელოვნება" ქართველი მხატვრების გამოფენა იხსნებოდა. ქართული გამოფენა "არტ მოსკვას" (თანამედროვე მხატვრობის ყოველწლიური ფორუმი, რომელიც აერთიანებს თანამედროვე მხატვრობის ბაზრობასაც) პროგრამაში არაკომერციულ პროექტად ჩასვეს. ეს იყო თავის მხრივ, საკმაოდ თამამი რისკი რუსებისთვის, თუმცა ამ რისკზე ისინი საკუთარი ინიციატივით წავიდნენ, რითაც საკმაოდ კმაყოფილნიც დარჩნენ.

"ჩვენი ინტერესი ქართული ხელოვნებისადმი გამოწვეულია ორი გარემოებით: პირველ რიგში, ესაა საქართველოს სახვით ხელოვნებაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით ინფორმაციის უქონლობა, მეორე მხრივ - ამ ქვეყანაში ახლახანს მომხდარი გრანდიოზული სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებები, რომლებიც შეუძლებელია არ ასახულიყო საქართველოს კულტურულ პოლიტიკაზე", - ასე ხსნიან გამოფენის ორგანიზატორები "არტ მოსკვას" ფარგლებში გამოფენა "Neo Geo. თანამედროვე ქართული ხელოვნება"-ს მოწყობის იდეას. კულუარულად კი, "ნეო ჯეოს" ასეთი პრეისტორია ჰქონდა. ევგენია ქიქოძეს გაუჩნდა სურვილი ერთ-ერთ გამოფენაზე იუპ ვან ლისჰაუტი (ჰოლანდიელი ხელოვანი, რომელიც თბილისში უნდა ახსოვდეთ) მიეწვია. ლისჰაუტმა მოსკოველებს უარი უთხრა იმის გამო, რომ იმავე პერიოდში იგი თბილისში, "მედია არტ ფერმას" ორგანიზებულ "აპენდიქსზე" ჩამოდიოდა. რუსებმა გადაწყვიტეს, რომ რახან ლისჰაუტი საქართველოს სტუმრობდა, მათ მეზობლად უდავოდ საინტერესო პროცესები მხედველობიდან ჰქონდათ გამორჩენილი. მაშინ ევგენია ქიქოძემ გალერეის დამაარსებელს, მარატ გელმანს შესთავაზა, ურთიერთობა დაემყარებინათ ქართველ ხელოვანებთან. მაშინ გელმანი ასეთ რისკზე არ წავიდა. ამჯერად კი, თავად სთხოვა გალერეის არტ-დირექტორს, ჩამოსულიყო თბილისში და ნიადაგი მოესინჯა მომავალი თანამშრომლობისთვის. ევგენია ქიქოძე თბილისში ძველ ნაცნობ-მეგობრებთან ერთად შეხვდა ფოტოხელოვანსა და "მედია არტ ფერმას" ხელმძღვანელს ვატო წერეთელს, რომელთან ერთადაც შეირჩა მხატვართა ჯგუფი. სწორედ ამ ჯგუფის ნამუშევრებით მოეწყო "არტ მოსკვას" ფარგლებში გამოფენა "Neo Geo. თანამედროვე ქართული ხელოვნება", რომელსაც მოსკოვში საკმაო რეზონანსიც მოჰყვა.

"პერესტროიკის" შემდგომი პერიოდი ქართულ ხელოვნებაში, ძირითადად, მიმდინარეობით ხასიათდება: აბსტრაქტული ექსპრესიონიზმი, რომელსაც მისდევდა მხატვართა ჯგუფი ალექსანდრე ბანძელაძის ხელმძღვანელობით. მეორე კი იყო ტრანსავანგარდული ფიგურალური ფერწერა, რომელიც მარჯანიშვილის თეატრის სახელოსნოში განვითარდა; იქ, ძირითადად, თბილისის სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულები მუშაობდნენ. თაობებს შორის სხვაობა, ხუთი-ექვსი წელიწადი, რომელიც ახლა სასაცილოდ ჟღერს, იმ დროისათვის განსაზღვრავდა ერთმანეთისგან აბსოლუტურად განსხვავებულ მხატვრულ ორიენტირებსა და მისწრაფებებს. აღსანიშნავია, რომ ამ ორი მიმდინარეობის მხატვართა შორის არანაირი საერთო არ არსებობდა. მოსკოვში ქართული ხელოვნება მიღებული იყო, როგორც "ზედმეტად პათეტიკური", თბილისში კი მოსკოველთა ნამუშევრებს დაცინვად და პაროდიად აღიქვამდნენ. შესაძლოა, ამ პროექტების ნაკლი მხატვრების თაობათა ორიენტაციაც იყო", - ასეთი ვარაუდები რუსულ პრესაში სწორედ "ნეო ჯეოს" მიმდინარეობისას გაჩნდა.

"ნეო ჯეო" არ ყოფილა უკანასკნელ წლებში მოსკოვი-თბილისის სამხატვრო წრეებს შორის თანამშრომლობის პირველი პრეცედენტი. ახალი მხატვრებისა და კონტაქტების ძიებას მიეძღვნა პროგრამა Соответствия, რომლის ორგანიზატორიც მოსკოვში თანამედროვე სახელმწიფო ცენტრი იყო; რუსეთის ფედერაციის კულტურის სამინისტროსა და მოსკოვში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით განხორციელდა გაცვლითი პროექტი: Georgia: from - to. ახალ სახელებს საკმაოდ ფართო სპექტრით ეძებდნენ: იქნებოდნენ ისინი ვი-ჯეები, არქიტექტორები, მუსიკოსები თუ დიზაინერები. პროგრამამ არ გაამართლა. ახლა ამის მიზეზად ორ ქვეყანას შორის დაძაბულ პოლიტიკურ ვითარებას ასახელებენ. აქედან გამომდინარე, თბილისელ მხატვრებთან ურთიერთობის რისკი ახლაც მაღალი იყო, მაგრამ, როგორც ჩანს, საქართველოში უკანასკნელი თვეების განმავლობაში ელვის სისწრაფით განვითარებული ცვლილებების გამო, რუსებმა ამ რისკზე წასვლა არჩიეს.

როდესაც მოსკოველი გალერისტები რისკზე საუბრობენ, გულისხმობენ, რომ ისინი კიდევ ერთხელ აღმოჩნდებიან ჩამოყალიბებული, მათთვის უინტერესო სტერეოტიპის წინაშე. "ეროვნული ნიშნით ჩაფიქრებული გამოფენის ორგანიზებისას ყოველთვის არსებობს შიში ცნობიერებაში ჩამოყალიბებული სტერეოტიპების მიმართ. საბედნიეროდ, გამოფენაზე წარმოდგენილი ნამუშევრები ამ სტერეოტიპებს წარმატებით ანგრევს", - წერია გამოფენის მიმოხილვაში. იქვე ნინო ლომიძის ფერწერასა და ნინო სეხნიაშვილის გრაფიკას თვითმყოფადობას მიაწერენ, ხოლო ოლეგ ტიმჩენკოსა და ნიკო ლომაშვილის ვიდეოს - "აღმოსავლური" სპეციფიკის პაროდიად აღიქვამენ.

მოსკოვში გამგზავრებული ჯგუფი სამი თაობის მხატვრებს აერთიანებდა. ესენი არიან: ვინც საკუთარი შემოქმედებითი ცხოვრება "პერესტროიკის" პერიოდში, 80-იანი წლების დასასრულს დაიწყო; 90-იანი წლების მეორე ნახევარში ფორმირებული თაობა და ახალი მხატვრები, რომლებმაც განათლება საზღვარგარეთ მიიღეს და სამშობლოში დაბრუნდნენ. მათ შორის კი იყვნენ: ნიკო ლომაშვილი, ვატო წერეთელი, ახლადჩამოყალიბებული კოლექტივი Inf. Act (მათგან მოსკოვში გიორგი ჟორჟოლიანი იყო), მამუკა სამხარაძე, ილიკო ზაუტაშვილი, ნინო სეხნიაშვილი, ირა კურმაევა, კონსტანტინე სულაბერიძე, ნინო ლომიძე, კოკა რამიშვილი, ოლეგ ტიმჩენკო. "ამ ჯგუფში არ არის აქცენტი გაკეთებული რომელიმე ტენდენციაზე, ან რომელიმე თაობის პერსონაჟზე; აქაა სხვადასხვა ასაკისა და ხედვის მხატვართა იდეური ერთიანობა; მათი შემოქმედებითი მეთოდები რადიკალურად იცვლება დროის ახალი დინებების ზეგავლენით", - ასე დააკავშირეს ერთმანეთთან ზემოთჩამოთვლილი მხატვრები მოსკოვში. გამოფენას სხვა სასიამოვნო შედეგებიც ჰქონდა, რომელთა შესახებაც ჩვენი გაზეთიდან შეიტყობთ.

მაყურებელი - ქართული კინოს "მსხვერპლი"

ნინია კაკაბაძე

საგამოფენო დარბაზში "კოპალა", გუშინ ერთი უცნაური ღონისძიება გაიმართა: ნოდარ მანაგაძის მომავალი ფილმის სცენარის პრეზენტაცია, რომლის ავტორები თავად რეჟისორი და ზურაბ კანდელაკი არიან. დამეთანხმებით, რომ საქართველოში ამგვარი სახის პრეზენტაციები ჯერ კიდევ ახალია, და ამის მიზეზი პირველყოვლისა ის არის, რომ ჩვენთან ჯერ კიდევ სუსტად მუშაობს მეცენატის თუ სპონსორის ინსტიტუტი. დღეს ბიზნესმენები ან საკუთარ მეგობრებს ან მხოლოდ იმათ აფინანსებენ, საიდანაც მოგების თითქმის 100 პროცენტის იმედი აქვთ. რისკზე დღევანდელი მეწარმე თითქმის არასდროს მიდის.

ერთი სიტყვით, ასეა თუ ისე, გუშინ მაინც იყო მცდელობა და გაიმართა მომავალი ფილმის და ახლანდელი სცენარის პრეზენტაცია. როგორც რედაქციაში გვაუწყეს, წარდგენას მრავალი საპატივცემულო სტუმარი დაესწრებოდა. ვის ველოდი, მართალი გითხრათ, არ ვიცი, მაგრამ პატივცემულ სტუმართა შორის გოგი თოფაძე, ნიკო ლეკიშვილი და რამდენიმე ფულიანი ბიძია რომ დავინახე მაინც გამიკვირდა. თუმცა, ეს ნამდვილად ჩემი შეცდომაა, რადგან სცენარის პრეზენტაციაზე სწორედ ისინი უნდა დამენახა და არა სხვა. მით უმეტეს, რომ მათ შორის პრეზიდენტის მეუღლე ქალბატონი სანდრაც გახლდათ. მაინც უცხოელია და იყოს. შეიძლება ფული ვერ მოგვცეს, მაგრამ პრესტიჟია და შესაძლებელია ბიზნესმენებმა მისი ხათრით მაინც გადმოუგდონ ქართულ კინოს ერთი ორი კაპიკი.

პრეზენტაცია.

გამაგრილებელი სასმელები, როგორც უალკოჰოლო, ასევე ალკოჰოლიანი. ქართული კინო სამყაროს რამდენიმე წარმომადგენელი, ცოტა ჟურნალისტი და რეჟისორის ბევრი ნათესავი. ვიდრე ნოდარ მანაგაძე სიტყვით წარდგებოდა დამსწრე საზოგადოების წინაშე მის შესახებ მოგვახსენეს: რამდენი ფილმის ავტორია, რა პრიზების მფლობელია და, ასევე, სტუმრებს გააცნეს უცხოელი კინომცოდნეების გამონათქვამები და იქვე მოახსენეს: ვინაიდან ქართული კინოკრიტიკა პასიურია, მანაგაძეზე ხატოვანი გამონათქვამები ვერ მოიძიეს და სწორედ ამიტომ გამოიყენეს უცხოელი კრიტიკოსების ფრთიანი გამონათქვამები. მართალია, მანაგაძეზე არც წიგნი დაწერილა და ქართველი კრიტიკოსებიც არც თუ ისე აქტიურები არიან, მაგრამ ამის მიზეზი დღევანდელი ქართული კინო და შესაძლებელია, კონკრეტულ შემთხვევაში, თავად რეჟისორიც არის, ვინაიდან კრიტიკა აქტიური და საინტერესო შემოქმედების შედეგია, და თუკი ის არ არსებობს ვერც კრიტიკა იარსებებს. მოკლედ, მიუხედავად იმისა, რომ მანაგაძის უკანასკნელი ნამუშევრები საკმაოდ სუსტი იყო, მაინც შესაძლებელია მის მომავალ დაფინანსებაზე ფიქრი. მაგრამ, სიტყვით გამომსვლელებს ე.წ. მომავალი სპონსორები ისე უსმენდნენ, როგორც თქვენ უსმენდით მათ გუშინ (ბუნებრივია მათ ვგულისხმობ, ვინც იქ არ ყოფილა). რა გამოვა ამ საქმიდან ჯერ უცნობია.

ახლა რაც შეეხება მომავალ ფილმს და ახლანდელ სცენარს, რომელსაც უკვე წიგნის ფორმა აქვს მიღებული და ამგვარი სათაური აქვს - "მსხვერპლი". ფილმი თუ არ შედგა, ეს მხატვრული ნაწარმოები, წიგნად მაინც დარჩება, შემქმნელთათვის ეს უკვე კარგია. რის შესახებ არის სცენარი, პატარა მონაკვეთი წიგნიდან, რომელიც შთაბეჭდილებას შეგიქმნით მამანგაძის მომავალ ნამუშევარზე: "ციხიდან გამოსული ფილმის მთავარი გმირი ნიკა, მისთვის დაუმსახურებელი სასჯელის მოხდის შემდეგ ქალაქს უბრუნდება. ახალგაზრდობის მიუხედავად ბედმა მას მრავალი პრობლემა და საზრუნავი შეუქმნა, რის დაძლევაც არც თუ ისე ადვილი აღმოჩნდება. ნიკას ქალაქში იძულებით არყოფნის პერიოდში, ფაქტობრივად არაფერი შეცვლილა. ისევ ის ქაოსი, გაურკვევლობა, გაუტანლობა, შური, ნიჰილიზმი და სეპარატისტული ომის დროს მიყენებული იარების შედეგები ხვდება". ასე იწყება ანოტაცია, და როგორც ვატყობ, ნიკას მიერ იძულებით დატოვებული ქვეყნის მსგავსად არც ქართველი კინორეჟისორების მსოფლმხედველობაში იცვლება რამე. ისევ ქაოსი, გაურკვევლობა, გაუტანლობა და ა.შ. როდემდე უნდა ვიღოთ ფილმები ქაოსისა და გაურკვევლობის შესახებ. ისევ დროში და სამყაროში დაკარგული გმირი, რომელიც ნებით თუ უნებლიეთ ვერ პოულობს საკუთარ გზას და თავს, და რომლის ფინალიც უმეტესწილად ტრაგიკულია. "განგებამ ანასა და ნიკას ერთად ყოფნის მხოლოდ ერთი დღე აჩუქა. ნიკას ზღვაზე ჩაცხრილავენ. ქვიშაში ჩამხობილი ანა კი ამაოდ ითხოვს შველას. არავინაა განმკითხველი". ეს ფილმი ხომ უკვე ნანახი გვაქვს - განუკითხაობისა და ქაოსის მსხვერპლი. უდანაშაულო გმირი, რომელიც სამყაროში არსებული ბორტების მსხვერპლი ხდება. ეს კი არამცთუ ნანახი გვაქვს, არამედ უკანასკნელი წლების მანძილზე ქართული კინოს მეშვეობით მხოლოდ ამას ვუყურებთ, ვდარდობთ და ეს პრობლემა უკვე ისე შევისისხლხორცეთ, რომ მომავალში შეიძლება ადამიანები (ქართულ კინოს) თავად მსხვერპლად შეეწირონ. და რაც ყველაზე საინტერესოა, ყველა ეს "ქაოტური" ფილმი იმდენად ერთნაირი და მდარე ხარისხიაა, რომ მათი ერთმანეთისგან გამორჩევა საკმაოდ რთულია. ამიტომ, აბა რა სინდისით მოვთხოვოთ ქართველ ბიზნესმენებს ქართული კინოს დაფინანსება?! ვფიქრობ, ამ ეტაპზე თუკი ფინანსების გაცემას აპირებენ, სხვა მიმართულებით გაგზავნონ ის ჯობია, ამ შემთხვევაში კი პერსპექტივა არც თუ ისე ნათლად გამოიყურება და ჩვენ კიდევ ერთხელ გავხდებით ქართული კინოს "მსხვერპლი".

ფილმი თუ არ შედგა, ეს მხატვრული ნაწარმოები წიგნად მაინც დარჩება, შემქმნელთათვის ეს უკვე კარგია.

ათეულები

კვირის ბესტსელერები მაღაზია "პარნასის" მიხედვით

ავტორი	წიგნი	გამომცემლობა	რეიტინგი
დავით გუდეა	"დიალოგები ოქვენთან"	"საბჭოთა წყალიმეჩეთლის გამომცემლობა"	4
ალმას სტერნ ვლოტი	"შეყვარება ტანჯვაში"	"ლიტერა"	2.8
აკაკი მორჩილაძე	"მოგზაურობა ფარაბალში"	"ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა"	2.8
ირაკლი მახარაძე	"ერთიანი ამერიკის უცნობი გურული მბეჭერის დღიური"	"სანი"	2.8
პაოლო კოელიო	"ვერონიკამ სიკვდილი გადაწყვიტა"	"ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა"	2.4
ქაბუა ამირეჯიბი	"დალია თეთაშია"		2.4
გიორგი ეალანდია	"ოდამის სიპოსკოპოსები"	"არტანუჯი"	2
სალვადორ დალი	"ფანტასტიკური ცხოვრება სალვადორ დალისა"	"საარი"	2
ბესო ხუციშვილი	"ლამელი ხეების დედა"	"საარი"	2
რეი ბრედბერი	"ეს შეშაძლია ცხოველების ბაღმა"	"გია ყარყარაძის გამომცემლობა"	2

კვირის ყველაზე შემოსავლიანი ფილმების ათეული ამერიკული კინოთეატრების მონაცემებით

ფილმი	რეჟისორი	მსახიობები	ეროვნული შემოსავალი $	საერთო შემოსავალი $
"შრეკი-2"	ენდრიუ ადამსონი	მაიკ მაიერსი, ედი მერფი, კამერون დიაზი, ჯონი ლანგენკამპი, ანტონიო ბანდერასი, რებერტ ალტმანი	95,378,365	266,313,719
"ადეს ხელის შეშლა"	ფრანსის ფორდ კოპოლა	ალენ ტედი, ჯენიფერ ლოპესი	85,807,341	85,807,341
"ტროა"	ვოლფგანგ პეტერსენი	ბრედ პიტი, ეროლ ბანი, ორლანდო ბლუმი, დიანე კრუგერი, პიტერ ო ტული	15,338,115	109,996,882
"ბედნიერის ლუნდი"	ჯონ მალკოვიჩი	ჯონ მალკოვიჩი, ჯონ ტორტორეტა, ჯოან ალენი	14,239,252	14,239,252
"ოცნების ოფოლინდსაკი"	ჯონ ტურტორი	ალენ პარტი, მეთიუ ფოქსი, სნუკ ლოუი	7,008,711	7,008,711
"ჯონ ულოლიდი"	სტივენ სოდერბერგი	ბრედ ფიტი, ჯორ ბლუმენთალი, ფილიპ ფილიპსი	6,750,480	110,728,815
"ბოროტი ეიფორეა"	მარკ ეიბელსონი	ლორენი ლინი, ტონი ფეი	6,432,613	73,718,506
"ალბერტ ნობელი"	ტონი ბაკერი	ფენჩზელ ეიმინგტონი, ფილიპ ფენროუ	2,840,865	73,722,956
"13-ფან 30 წლიდან"	ფრენ ფინლი	ჯენიფერ გარნერი, მარკ რუფალო, ანტონ ჩეკოვი	1,461,872	54,561,017
"ლონდონელები"	მიროსლავ ბანიკა	მიროსლავ ბანიკა, ფერენ ინეკეი	1,401,509	4,934,453

საუკეთესო ევროპელი ალბომების ათეული ჟურნალ "ბილბორდის" მიხედვით

შემსრულებელი	ალბომი	ხმის ჩამწერი კომპანია
ელენის მორისეტი	So-Called Chaos	"მაღერიჯი"
ანასტასია	Anastacia	"ეპიკი"
მორისი	You Are The Quarry	"ვოლ რიფორდზ"
ლენი კრავიცი	Baptism	"ვირჯინი"
ნორა ჯონსი	Feels Like Home	"ბლუ ნოუთ"
ეარი	Hopes and Fears	"აილენდი"
"განს ენ როზეზის"	Greatest Hits	"გეფენი"
დიანა კრალი	The Girls In The Other Room	"ვერვი"
"ხანიბაზ"	A Grand Don't Come For Free	"ლოქჯ ონ"
"დი-12"	D-12	"ინტერსკოპი"

სანტინი „ტოტენჰემს" გაწვრთნის

ევროპის ჩემპიონატის შემდეგ სანტინი საფრანგეთის ნაკრებს დატოვებს

2004 წლის ევროპის ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელი ჟაკ სანტინი ლონდონის "ტოტენჰემს" ჩაუდგება სათავეში. გუნდის ახალი მთავარი მწვრთნელის ვინაობა "ტოტენჰემმა" ახლახან გამოაცხადა. ჟაკ სანტინის გადმობირებას ლონდონური კლუბის ხელმძღვანელობა დიდი ხნის განმავლობაში ცდილობდა.

ფრანგი სპეციალისტი ამჟამად საფრანგეთის ნაკრებს ამზადებს ევროპის ჩემპიონატისთვის, რომელიც პორტუგალიაში 12 ივნისს დაიწყება. 2003 წლის სექტემბერში, გლენ ჰოდლთან განშორების შემდეგ კლუბს დროებით დევიდ პლიტი ჩაუდგა სათავეში. თუმცა, "ტოტენჰემის" სპორტული დირექტორის მცდელობა, პლიტისგან ნამდვილი მწვრთნელი ჩამოეყალიბებინა, აშკარად უშედეგოდ დასრულდა. სეზონი "მამლებმა" მე-14 ადგილზე დაამთავრეს. ახლა კი გუნდში უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტი მივა, რომელსაც ყველა შანსი აქვს, ევრო 2004 მოიგოს.

"უაღრესად მოხარული ვარ, რომ ჟაკი ჩვენთან მუშაობას დასთანხმდა, - კონტრაქტის ხელმოწერის შემდეგ განაცხადა "ტოტენჰემის" პრეზიდენტმა დენიელ ლევიმ, - მისი გამოცდილების, ნიჭისა და მიღწევების გათვალისწინებით, ის მწვრთნელობის უმთავრესი კანდიდატი იყო".

"მე ამბიციური ადამიანი ვარ და ყოველთვის მქონდა სურვილი, ინგლისის პრემიერლიგის კლუბს ჩავდგომოდი სათავეში. ინგლისის ჩემპიონატი უძლიერესია ევროპაში - თავის მხრივ, განაცხადა ჟაკ სანტინიმ, - მე ვალდებულებას ვიღებ გუნდი ინგლისური ფეხბურთის ელიტაში დავაბრუნო".

ჟაკ სანტინი საფრანგეთის ნაკრებს 2002 წელს ჩაუდგა სათავეში, მას შემდეგ, რაც გუნდმა უფერულად ითამაშა კორეა-იაპონიის მსოფლიო ჩემპიონატზე. ჟაკ სანტინის ხელმძღვანელობით, ფრანგებმა 23 მატჩში მხოლოდ ერთი წააგეს. ნაკრებში სანტინის მთავარი მიღწევა ის არის, რომ მან მოახერხა გუნდში დისციპლინის დამყარება.

მისი წინამორბედი როჟე ლემერი ნაკრების ფეხბურთელებს შორის განსაკუთრებული ავტორიტეტით არ სარგებლობდა და გუნდში უდიდესი პასუხისმგებლობა ეკისრა მის კაპიტანს დიდიე დეშამს. საფრანგეთის ნაკრებმა 2000 წლის ევროპის ჩემპიონატი რომ მოიგო, მნიშვნელოვანწილად, სწორედ დეშამის დამსახურებაა. ნაკრებში მისვლის შემდეგ სანტინიმ უარი თქვა ვინსენ კანდელაზე, რომელიც ძირითად შემადგენლობაში თამაშს ითხოვდა. იგივე დაემართა ემანუელ პეტისაც, რომელსაც სანტინიმ უთხრა, რომ ის უკვე ვეღარ უძლებდა ნახევარდაცვაში გამძაფრებულ კონკურენციას. რაც შეეხება ნიკოლა ანელკას, საქვეყნოდ მობოდიშებამაც კი ვერ უშველა სანტინისთან მის ურთიერთობას. მწვრთნელმა მარსელ დესაისაც პირდაპირ განუცხადა, რომ ეს უკანასკნელი ევროპის ჩემპიონატზე ვერ ითამაშებდა, თუ ისეთსავე მზადყოფნას არ გამოავლენდა, როგორც 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე.

სწორედ ასეთი, ძლიერი ხასიათის მწვრთნელი, სჭირდება ლონდონის "ტოტენჰემს" იმისთვის, რომ დაკარგული პოზიციები აღიდგინოს და ინგლისური ფეხბურთის ელიტაში დაბრუნდეს. კლუბის ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ სანტინი გუნდში ძირეულ ცვლილებებს განახორციელებს - თავის დროზე "არსენალის" ფრანგი მწვრთნელის არსენ ვენგერის მსგავსად. მან გუნდი სამჯერ მიიყვანა ინგლისის ჩემპიონობამდე და რამდენჯერმე მოაგებინა ინგლისისა და ლიგის თასები. ერთადერთი, რისი მოგებაც ვენგერმა ვერ მოახერხა, ჯერჯერობით ჩემპიონთა ლიგაა. "ტოტენჰემში" მუშაობისას ჟაკ სანტინის დაეხმარება ფრანკ არნესენი "პსვ ეინდჰოვენიდან", რომელიც გუნდის ტექნიკური დირექტორის პოსტზე ახლახან მიიწვიეს.

უკანასკნელი 6 წლის განმავლობაში ლონდონის "ტოტენჰემი", სეზონის შედეგების მიხედვით, ერთხელაც არ შესულა საუკეთესო ექვსეულში. ყველაზე დიდი გამარჯვება ამ პერიოდში კლუბმა 1999 წელს იზეიმა, როცა ინგლისის ლიგის თასი მოიგო. ბოლო დროს ინგლისურ საკლუბო ფეხბურთში "ტოტენჰემი" მყარად დამკვიდრდა მეორე პლანზე. ის ორი ლონდონური კლუბის - "არსენალისა" და "ჩელსის" ჩრდილქვეშ მოექცა.

ჟაკ სანტინის შესანიშნავი საშუალება ეძლევა, თავისი ახალი კლუბის ზოგიერთი ფეხბურთელი ევროპის ჩემპიონატზე გაიცნოს, სადაც B ჯგუფში ერთმანეთს ინგლისისა და საფრანგეთის ნაკრები გუნდები შეხვდებიან.

ადვილი შესაძლებელია, რომ ინგლისის ნაკრების შემადგენლობაში გამოჩნდეს მეკარე პოლ რობინსონი, რომელიც "ტოტენჰემში" "ლიდს იუნაიტედიდან" ახლახან გადავიდა; ასევე - ახალგაზრდა მცველი ლედლი კინგი. მხოლოდ უკანასკნელ მომენტში ვერ მოხვდა განაცხადში ლონდონური კლუბის კიდევ ერთი ფეხბურთელი - ფორვარდი, ჯერმენ დეფო, რომელსაც ინგლისში ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ ახალგაზრდა ფორვარდად მიიჩნევენ. ეს ის ფეხბურთელები არიან, რომლებიც გუნდში "ძველ გვარდიას" შეცვლიან - დარენ ანდერტონს, გუსტავო პოიეტის და სხვა ასაკოვან ფეხბურთელებს, რომლებმაც კლუბი დატოვეს.

TV-სპორტი

შაბათი. 5 ივნისი

НТВ+ФУТБОЛ
07:00 NBA TV. NBA-ს ლეგენდები: დერილ დაუკინსი
08:00 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. წელი 1972. ფინალი. LOS ANGELES LAKERS- NEW YORK KNICKS. მე-5 თამაში
10:00 10:00-დან 13:00-მდე შესვენება
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 განვლილი სეზონის გახსენება. ინგლისის ჩემპიონატი. "ნიუკასლი" - "მანჩესტერ იუნაიტედი"
15:00 განვლილი სეზონის გახსენება. გერმანიის ჩემპიონატი. "ბორუსია" - "ვერდერი"
16:40 თავისუფალი დარტყმა
16:55 "გამჟღავნება"
17:25 განვლილი სეზონის გახსენება. ესპანეთის ჩემპიონატი. "ვალენსია" - "რეალი"
19:05 ჩემპიონთა ლიგის არქივი. სეზონი 2000/2001. "სპარტაკი" - "ბაიერი"
20:50 თავისუფალი დარტყმა
21:05 სახვალიო ტელეპროგრამა
21:10 ევროპის ჩემპიონატი ახალგაზრდულ ნაკრებთა შორის გერმანიაში. ნახევარფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
23:10 "ფეხბურთი ანიდან ჰაეიმდე"
23:40 ევროპის ჩემპიონატი ახალგაზრდულ ნაკრებთა შორის გერმანიაში. ნახევარფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
01:40 01:40-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 NBA TV. NBA-ს მიმოხილვა
04:30 NBA TV. დღიური
05:00 NBA TV. WNBA-ს ჩემპიონატი. INDIANA FEVER - CHARLOTTE SING. პირდაპირი ტრანსლაცია

НТВ+СПОРТ
10:00 ფორმულის ჰარმონია
11:00, 14:00, 17:40, 21:00 პრესცენტრი
11:20, 21:15 "ოლიმპის შვილები"
11:30 "ფარი და ბურთი". გადაცემა კალათბურთზე
12:00 "ჩქაროსნული სამყარო". ტელეჟურნალი
12:30 პროგრამა. "რუსეთის საუკეთესო ჰოკეის გუნდები". ნაწილი პირველი
13:00 "სპორტული გლობუსი" - Trans World Sport წარმოგიდგენთ
13:30 "ნოკაუტი". ტელეჟურნალი პროფესიულ კრივზე
14:15 ფიგურული სრიალი. "ვარსკვლავი ყინულზე" სანკტ პეტერბურგში
16:40 ცხენოსნობა. წინაღობათა გადალახვა. რუსეთის თასი. მეორე ნაწილი
17:55 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი. "როლან გაროსი". ქალთა ფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
21:20 სახვალიო ტელეპროგრამა
21:30 ცხენოსნობა. The Derby
22:30 ჭადრაკი. ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი ელისტაში
23:00 ცურვა. Mare Nostrum Swimming Series საფრანგეთში
00:45 "ნოკაუტი". ტელეჟურნალი პროფესიულ კრივზე
01:15 ახალი ამბები
01:30 "ცხელი ქვიშა"
02:25 02:25-დან 05:00-მდე შესვენება
05:00 ჰოკეი. სტენლის თასი. ფინალი. მე-6 მატჩი. პირდაპირი ტრანსლაცია

EUROSPORT
11:30 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
12:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი საბერძნეთში
12:30 ფეხბურთი. პლანეტა ევრო
13:00 ფეხბურთი. ევრო-2004. ამხანაგური მატჩი
14:00 ფეხბურთი. ევრო-2004. ამხანაგური მატჩი
15:00 ოლიმპიური თამაშები. ოლიმპიური ჩირაღდნის ესტაფეტა
15:15 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი საბერძნეთში
15:45 მოტორბოლები. გრანპრი იტალიაში
16:15 მოტორბოლები. გრანპრი იტალიაში
17:00 მოტორბოლები. გრანპრი იტალიაში
18:15 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი
21:00 ფეხბურთი. ახალგაზრდული ფესტივალი საფრანგეთში
22:45 ოლიმპიური თამაშები. მიზანი - ათენი
23:15 კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება
01:15 რალი-რეიდი. მსოფლიო თასი მაროკოში
01:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი საბერძნეთში
02:00 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
02:30 ახალი ამბები
02:45 ფეხბურთი. ევრო-2004. ამხანაგური მატჩი
04:00 ფეხბურთი. პლანეტა ევრო
04:30 ფეხბურთი. უეფას ისტორიები

ფეხბურთი

მოგება გვინდა, მოგება

ლონდონის "ჩელსიში" გადასვლის შემდეგ ჟოზე მაურუნიომ პირველი შეხვედრა გამართა მედიის წარმომადგენლებთან და მათთვის საინტერესო შეკითხვებს უპასუხა. ეს საუბარი, ვფიქრობთ, ინგლისური ფეხბურთის ქართველ მოყვარულებსაც დააინტერესებთ.

მაურინიო მხოლოდ მოგებაზე ფიქრობს

- როგორი ტაქტიკური სქემით ითამაშებს "ჩელსი" მომავალ სეზონში?

- ჩემთვის მთავარია თამაშის სტილი. მე მოთამაშეებისგან ვითხოვ, რაც შეიძლება, დიდხანს აკონტროლონ ბურთი. ჩემმა გუნდმა პრესინგს პირველი წუთიდანვე უნდა მიმართოს, მალე აართვას ბურთი მეტოქეს და დიდხანს არ დაკარგოს. ამ სტილისთვის როგორი სქემაც იქნება საჭირო, იმ სქემით ვითამაშებთ.

- გუნდში ახალი მთავარი მწვრთნელის მოსვლას თან სდევს მისი თანაშემწეების მოსვლაც. თქვენთან ერთად ვინ მოვა "ჩელსიში" და როგორ არჩევთ თანაშემწეებს?

- ჩემი თანაშემწეები ჩემთან ერთად არიან გაზრდილები. თითოეულ ნაბიჯს ერთად ვდგამდით - ერთად ვმარცხდებოდით და ერთად ვიმარჯვებდით. ჩემთან იქნებიან ისინი, ვისაც მე ვენდობი, თუმცა, ამავე დროს, პატივსაცემია ის ხალხი, ვინც ახლა მუშაობს კლუბში. მე მათ შევხვდები, გავარკვევ, რას ფიქრობენ მომავალზე და მხოლოდ ამის შემდეგ გადავწყვეტ, ვინ დარჩება კლუბში და ვინ - არა. ერთი რამის თქმა დანამდვილებით შემიძლია - თუნდაც, ერთი ახალი სახე "ჩელსიში" აუცილებლად გამოჩნდება.

- მაშინ შემადგენლობას შევეხოთ. რა ცვლილებები განხორციელდება ამ მხრივ?

- მოთამაშეებს რაც შეეხებათ, მირჩევნია 21 მინდვრის მოთამაშესთან და სამ მეკარესთან მუშაობა. თუმცა, ამჟამად ჩვენს კლუბში ძალიან ბევრი მოთამაშეა. ამდენად, თუკი ვინმეს მოწვევას გადავწყვეტ, უნდა მოვიფიქრო, მანამდე ვინ გავუშვა. მე არ მჩვევია, გუნდის ხელმძღვანელობას დავუდო იმ მოთამაშეების სია, ვისი აყვანაც მსურს და მათი ყიდვა მოვითხოვო. ყველანაირად დავასაბუთებ, რატომ მჭირდება ესა თუ ის ფეხბურთელი. თამაშს ერთი ფეხბურთელი არ იგებს, თამაშს იგებს გუნდი. ამდენად, ჩემთვის მთავარია, ფეხბურთელი გუნდს მოერგოს.

- რა კომენტარს გაუკეთებთ რანიერის მიერ თქვენი მისამართით გაკეთებულ არცთუ სასიამოვნო განცხადებებს?

- მე მოვიგე უეფა-ს თასი, მოვიგე ჩემპიონთა ლიგა. ამდენად ვიღაცებისგან გამორჩეული მწვრთნელი ვარ. ამას ქედმაღლობაში ნუ ჩამომართმევთ. ამ ხნის მანძილზე მე მხოლოდ პორტუგალიური კლუბები არ დამიმარცხებია, რანიერის მშობლიური კლუბებისთვისაც მომიგია. მას კი 20 წლის განმავლობაში მხოლოდ ესპანეთის თასი აქვს მოგებული. მე მგონი, ეს ყველაფერზე მეტყველებს.

- თქვენ ერთხელ განაცხადეთ, რომ "პორტუსთან" ერთად კიდევ რამეს მოიგებდით. ამის შემდეგ "ჩელსიში" გადახვედით. ახლა რის მოგებას გეგმავთ?

- ყველა საფეხბურთო კლუბს სურს, მიაღწიოს ისეთ წარმატებას, რომელიც მის პოტენციალს შეესაბამება. თუკი მწვრთნელმა კარგი სამუშაო ჩაატარა კლუბში, მაგრამ დასახულ მიზნებს ვერ მიაღწია, მისი მუშაობა ჩავარდნილად ითვლება. მე მსურს, "ჩელსი" ჩემი სტილის გუნდად ვაქციო. ახლა მთავარია, ის ფეხბურთელები მოვძებნო, რომლებიც ჩემნაირად ფიქრობენ. ჩემი ყველაზე დიდი ამბიცია ამ მომენტში 14 აგვისტოს პრემიერლიგის პირველი ტურის მატჩის მოგებაა, ამის მერე - მეორე მატჩის მოგება და ასე შემდეგ, უსასრულოდ.

"ჩელსი" ჩემთვის დიდი გამოწვევაა. ეს არის უდიდესი კლუბი უმაღლესი კლასის ფეხბურთელებით. კლუბის გეგმები და ამბიციები დიდად მხიბლავს. ვფიქრობ, ის გულშემატკივრებსაც მოსწონთ და მზად არიან, მხარში დაგვიდგნენ. მათი მხარდაჭერა ერთხელ უკვე ვნახე. მათ ფეხბურთი ჩემსავით უყვართ და გამარჯვებაც ისევე სურთ, როგორც მე. ბოლო ორი წლის განმავლობაში გავიგე, თუ რას გრძნობს გამარჯვებული მწვრთნელი და არ მინდა, ეს გრძნობა დამავიწყდეს. არ მინდა, ათი წლის შემდეგ მხოლოდ "პორტუსთან" ერთად მოპოვებულ გამარჯვებებს ვიხსენებდე.

ინგლისის ჩემპიონატი მსოფლიოში საუკეთესოდ ითვლება და ბედნიერი ვარ, ყოველ კვირას ამ ლიგის კლუბებთან რომ მომიწევს თამაში. ორმაგად ბედნიერი ვიქნები, როცა ამ კლუბებთან ჭიდილში მოვიგებ ტიტულს.

- როგორი იქნება თქვენი და რომან აბრამოვიჩის ურთიერთობები?

- ვფიქრობ, მან არ უნდა მოახდინოს გავლენა გუნდის თამაშზე. მან, პირველ რიგში, ჩემზე უნდა იქონიოს გავლენა. ჩვენ უკვე ვისაუბრეთ ამ საკითხზე და მომავალში პრობლემები არ უნდა შეგვექმნას.

„რაული ესპანეთის ნაკრები არ არის"

ესპანეთი რაულის იმედადაა

მიუხედავად იმისა, რომ მადრიდის "რეალის" ფორვარდმა რაულმა არცთუ ისე იღბლიანი სეზონი ჩაატარა, ის მაინც რჩება ესპანეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელის ინიაკი საესის იმედად. 26 წლის ასაკში რაული "რეალის" ვეტერანი და ესპანეთის ნაკრების ლიდერია. წელს, გადაღლილობის ფონზე, ის ბევრად უფრო ცუდად გამოიყურებოდა, ვიდრე ჩვეულებრივ. და "სამეფო კლუბმაც", რომელიც პირველი ხარისხის ვარსკვლავებით არის დაკომპლექტებული, სეზონი ჩაგდო. თუმცა, ინიაკი საესს მიაჩნია, რომ გადამწყვეტ მომენტში რაული სრულად გამოავლენს თავის ღირსებებს. რაულმა ესპანური "მარკასთვის" მიცემულ ინტერვიუში საკუთარ თავზე და თანაგუნდელთა ღირსებებზე ისაუბრა.

- აცნობიერებთ, რომ ყურადღების ცენტრში მოექეცით?

- კი, მაგრამ, რაული ჯერ კიდევ არ არის ესპანეთის ნაკრები. ნაკრები მასში შემავალი ყველა ფეხბურთელისგან შედგება. მე მნიშვნელოვანი ნაწილი ვარ, მაგრამ თუ პორტუგალიაში წარმატებას მივაღწევთ, ეს მთელი გუნდის დამსახურება იქნება და არა ინდივიდუალური მიღწევა. არსებობენ ფეხბურთელები, რომელთაც შეუძლიათ, გოლი გაიტანონ და გამარჯვების სასწორი თავისი გუნდის სასარგებლოდ გადახარონ, მაგრამ ყველა ფეხბურთელის საერთო ძალისხმევა და შემადგენლობის დაბალანსება მაინც აუცილებელია.

- თანაგუნდელებიც ლიდერის რანგში აღგიქვამენ?

- არიან ფეხბურთელები, რომლებსაც გუნდში ძრავის ფუნქციის შესრულება უწევთ. ყოველთვის არსებობს ორი ან სამი ფეხბურთელი, რომლებსაც სხვებზე მეტი სიმძიმე აწვებათ და, რაც მთავარია, გადამწყვეტ მომენტებში მათვე ეკისრებათ გუნდის ფეხბურთელთა შეფუცხუნება. მაგრამ, მარტო მე არა ვარ - სხვა ლიდერებიც არსებობენ.

- ვინ?

- სალგადოს ხასიათი ყველას აიძულებს, ვარჯიშებზე მთლიანად დაიხარჯონ. ამიტომ, მისი ტრავმა უკან გადადგმული ნაბიჯია. ყოველთვის მიზანმიმართულია ალბელდა. მარჩენა აგრესიულად თამაშობს და ამით სიამოვნებას იღებს. მნიშვნელოვანი ფუნცია აქვთ - კანისარესს, ტორესს, იკერს (კასილასი), ვისენტეს, რომელიც შესანიშნავ ფორმაშია.

- არ გაშინებთ, პარტნიორები რომ გაქებენ?

- არა, არ მაშინებს. მსიამოვნებს. ვამაყობ იმით, რასაც ჩემზე პარტნიორები ამბობენ. იმედი მაქვს, მათ რწმენას არ ვუღალატებ.

- ნაკრებში ერთადერთი ხართ, ვინც ხელშეუხებელია?

- მე ასე არ ვფიქრობ - "ხელშეუხებლები" არ არსებობენ.

- "რაული სათადარიგოთა სკამზე უნდა დაჯდეს" - ეს ფრაზა ახლა ძალიან მოდურია. თავად რას იტყვით?

- როცა ამბობენ, რომ ფორმაში არ ვარ... ბოლო თვენახევრის განმავლობაში ბევრად უფრო კარგ ფიზიკურ ფორმაში ვარ, ვიდრე მთელი წლის განმავლობაში. თან, ეს თვენახევარი მადრიდის "რეალისთვის" ყველაზე ცუდი აღმოჩნდა. თუმცა, ჩვენ ერთი კვირა გვქონდა სავარჯიშოდ და მატჩებისთვის მოსამზადებლად. სეზონი ძალიან ხანგრძლივი გამოდგა. იყო ბევრი მატჩი და ხანგამოშვებით საუკეთესოდ არ გამოვიყურებოდი, მაგრამ ევროპის ჩემპიონატს კარგ კონდიციაში შევხვდები. მორალურად კი თავს კარგად ვგრძნობ.

- როგორ შეიძლება, ასეთი სეზონის შემდეგ მორალურად თავს კარგად გრძნობდეთ?

- მნიშვნელოვანია, აი, ამ მაისურს გრძნობდე. გრძნობდე, რომ საკუთარ ქვეყანას იცავ. ჩემთვის ამ მაისურის ტარება დიდი პატივია. მე ეს მაისური 71 მატჩში მეცვა და, ვიმედოვნებ, რომ კიდევ 7 შეხვედრაში მოვირგებ; მინდოდა, მეთქვა - ანდორასთან მატჩში და ევრო 2004-ის კიდევ ექვს შეხვედრაში.

- რატომ ხდება, რომ საუკეთესო თვისებებს მაშინ ავლენთ, როცა ყველაზე მეტად გაკრიტიკებენ?

- მე კრიტიკული სიტუაციები სტიმულს მმატებს და ჩემი შესაძლებლობების მაქსიმუმს ვავლენ. ამიტომ, მე მიყვარს მატჩები "რეალი" - "ბაიერნი", როცა იცი, რომ შეიძლება მინიმალური უპირატესობით მოიგო. ეს გაიძულებს, თავი ცოცხალ მოთამაშედ წარმოიდგინო. ასეთი თამაშები სეზონში 40 რომ ყოფილიყო...

- არ გღლით, რომ თქვენი პერსონა ყველას აინტერესებს?

- არა. 17 წლის ასაკიდან სულ ყურადღების ცენტრში ვიყავი, და ჩემი ყველა ნაბიჯი, კარგიც და ცუდიც, კომენტირებული იყო. რა აღარ თქმულა ჩემზე. თუმცა, მე, უკვე 10 წელია, ვთამაშობ; გადავლახე განვითარების რამდენიმე ფაზა და ახალ ფაზაში შევაბიჯე - პასუხისმგებლობას ვგულისხმობ.

რაული თანაგუნდელების შესახებ

ფერნანდო ტორესზე:

მას ძლიერი ხასიათი აქვს. მე ამას ყოველთვის ვხედავდი. არსებობენ მაღალი კლასის ფეხბურთელები, რომლებსაც მოტივაცია არ ჰყოფნით - გამარჯვების სურვილი. ტორესს ეს აქვს. რაც ტორესის დებიუტი შედგა, ყოველთვის ამას ვამბობდი, მიუხედავად იმისა, რომ ტორესს აკრიტიკებდნენ. ვამბობდი: ეს სწორად მდგომი ადამიანია... ის სახელოვანი ფეხბურთელი იქნება თავის კლუბშიც და ეროვნულ ნაკრებშიც.

ვალერონზე:

ვალერონს ფეხბურთის თავისებური ხედვა აქვს და ეს ევროპის ჩემპიონატზე ძალიან მნიშვნელოვანი იქნება. მას თამაშის შემოტრიალება შეუძლია. როცა მატჩის განმავლობაში თავისუფალი სივრცე არ ჩანს, ვალერონი მას ხედავს, ხოლო თუ ეს სივრცე, უბრალოდ, არ არსებობს, ის მას ქმნის.

მორიენტესზე:

მორიენტესს კარგი ტექნიკა აქვს. ის კარგად თამაშობს თავით. მას დიდ ტურნირებზე თამაშის გამოცდილება აქვს. ნაკრებში გამართულ 30 შეხვედრაში მან 20 გოლი გაიტანა. ეს საუკეთესო შედეგია; საერთოდ, შედეგს მნიშვნელოვან შეხვედრებში აღწევს - მაშინ, როცა მეტოქე თავს კარგად იცავს.

კამაჩოზე:

ის დიდი მწვრთნელია. ის ოთხი წელი, რომელიც მან ნაკრებში გაატარა, ძალიან კარგი იყო. მან იცის, როგორ მოიქცეს, რომ ყველაფერი კარგად აეწყოს.

ამასობაში ესპანურმა მასმედიამ გააკეთა პროგნოზი, თუ როგორი იქნება ესპანეთის ნაკრების შემადგენლობა ევროპის ჩემპიონატის პირველ შეხვედრაში რუსეთის წინააღმდეგ: კასილასი, პუიოლი, რაულ ბრავო, ელგერა, მარჩენა, ალბელდა, ბარახა, ეჩებერია, ვისენტე, რაული, მორიენტესი.

ეს დასკვნები გაკეთებულია ესპანეთის ნაკრების ორმხრივი თამაშის შემდეგ, რომელიც ხუთშაბათს გაიმართა. ზემოთ ჩამოთვლილმა ფეხბურთელებმა, რომლებითაც, როგორც ვარაუდობენ, რუსებთან შეხვედრისას ძირითადი შემადგენლობა დაკომპლექტდება, დუბლიორებს 6:1 მოუგეს.

ფეხბურთი

რონალდინიო „ბარსას" ერთგული რჩება

როდემდე გაუძლებს "ბარსელონა" აბრამოვიჩის თავდასხმებს?

აკა ტონია

ბრაზილიელი რონალდინიოს დარჩენა-არდარჩენის საკითხი ამჟამად ყველაზე მეტად აღელვებს "ბარსელონას" ხელმძღვანელობას. კატალონიური კლუბის სათავეში პრეზიდენტ ჟოან ლაპორტას და ვიცე-პრეზიდენტ სანდრო როსელის მოსვლის შემდეგ "ბარსელონამ" მძიმე კრიზისის დაძლევა მოახერხა და უკანასკნელ სეზონში ჩემპიონთა-ლიგის საგზურიც კი მოიპოვა. კლუბის სპორტული წარმატებები კი, უპირველეს ყოვლისა, რონალდინიოს სახელს უკავშირდება. ამ ფეხბურთელის "ბარსელონაში" გადაყვანა ლაპორტას ყველაზე დიდი მონაპოვარია და, რაღა თქმა უნდა, რონალდინიოს დაკრგვა მისთვის ტრაგედია იქნება.

რონალდინიო და ლაპორტა მომავალ სეზონშიც ერთად იქნებიან

არადა, ლონდონის "ჩელსის" მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, რომ რონალდინიო კატალონიიდან მოიტაცოს და ფეხბურთელს ასტრონომიულ ხელფასს სთავაზობს. "ბარსელონას" ხელმძღვანელობა აღიარებს, რომ ფეხბურთელისათვის "ჩელსის" დარი პირობების შეთავაზება არ შეუძლია. "რონალდინიოს იმდენ ფულს ნამდვილად ვერ გადავუხდით, რამდენსაც მას აბრამოვიჩი სთავაზობს. მხოლოდ ერთს ვიტყვი: რონალდინიო "ნოუ კამპის" გმირი და "ბარსელონას" გულშემატკივრების კერპია. ამის გარანტიას კი მას აბრამოვიჩი ვერ მისცემს", - განაცხადა ამას წინათ ლაპორტამ.

როგორც ჩანს, რონალდინიომ პრეზიდენტის ვედრება შეისმინა და "ბარსელონაში" დარჩენას დასთანხმდა. საქმე იქეთკენ მიდის, რომ რონალდინიო მომავალ სეზონშიც "ნოუ კამპზე" ითამაშებს.

ჟოან ლაპორტა და სანდრო როსელი ამჟამად ბრაზილიაში იმყოფებიან, სადაც ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციის მიწვევით ჩაფრინდნენ ბრაზილია-არგენტინის მატჩზე დასასწრებად. თუმცა, ლაპორტას და როსელი, ვიზიტის მიზანი მხოლოდ და მხოლოდ თამაშის ხილვა ნამდვილად არ ყოფილა. "ბარსას" ხელმძღვანელები რონალდინიოსთან მოლაპარაკებების გამართვასაც გეგმავდნენ.

აღმოჩნდა, რომ ლაპორტა და როსელი ტყუილად არ ჩაფრენილან ბრაზილიაში. მათ, მართლაც, თითქმის, მიაღწიეს რონალდინიოსთან შეთანხმებას. გუშინწინ ღამით ლაპორტას სატელეფონო საუბარი ჰქონდა რონალდინიოს აგენტთან რობერტო ასისთან. ასისმა დაუდასტურა ლაპორტას, რომ ფეხბურთელი "ბარსელონაში" დარჩენაზე და ამ კლუბთან კონტრაქტის გაგრძელებაზე თანახმაა. თავიდან დაგეგმილი იყო, რომ ასისი და ლაპორტა ერთმანეთს უნდა შეხვედრდნენ, თუმცა, ბრაზილიის საქალაქთაშორისო ფრენის განრიგის გამო, ეს შეხვედრა ვერ შედგა. ასისი პორტო ალეგრეში იმყოფება, ხოლო ლაპორტა ბელუ ორიზონტეში. თუმცა, ეს შეხვედრა წმინდა ფორმალური ხასიათის უნდა ყოფილიყო, რადგან მთავარი სათქმელი ტელეფონშიც გარკვევით ითქვა - რონალდინიო რჩება!

"ბარსელონას" გულშემატკივრებს ნამდვილად აქვთ კმაყოფილების მიზეზი, თუმცა "რონალდინიოს დატოვების ოპერაცია" ჯერ არ არის დასრულებული. "ჩელსის" მორიგი შემოტევისაგან "ბარსა" მანამდე არ იქნება დაზღვეული, სანამ რონალდინიო კლუბში დარჩენის სურვილს კონტრაქტზე ხელმოწერით არ დაადასტურებს. ხელშეკრულების გაგრძელება კი მომავალი სეზონის დაწყების წინ მოხდება. თუმცა, იმის ალბათობა, რომ რონალდინიო აზრს შეიცვლის, მიზერულია. ახალი კონტრაქტი, რომელსაც მას "ბარსელონა" სთავაზობს, წინა ხელშეკრულებისგან განსხვავებით, მკვეთრად გაუმჯობესებულია. მენეჯერი ფერან სორიანო მთელი ერთი თვის განმავლობაში მუშაობდა ახალ კონტრაქტზე. მის თანახმად, მომავალ სეზონში რონალდინიოს კონტრაქტი მილიონი ევროთი გაიზრდება, ხოლო პრემიული ბონუსები - ორი მილიონით. შედეგად კი, რონალდინიო მიიღებს კონტრაქტს, რომელიც არც ისე ჩამოუვარდება "ჩელსის" მიერ შეთავაზებულ ხელშეკრულებას. აქვე შეგახსენებთ, რომ "ჩელსი" მას, დაახლოებით, ცხრა მილიონი ევროს საფასურ გასამრჯელოს სთავაზობდა. "ჩვენ ჯერ არაფერზე მოგვიწერია ხელი და არც ვჩქარობთ, მაგრამ მოლაპარაკებები, მართლაც, დასასრულს უახლოვდება. დარწმუნებული ვარ, რომ პრობლემები არ შეგვექმნება. მოლაპარაკებები მალე დასრულდება და კონტრაქტიც გაფორმდება. "ბარსელონაში" თავს ძალიან კარგად ვგრძნობთ და ამ კლუბში დარჩენაც გვსურს", - ამბობს რობერტო ასისი, რონალდინიოს მენეჯერი, რომელიც მისი უფროსი ძმაც გახლავთ.

ახალი კონტრაქტის გაფორმების შემდეგ "ბარსელონა" დაცული იქნება აბრამოვიჩისაგანაც და ლორენცო სანცისაგანაც. რა შუაშია ლორენცო სანცი? - საქმე ისაა, რომ მადრიდის "რეალის" პრეზიდენტის პოსტზე წელს მორიგი არჩევნები გაიმართება. კლუბის ყოფილ პრეზიდენტს ლორენცო სანცს ამ პოსტზე დაბრუნება სურს და არჩევნებში გასამარჯვებლად იგივე მეთოდებს მიმართავს, რა მეთოდებითაც თავის დროზე ამჟამინდელმა პრეზიდენტმა პერესმა მოუგო თავად სანცს. გახსოვთ, ალბათ, ფლორენტინო პერესი ამომრჩევლებს დაჰპირდა, რომ, არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში, ლუიშ ფიგუს წამოიყვანდა "ბარსელონადან". ჰოდა, ახლა ლორენცო სანცი დებს მსგავს პირობას: ხმები მომეცით და რონალდინიოს გიყიდითო.

ლორენცო სანცის არჩევნებში გამარჯვების შანსები მიზერულია და მისგან "ბარსელონა" საფრთხეს ნამდვილად აღარ უნდა ელოდეს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, აბრამოვიჩიც, თითქმის, უკვე დამარცხებულია, მაგრამ საინტერესოა - რამდენი ხნით? გაუმჯობესებული კონტრაქტი, რომელსაც რონალდინიო ცოტა ხანში მოაწერს ხელს, მხოლოდ და მხოლოდ ერთწლიანია... "აბრამოვიჩი ერთი წლის წინათ გავიცანი, როდესაც ჩემი ძმა ჯერ კიდევ "პარი სენ ჟერმენში" თამაშობდა. აბრამოვიჩი მაშინაც ცდილობდა ჩემს ძმასთან კონტრაქტის გაფორმებას, - ჰყვება რობერტო ასისი, - ისეთ ფეხბურთელზე, როგორიც რონალდინიოა, ყოველთვის იქნება ნადირობა". ასე რომ, "ბარსელონას" კიდევ დიდხანს არ ექნება მოდუნების საშუალება...

ჩოგბურთი

რუსები მოდიან

ჩემპიონი ან დემენტიევა გახდება და ან მისკინა

რუსები მოდიანო, - ერთ-ერთ ინტერვიუში საფრანგეთის ღია პირველობის დაწყებამდე განაცხადა მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა ბელგიელმა ჟიუსტინ ენინ-არდენმა. ჰოდა, ისე მოხდა, რომ ქალთა ჩოგბურთის ისტორიაში პირველად "დიდი სლემის" ტურნირს რუსი ჩოგბურთელი მოიგებს. ეს მას შემდეგ გაცხადდა, რაც საფრანგეთის ღია ჩემპიონატის ფინალში ტურნირის მეექვსე ნომერი ანასტასია მისკინა და მეცხრე ნომრად განთესილი ელენა დემენტიევა გავიდნენ.

საფრანგეთის ღია ჩემპიონატის მთავარ პრიზს რუსები პირველად გაითამაშებენ. ელენა დემენტიევას შემდეგ, რომელმაც ნახევარფინალში არგენტინელი პაოლა სუარესი დაამარცხა, ფინალში, რომლის საპრიზო ფონდი 5 548 780 ევროა, ანასტასია მისკინაც გავიდა. მან ამერიკელი ჯენიფერ კაპრიატი დაამარცხა.

თუ პირველ ნახევარფინალში, ასე თუ ისე, დარწმუნებით შეიძლებოდა გვევარაუდა, რომ დემენტიევა მეტოქეს დაამარცხებდა, მეორე ნახევარფინალი ბევრად უფრო დრამატული გამოდგა, სადაც ფავორიტად ამერიკელ ჩოგბურთელს მიიჩნევდნენ. მეტოქეები ერთმანეთს ექვსჯერ შეხვდნენ და ხუთჯერ კაპრიატმ მოიგო. თუმცა, ამჯერად შედეგმა ყველაზე თამამ მოლოდინსაც კი გადააჭარბა. კაპრიატი თავის თავს არ ჰგავდა; დაუშვა უამრავი უნებლიე შეცდომა და შედეგად ორივე სეტი ერთნაირი ანგარიშით - 2:6 წააგო.

მიუხედავად იმისა, რომ მისკინა კორტზე სიტუაციას აკონტროლებდა და, შესაბამისად, ბევრსაც უტევდა, ბევრ შეცდომას ისიც უშვებდა. ამ თვალსაზრისით, სამაგალითო მეორე პარტიის მეხუთე სეტი იყო. ანგარიში 2:2 იყო, როცა რუსმა ჩოგბურთელმა, დაუდევრობით, კინაღამ საკუთარი მოწოდება წააგო. მეტოქეები, თითქოს, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, თუ რომელი მეტ შეცდომას დაუშვებდა. მისკინასთვის საბედნიეროდ, ამ შეჯიბრებაში ჯენიფერ კაპრიატმ გაიმარჯვა. მეხუთე გეიმი მეორე პარტიაში გადამწყვეტი აღმოჩნდა. კაპრიატის თამაში სრულიად მოიშალა და შემდგომში მან მეტოქეს წინააღმდეგობა ვეღარ გაუწია.

"ძალიან გაოცებული ვარ და მიხარია, რომ ფინალში გასვლა მოვახერხე, - აღიარა მისკინამ, - როლან გაროსზე რუსული ფინალი, რამდენადმე, მოულოდნელი და შესანიშნავია. ელენა დემენტიევასთან მეგობრული ურთიერთობა მაკავშირებს. ჩვენ წყვილებში ვთამაშობთ ხოლმე და ხშირად ერთად მივემგზავრებით სხვადასხვა ტურნირზე. დღეს ოდნავ მეტად ვინერვიულე, მაგრამ ყოველ გათამაშებაზე მოსაგებად ვიყავი განწყობილი და გამარჯვებაც შევძელი. მეჩვენება, რომ დღეს კარგად ვითამაშე".

როგორც მის მეტოქეს, მისკინასაც არასდროს უთამაშია "დიდი სლემის" ტურნირების ფინალში. პრინციპში, ნახევარფინალური წყვილების ფონზე, როლან გაროსის რუსული ფინალი დიდი სიურპრიზი არ ყოფილა. ისიც მართალია, რომ ბოლო წლებში რუსი ჩოგბურთელების დონე საკმაოდ ამაღლდა. იგივე დემენტიევა სხვადასხვა ტურნირის ფინალში თანამემამულეს შეხვედრია. შარშანდელ სეზონში კი საფრანგეთის ღია ჩემპიონატის ნახევარფინალში ნადეჟდა პეტროვამ ითამაშა.

კრივი

მუშტი, ამბიცია და ტარვერ-ჯონსი

გიგა გურასაშვილი

ეს ესაა ტარვერი ისტორიაში შევიდა

პროლოგის მაგიერ

როი ჯონს-უმცროსმა იმდენი ტიტული მოიგო, ამბიცია მოეძალა და ნახევრადმძიმე წონიდან სუპერმძიმეწონოსნებში გადაბარგების შესახებ საკრივო სამყაროს საქვეყნოდ ამცნო. ეს კიდეც აისრულა და იმდენი ქნა, რომ კრივის მსოფლიო ასოციაციის (WBA) საჩემპიონო ორთაბრძოლაში ჯონ რუისი შემოელახა... საკუთარ ძალებში რომ დარწმუნდა, კვლავაც ხმამაღლა განაცხადა, - ესე ამბავი ერთჯერადი იყო, ასე რომ, ისევ იქ დავბრუნდები, სადაც დიდება და სახელი მომიხვეჭიაო. ჰოდა, დაუბრუნდა მშობლიურ ნახევრადმძიმეს. როი ჯონს-უმცროსს კვალავაც ისე შეეგებნენ, როგორც მისი რანგის მოკრივეს შეეფერებოდა.

ჩხუბი

15 მაისს "მენდელეი ბეის" გასართობ კომპლექსში თავშეყრილებმა გაოგნებულებმა დატოვეს კრივის მექა - ლას ვეგასი. ანტონიო ტარვერმა (21-1, 17 - ნოკაუტით) განმეორებით მატჩში როი ჯონს-უმცროსი (48-2, აქედან 38 ნოკაუტით) ნოკაუტში ჩააგდო. არადა, დაპირისპირების უპირობო ლიდერმა ჯონსმა პირველი რაუნდი ისე დაიწყო, მის მოგებაზე ფსონჩასულნი წინდაწინვე იფშვნეტდნენ თითებს, მაგრამ... მეორე რაუნდში ტარვერის გამოზომილმა ერთადერთმა დარტყმამ მარცხნიდან იოლად მიაგნო ჩემპიონის ყბას და როი ჯონსიც რინგზე გაიშოტა. დაცემული ჩემპიონი წამოდგომას შეეცადა, მაგრამ ძალიან გაუჭირდა. ჯონსი ჯერ კიდევ ცდილობდა ადგომას, როდესაც რეფერმა ჯეი ნედიმ ათივე თითი გადაუთვალა. ანტონიო ტარვერი სიხარულისგან გიჟივით დახტოდა. ტარვერი კრივის მსოფლიო საბჭოსა (WBC) და (WBA) ასოციაციის უმთავრესი ქამრების მატარებელი გახდა.

მაყურებელი

ყველასთვის სათაყვანებელი და დაუმარცხებელი როი ჯონსის ძლევას 360 ათასმა აბონენტმა ადევნა თვალი; მათ შორის - 235 ათასი საკაბელო ტელევიზიის მაყურებელი გახლდათ, დანარჩენი 125 ათასი კი - თანამგზავრულის. VS ტარვერის პირველი ჩხუბისგან განსხვავებით, რომელიც შარშან ნოემბერში შედგა და ჯონსის ქულებით გამარჯვებით დასრულდა, აღმოჩნდა, რომ მაყურებლის რაოდენობამ 60 ათასით იმატა. აქვე იმასაც დავძენთ, რომ საკაბელო ტელევიზიით ასეთი - ანუ დიდი ბრძოლის ხილვა, ჩვეულებისამებრ, 40-დან 70 დოლარამდე ღირს.

ქამრები

როი ჯონსისა და ანტონიო ტარვერის ორრაუნდიანი ბრძოლის დასრულებას მაყურებლის დაბნეულობა მოჰყვა. დაბნეულობის მიზეზი გახლდათ რინგზე გამოფენილი ქამრების ოდენობა - ბოლოს და ბოლოს რომელი საჩემპიონო ქამრები თამაშდებოდა? ჯონსის და ტარვერის ორთაბრძოლა თავიდანვე გამოცხადებული იყო, როგორც საბჭოს საჩემპიონო ჩხუბი, მაგრამ, მოკრივეთა ზურგს უკან ოთხი ქამარი მოჩანდა. საქმე ისაა, რომ, საბჭოს გარდა, მათი დაპირისპირება სანქცირებული იყო IBO-ს (კრივის საერთაშორისო ორგანიზაცია), IBA-სა (კრივის საერთაშორისო ასოციაცია) და NBA-ს (კრივის ეროვნული ასოციაციია) მიერ.

გულშემატკივარი

ნირწამხდარი როი ჯონსი "მენდელეი ბეის" დატოვებისთანავე მშობლიურ ქალაქ პენსაკოლესკენ გაეშურა; შინ ჩასული თვალებს არ უჯერებდა - პენსაკოლეს ქუჩებში გამოსული ათასობით გულშემატკივარი როი ჯონსს ოვაციებით შეეგება. აქ იყვნენ მისი ახლობლები, მეგობრები და ოჯახის წევრებიც. თითოეული თავისებურად ამხნევებდა მას. გახარებულმა ჯონსმა მათ ასე მიმართა: "თქვენ მე მჭირდებით. ვიცი, რომ თქვენ 100 პროცენტით ჩემს მხარეს ხართ". მისალმების შემდეგ ჯონსმა პირობა დადო, - სტატუსს აღვიდგენ, თუ საკუთარი თავისთვის არა, იმ ქალაქისთვის მაინც, სადაც დავიბადე და ჩემს სახლად მივიჩნევო.

"გინდათ, რომ დავბრუნდე? მაშ, კარგით. პირობას გაძლევთ, რომ დავბრუნდები"! - თქვა ჯონსმა.

პერსპექტივა

სასწაულებრივი გამარჯვების შემდეგ ანტონიო ტარვერსაც მოეძალა ამბიცია - აწ უკვე საბჭოსა და ასოციაციის ჩემპიონმა ჯონსისეული გზის გავლა განიზრახა; სუპერმძიმე წონაში გადასვლა მოიწადინა: "35 წლის ვარ და მესმის, რომ არცთუ დიდი დროა დარჩენილი...

თუ ჩემს მიერ ძლეული როი ჯონსი მაიკ ტაისონთან და ვიტალი კლიჩკოსთან ჩხუბისთვის 20 მილიონს ითხოვს, რატომ არ შეიძლება, მეც იგივე გავაკეთო? წონა პრობლემა არაა. მე ნიჭიერი მოკრივე ვარ, დიდი შესაძლებლობები მაქვს. ამიტომაც, სუპერმძიმეწონოსანთა კატეგორიაში გადაბარგებას დიდ პრობლემად არ მივიჩნევ. სუპერმძიმე წონას სჭირდება ჩემსავით დინამიური სტილის მებრძოლი".

ისე, გამორიცხული არაა, ჯონსისა და ტარვერის მესამე და გადამწყვეტი ორთაბრძოლაც შედგეს. მათ შორის ანგარიში საყაიმოა - 1:1. სხვათა შორის, ამგვარ პერსპექტივას არც ტარვერი გამორიცხავს. აცხადებს კიდეც, - ჩემთან ბრძოლა ჯონსისთვის ერთგვარი შანსია რეაბილიტირებისთვის; თუ რამ სურს, გარდა კარიერის დასრულებისა, ყველა გზა ანტონიო ტარვერზე გადისო.

ეპილოგის მაგიერ

ცხადია, ტარვერს სუპერმძიმეწონოსნებში მუშტის ქნევა იმიტომ უნდა, რომ იცის, აქ სახელიც მეტია და ფინანსური მასშტაბებიც. აბა, წარმოიდგინეთ - რინგის ერთ კუთხეში ანტონიო ტარვერი და მეორე კუთხეში ვიტალი კლიჩკო ან მაიკ ტაისონი. მართალია, დღეს ტაისონისგან სახელიღაა დარჩენილი, მაგრამ რეკლამა დიდი აქვს. რეკლამისთვის კი ფულია საჭირო. თუმცა, ირკვევა, რომ ტარვერს ჯეიმს ტონიც ხიბლავს.

"საკუთარ მომავალს სუპერმძიმეწონაში ვხედავ, სადაც მაიკ ტაისონთან ან ჯეიმს ტონისთან ჩხუბს ვისურვებდი. მინდა, მსოფლიო ჩემპიონი გავხდე სუპერმძიმეწონოსნებშიც, და თუ მიზნად დავისახე, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ჩემსას მივაღწევ, - ამბობს ტარვერი, - მეტიც, ჩემი ტაისონთან შეხვედრა უფრო საინტერესო იქნება, ვიდრე ტაისონი-ჯონსის ჩხუბი. ჩემს შემთხვევაში, ბევრად მაგარ სანახაობას იხილავთ, ვიდრე ტაისონი ჰოლიფილდის დაპირისპირებისას...

ერთხელ უკვე გავაოცე მსოფლიო და იგივეს კიდევ ვფიქრობ".

ქეთევან იგნატოვა წარმოგიდგენთ

გულახდილად

ჩოხოსანი ინტრიგა ფეხის ცეკვებზე

რომელიღაცა სულელური სიმღერის ტექსტიდან ვიცოდი, რომ საქართველო არწივების ბუდეა (... გაუმარჯოს საქართველოს, არწივების ბუდეს!), ამ დღეებში კი გავიგე, რომ ქორეოგრაფების ბუდეც ყოფილა! რაც კარგები ვართ, ქართველები ვართ! 1990 წელს თენგიზ სუხიშვილის მიერ დაარსებული საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირი, არც მეტი, არც ნაკლები, 700-მდე ქორეოგრაფს გულისხმობს! არა, მაინც რა ვართ ეს ქართველები! მთელ მსოფლიოში 100-მდე ღირებული ქორეოგრაფი თუ მოიძებნება, ჩვენში კი ყოველი მეორე, ვისაც გასმა გაუკეთებია ან ფეხისწვერებზე დამდგარა, ქორეოგრაფი ყოფილა და თანაც გენიალური! გენიალურები რომ არიან, ამაზე არც ვდავობ, უბრალოდ, მაინტერესებს, სამი-ოთხი სახელის გარდა, ყველა დანარჩენი, ჩვენთვის უცნობი რატომ არის, ქართული ცეკვის ისტორიაში რა წვლილი აქვთ შეტანილი და რამდენჯერ გამოიგონეს ველოსიპედი? აგერ, უკვე 60 წელიწადი, თვითმყოფადობით გამორჩეულმა ვერც ერთმა ქორეოგრაფმა ქართული ცეკვის კლასიკად, სავიზიტო ბარათად აღიარებული ნინო რამიშვილის და ილიკო სუხიშვილის მიერ დადგმული ხორუმის შედევრული ხაზი უფრო "გენიალურით" რატომ ვერ შეცვალა? შეცვლას, ახლის მოგონებას ვინ ჩივის, შესაბამისი სიზუსტითა და დახვეწილობით ვერც კი გადმოიღეს. საერთოდ, ქორეოგრაფია რას ნიშნავს - ცეკვის, ილეთის, პლასტიკის, ნახაზის ახლებურ, ინდივიდუალურ ხედვას თუ სხვისის უნიჭო, უშედეგო პლაგიატსა და ელემენტარულ პედაგოგიურ მოღვაწეობას, რაც თავისთავად ძალიან საპატივცემულო და საჭიროა. არ ჯობია, ქართული ცეკვის პედაგოგთა კავშირი შექმნან, სადაც, მაგალითად, ვინმე ხოზაშვილი, საპატიო პირველს თუ არა, რომელიმე, მისი მოღვაწეობიდან გამომდინარე, ლოგიკურ ადგილს მაინც დაიკავებს.

მწერალთა კავშირში გაწევრიანებას არანაირი ლიტერატურული გამოცდილება რომ არ სჭირდება, უკვე გაირკვა. ახლა გავარკვიეთ, რომ ქორეოგრაფთა კავშირის წევრობისთვის სრულიად საკმარისია ცეკვის მასწავლებელი, ყოფილი მოცეკვავე, მედოლე იყო, ან ნინო რამიშვილი სიცოცხლეში ერთხელ მაინც გყავდეს ნანახი. ნებისმიერმა ქართველმა, ქუჩაში გამვლელმა, სკოლის პირველკლასელმა უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც ზუსტად იცის, რომ ქართული ნაციონალური ცეკვა, მაღალი ხელოვნების რანგში მისი აყვანა, მსოფლიო აღიარება, ნებისმიერი სიახლე, ნოვატორობა, შემოქმედებითობა და სრული უკონკურენტობა მხოლოდ და მხოლოდ ორ სახელთან არის ასოცირებული - ნინო და ილიკო, და ეს სახელები ხოზაშვილების, ფოცხიშვილებისა და ბევრი სხვისი სურვილის საწინააღმდეგოდ, ქართული კულტურის მატიანეშია შესული და წლების განმავლობაში პერმანენტული ინტრიგები, დაუღალავი ბრძოლა, უმადურობა იქიდან მათ ველარ ამოშლის. ქართული საზოგადოების ცნობიერებაში ხოზაშვილი სუხიშვილის ადგილს ვერასდროს დაიკავებს. ჩემი მოკრძალებული აზრით კი, ქართული ცეკვის ჭეშმარიტი ტრადიციების გამგრძელებელი თენგიზ სუხიშვილი, ამ გროტესკული ქორეოგრაფთა ბუდის თავმჯდომარე მართლაც არ უნდა იყოს, ისევე, როგორც თავმოყვარე, ნამდვილი მწერალი დღევანდელი შემადგენლობის მწერალთა კავშირის თავმჯდომარეობაზე არ დათანხმდებოდა. სუხიშვილები იყვნენ, არიან და ყოველთვის იქნებიან და ჩოხაში გამოწყობილი, ხანჯლიანი, ერთი შეხედვით, არწივის მსგავსი ვაჟკაცი მოცეკვავე და ამ დროს კი რიგითი ინტრიგანი მათ ხელს ვერ შეუშლის. ათწლეულების განმავლობაში გამოცვლილი ხოზაშვილების არაერთმა თაობამ უშედეგო ინტრიგანობის მაგივრად, აჯობებს, მაისის მწარე სინამდვილეს თვალებში შეხედოს, უსაფუძვლო ამბიციები გვერდზე გადადოს, თავიანთი პატარ-პატარა სტუდიები და ანსამბლები ოდნავ უფრო დახვეწოს და სუხიშვილების მიბაძვის უბადრუკი ვარიანტიდან ოდნავ სხვა საფეხურზე აიყვანოს. ანსამბლ "იქორს" (ხელ. ხოზაშვილი) თუ როდისმე იმის მეასედი წარმატება ექნება, რაც მის სახე.ლოვან, პროფესიონალიზმითა და გემოვნებით გამორჩეულ კოლეგებს, მაშინ მისმა "ქორეოგრაფმა" ხელმძღვანელმა შეიძლება იფიქროს, რომ ტყუილად არ უცხოვრია. თუმცა, ეჭვი მეპარება, რომ სხვისი წარმატებისგან დაბრმავებულმა ადამიანმა რაიმე სასიკეთოს გაკეთება შეძლოს. შური, ბოღმა ხელ-ფეხს კრავს. სუხიშვილების ქორეოგრაფია, რამდენიც არ უნდა გადმოიღოს, სოლიკო ვირსალაძის განუმეორებელი კოსტიუმები საკუთარი ინტერპრეტაციით როგორც არ უნდა დაამახინჯოს, როგორც არ უნდა ეცადოს, თენგიზ სუხიშვილს მიემსგავსოს და ქორეოგრაფის წოდება დამსახურებულად ატაროს, მაინც რიგით მოცეკვავედ(რომლის სცენური წარმატებები მხოლოდ საკუთარი ოჯახის წევრებს თუ ემახსოვრებათ) სუხიშვილების ანსამბლის ყოფილ რიგით წევრად, რიგით მოქალაქედ, რიგით პლაგიატორად და რიგით ინტრიგანად დარჩება. თუმცა, ქორეოგრაფთა კავშირში მხოლოდ საკუთარი თავის მოსატყუებლად იქნება.

ამ ბოლო დროს ყველაზე უფრო მაინტერესებს, ილიკო სუხიშვილი უმცროსის ახალ წარმატებულ პროექტ "ასსას" პირველი ვინ შეეჭიდება და გადაიღებს, დაამახინჯებს, საკუთარი ქორეოგრაფიული გენიით შეამკობს და უახლოეს კავშირის ყრილობაზე საკუთარ ნოვატორობად მოგვაწოდებს?

საქართველო არც არწივების და არც ქორეოგრაფების, არამედ ელემენტარული ინტრიგანების ბუდე ყოფილა, რაც, სამწუხაროდ, ბოლო პერიოდში სხვადასხვა დაწესებულების, უწყების, შემოქმედებითი კავშირების მაგალითზე აშკარად გამოჩნდა. ეტყობა, რევოლუციის შემდგომი დუღილი რაღაც განსაკუთრებულ ქაფს იყენებს, რომელსაც ნებისმიერ სფეროში არსებული ხოზაშვილები ზედაპირზე ამოჰყავს, ააშკარავებს. ეტყობა, ამ დუღილმაც საზოგადოების ნერვების ხარჯზე უნდა ჩაიაროს და ჩვენ როგორმე ამასაც უნდა გავუძლოთ, თორემ მაღალ ხელოვნებას და ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი სუხიშვილების ანსამბლს, და მის ყველასათვის საპატივცემულო ხელმძღვანელ თენგიზ სუხიშვილს, ამგვარი უსახური ოპონენტებისაგან ნამდვილად არაფერი ემუქრება. მათ თავიანთი საქმე აქვთ, რომელიც იციან, უყვართ, სხვებზე ბევრად უკეთ გამოსდით, რომელსაც ათწლეულები ემსახურებიან, შემოქმედებით გზაზე იმდენი მქუხარე აპლოდისმენტი აქვთ მოსმენილი და წარმატების, ტალანტის, ზნეობის, კულტურის ისეთ სიმაღლეზე დგანან, სადაც ვერანაირი ინტრიგა ვერ წვდება, სადაც ისინი მილიონობით ჩემნაირი მაყურებლის სიყვარულმა აიყვანა.

თემურ ხოზაშვილს, გელოდი ფოცხიშვილს, ცეკვის და, რაც მთავარია, ქორეოგრაფიის სხვა ჯადოქრებს კი სუხიშვილების ანსამბლის დაწევა-ვერდაწევაში, მიბაძვა-ვერმიბაძვაში დიდ წარმატებებს ვუსურვებ.

შეიძლება იფიქროთ, რომ ზედმეტად პირდაპირი ვარ, მაგრამ ქართულ საზოგადოებას მართლა ძალიან მობეზრდა გლობალური სიახლეების ფონზე აღმოცენებული გაუთავებელი წვრილ-წვრილი სიბინძურის მოსმენა. საზოგადოებას ბევრი ისეთი ღირსშესანიშნავი წარმომადგენელი გააჩნია, რომლებიც ზოგადად ქართულ კულტურას ქმნის და არავის პერმანენტული სახსენებელი არ არის. შემოქმედებითი გზა ყველაზე ძნელად გასავლელია. მას წარმატებით მხოლოდ ერთეულები გადიან, უმეტესობა კი არარეალიზებული რჩება, ამისგან ბოროტდება, კომპლექსდება, წარმატებული ზიზღდება და უსუსურ ბრძოლას, მხილებას, მტრობას უწყებს, ჩვენ კი რატომღაც ამ ადამიანური დაკნინების, ტანჯვის იძულებით მოწმეებად გვხდიან, რამაც, მინდა გითხრათ, ყოველგვარი მოთმინება ამოწურა. დადგა დრო, როდესაც ყველამ თავისი რეალური როლი, პოტენციალი, ადგილი იცოდეს და ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას, თუნდაც, ცოტა ზედმეტი პირდაპირობის მეშვეობით.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ჩემს თვალში ახალბედა, ამერიკაში განათლებამიღებული პოლიტიკოსი მაისაშვილის პლუსები იყო, რომ იგი მიშა სააკაშვილთან მეგობრობდა, ამერიკული გამოცდილების შედეგად ჰალსტუხის კვანძს კარგად იკრავდა და მაღალი იყო. მაგრამ, სამწუხაროდ, ეტყობა მაისაშვილს თავისზე მაღლები არ უყვარს და სააკაშვილს ჩამოშორდა, რომ თვითონ უფრო ახოვანი გამოჩენილიყო. მარტო კაცი ცოდოა და ამიტომ ამ ბოლო დღეებში ახალი გაერთიანება - მაისაშვილი, ქუცნაშვილი, ცაცანაშვილი შეიქმნა. ჩემი აზრით, საკმაოდ კოლორიტული, ურთიერთმომგებიანი, დაბალანსებული ტრიოა, რომლის სამივე წევრი თუ ერთმანეთს რაღაც-რაღაცებს დაესესხება, ისწავლის, მიბაძავს, ქართულ პოლიტიკას თუ არა, თავად მაინც წაადგებათ. მაისაშვილი ქუცნაშვილს ჰალსტუხის კვანძის ცივილურად შეკვრას, ქუცნაშვილი მაისაშვილს ქართულ პოლიტიკურ ენას ასწავლის, რომელზეც მთელი დღე შეუძლია ილაპარაკოს ისე, რომ არაფერი თქვას და ვერავინ ვერაფერი გაიგოს. მაისაშვილი ქუცნაშვილს კაპიტალისტური სისტემის გამოცდილებას გაუზიარებს, ქუცნაშვილი კი მაისაშვილს სოციალისტურ ლაბირინთში გაარკვევს. ვინმე ცაცანაშვილი კი, რომლის შესახებ ნაკლები ვიცი, დარწმუნებული ვარ, ორივე თანაგუნდელს განსაკუთრებულ დახვეწილობასა და პეწს შევმატებს, რომელიც ასე ესაჭიროებათ.

ახალი ნაცნობობა

ნოდარ მალაზონიას, როგორც პროფესიონალის, ნიჭიერი, საინტერესო მხატვრის და, უბრალოდ, დადებითი პიროვნების დიდი პატივისცემა და სიყვარული ჯერ კიდევ მამაჩემისგან მახსოვს. ამ კვირაში ქარვასლაში გახსნილმა დიდმა რეტროსპექტიულმა გამოფენამ ამაში კიდევ ერთხელ დამარწმუნა. მხოლოდ კარგმა, სიცოცხლისმოყვარულმა, კეთილგანწყობილმა ადამიანმა, ნიჭიერმა კაცმა თავის გარშემო არსებული საქართველო, თავის მიერ დანახული უცხო ქვეყნები, კოლორიტული პერსონაჟები, ერთი შეხედვით, სრულიად ბანალური სიტუაციები, ქუჩის, ქალაქის მოტივები უბრალო ფოტოკამერის მეშვეობით ასეთი სითბოთი და სიყვარულით გადმოსცეს. მალაზონიას მიერ დანახული შავ-თეთრი საქართველო ჩემიც არის, მეც მიყვარს. მხოლოდ რომანტიკულმა შემოქმედმა შეიძლება კედელთან, კაფესთან მიყუდებული ველოსიპედების მეშვეობით, მთელი ცხოვრებისეული სიმფონია გადმოსცეს. მხოლოდ მაღალ პროფესიონალს შეეძლო ასეთი დახვეწილი, სადა და ამ დროს ყოვლისმთქმელი, მაღალი მხატვრული ღირებულების მქონე გრაფიკული პლაკატების გაკეთება. მხოლოდ ქართული ტრადიციების, კულტურის ღრმა მცოდნესა და მოსიყვარულეს შეეძლო ეროვნული ვალუტის ასეთი დახვეწილი ესკიზების დამზადება, ასეთი თბილი, მყუდრო, კაცთმოყვარე ფერწერის შექმნა.



გამოფენის გახსნაზე, პატივი მერგო, ნოდარ მალაზონია, რომელსაც პირადად არ ვიცნობდი, შემოქმედებითაც და პიროვნულადაც გამეცნო და ეს დღე ჩემი ცხოვრების ერთ-ერთ სასიამოვნო მოგონებად დარჩება. საინტერესო, შემოქმედებით, სიცოცხლით სავსე, თბილ ადამიანს, რომელსაც თვალებიც კი უღიმის, სამწუხაროდ, საკმაოდ იშვიათად ხვდები. ეს უკვე დიდ ფუფუნებად გადაიქცა. ნოდარ მალაზონიას გამოფენის გახსნა ჩემთვის სწორედ ასეთი, ემოციური, ფუფუნების დღე გახდა.

როცა მხატვარი არ ტყუის









ტყუილის თქმა რომ ცუდია, ბავშვობაში ყველას გვასწავლიდნენ, მაგრამ ცხოვრებაში ვის როგორ გამოუვიდოდა, ეს უკვე სხვა საკითხია. ტყუილისადმი განსაკუთრებით ულმობელი, მიუტევებელი - ხელოვნებაა, რომლის ნებისმიერ ჟანრში ოდნავი, სულ პატარა, ერთი შეხედვით თითქოს უმნიშვნელო სიყალბე, სიცრუეც კი უშედეგო და შეუმჩნეველი ვერ დარჩება, მაგრამ, ვფიქრობ, მხატვრობა ამაშიც გამორჩეულია. თუ მხატვარი თავის სიღრმეში არსებულს ბოლომდე გულწრფელად არ გადმოსცემს-გადმოალაგებს, რაღაცას შენიღბავს, ზედმეტად შეაფერადებს - ნახატი, შეიძლება ლამაზი, მაგრამ არაფრისმთქმელი, ცარიელი, თუნდაც, გემოვნებით, მაგრამ უბრალოდ შეღებილი ტილო იქნება და არა ხელოვნების ნიმუში.

რუსთაველზე, გალერეა TMS-ში გამოფენილი ლევან ლაღიძის ფერწერა სწორედ ამ გულწრფელობით, ტყუილის ართქმით და შინაგანი განცდის გადმოცემით გამოირჩევა. ლაღიძის მიერ შექმნილ ნებისმიერ ტილოსთან შეგიძლია დიდხანს იდგე, უყურებდე და მას სადღაც შეჰყვე, ჩასწვდე, უამრავი რამ საღებავის ფენის მიღმა დაინახო. ნამდვილად არამხიარული, მეტიც, სევდიანი, გულჩათხრობილი, დახვეწილი, იდუმალი და, ამავე დროს, ძალიან ბევრის მთქმელი ფერწერა გულგრილს არაფრით დაგტოვებს; გამოფენიდან თითოეული მნახველი ინდივიდუალური ემოციით აღსავსე გამოდის. თუნდაც ძალიან პატარა ტილო ბევრად მეტს გეუბნება, გაგრძნობინებს, განახებს, განგაცდევინებს, ვიდრე მასზე ერთი შეხედვით არის დახატული. ექსპოზიციის ნახვის შემდეგ ისეთი გრძნობა დამრჩა, თითქოს ნამუშევრები რამდენიმე ფენისგან შედგება და საოცარი სიღრმე გააჩნია, რომელსაც, თუ შეძელი და ჩასწვდი, ლაღიძისეულ მდიდარ, ღრმა, სევდიან სამყაროსაც ჩასწვდები. ლაღიძე ხატვისას არ ტყუის და მისი ნახატებიც არ ტყუიან. სიმართლე კი ყოველთვის მხიარული როდია.

გულახდილად გეტყვით, ლევან ლაღიძე იმ მცირერიცხოვან ქართველ მხატვართა რიცხვს მიეკუთვნება, რომლის ნახატის ქონა ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი სურვილია.

ჯორჯ ვაშინგტონი - ვისკის მხდელი

მელორ სტურუა
საქ. კორ. აშშ

ინგლისელებზე გამარჯვებისა და რვაწლიანი პრეზიდენტობის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების ფუძემდებელმა ჯორჯ ვაშინგტონმა გადაწყვიტა თავისი საბრძოლო ცხენი ცინცინატუსი გუთანში შეება, ანუ მშვიდობიანი მეურნეობისათვის მოეკიდა ხელი. მაუნთ ვერნონში საკუთარ კარმიდამოში დაბრუნებულმა მამა-დამფუძნებელმა 1797 წელს ღვინის სახდელი დააარსა და ვისკის გამოხდა დაიწყო. მონების შრომის გამოყენებით მამა-დამფუძნებელმა, რომელმაც კვალიფიკაცია გადაიხალისა და ვისკის მხდელი გახდა, წარმატებასაც მიაღწია. უკვე პირველივე წელს აწარმოა 11 ათასი ბალონი ვისკი და 7 500 დოლარი შემოსავალიც მიიღო, ანუ თანამედროვე ვალუტაზე რომ გადმოვიყვანოთ, 105 ათასი.

ამ ბოლო დროს კვლავ გამოჩნდა ვისკი "ა-ლა ვაშინგტონი". პოტომაკის ნაპირებზე შეფენილ მაუნთ ვერნონში ცნობილმა ამერიკელმა მეღვინეებმა ვაშინგტონის რეცეპტით ვისკის გამოხდა დაიწყეს. "ჩემთვის ეს საქმე წმინდა მინაზე ყოფნას ჰგავს," - თქვა ჯონ ბიმმა, კომპანია "ჯერი დალტონის" მთავარმა მეღვინემ. ვისკის ვაშინგტონის მთავარი სახლის სიახლოვეს ხდიდნენ. ამ სახლში აშშ-ის პრეზიდენტი 1754 წლიდან ცხოვრობდა და აქვე გარდაიცვალა 1799 წელს.

ვისკის მწარმოებელი წამყვანი ამერიკული კომპანიების წარმომადგენლები მთელი დღის განმავლობაში აზავებდნენ, ათბობდნენ და აციებდნენ ვისკის, მამა-დამფუძნებლის რეცეპტის მიხედვით. ამ რეცეპტით დამზადებული სასმელი "მეშ-ბილის" სახელითაა ცნობილი, რაც თარგმანში ნიშნავს "გატაცების ბილს" ან "სასიყვარულო წერილს". ვაშინგტონის "სასიყვარულო გატაცებას" ასეთი შემადგენლობა აქვს: ჭვავი, სიმინდი, შვრია, ქერი. ამ ყველაფერს ხარშავდნენ სპილენძის დიდ ქვაბში, რომელიც იდგა ღია ცეცხლზე, ანუ კოცონზე. კომპანიის მფლობელმა ჯერი დალტონმა (სწორედ ჯერი დალტონის სახელი ჰქვია კომპანიას) პირველმა გასინჯა საბოლოო პროდუქტი და აღნიშნა, რომ სასმელი "მაგარი და არომატულია". დალტონმა გულახდილად აღიარა, რომ ეშინოდა, ეს წამოწყება კრახით არ დასრულებულიყო. მაგრამ, მამა-დამფუძნებელს იმედი არ გაუცრუებია. "რა თქმა უნდა, ვისკი, რომელსაც ამზადებდა ვაშინგტონი, პრიმიტიული იყო," - თქვა დალტონმა, და მისი დამზადების მეთოდიც, როგორც ხედავთ, განსაკუთრებულ სირთულეს არ წარმოადგენდა. თავიდან იმისაც კი ვფიქრობდი, რამე უვარგისი სასმელი არ გამოსულიყო, მაგრამ, საბედნიეროდ, ასე არ მომხდარა."

ამერიკული ვისკის მწარმოებლებმა გადაწყვიტეს, ვაშინგტონის ვისკით ორი გიგანტური კასრი აავსონ, სასმელი ორი წლით დააძველონ და მერე აუქციონზე გაყიდონ (ვარაუდობენ, რომ დაახლოებით 96 ბოთლი გამოვა). აუქციონიდან მიღებული თანხა მაუნთ ვერნონში ვაშინგტონის სახლის რეკონსტრუქციას მოხმარდება. მუზეუმს - ფულები, ბიზნესს - ვისკი, მშვენიერი ფილანთროპული რეკლამაა.

"მეშ-ბილის" რეცეპტის აღორძინების დროს ვისკი-შოუს მომწყობებმა რამდენიმე შეცდომა დაუშვეს. ჯერ იყო და გზაში გაუფუჭდათ სპეციალური საფუარი, რომელიც მაუნთ ვერნონში მიჰქონდათ კენტუკის შტატის ვუდფორდ რეზერვის ღვინის ფაბრიკიდან, ამიტომ იძულებულნი გახდნენ ჩვეულებრივი საფუარი გამოეყენებინათ, რომელიც ერთ-ერთ მაღაზიაში შეიძინეს. გარდა ამისა, სინჯების დროს არყის მხდელებმა ძალიან ბევრი ვისკი ჩაასხეს გადასამუშავებელ კუბში. ამის გამო სასმელს "ჭვავის პურისგან დამზადებული დამწვარი ტოსტის გემო" დაკრავდა, - აღნიშნა კომპანია "ვირჯინია ჯენტლმენ ბურბონის" მთავარმა ვისკის მწარმოებელმა ჯოზეფ დენგლერმა. სამწუხაროდ, სწორედ ამ ვისკის დეგუსტაცია მოგვიწია ჩვენ - ჟურნალისტებს. ჩვენ ერთხმად დავადასტურეთ, რომ გენერალი და პრეზიდენტი ჯორჯ ვაშინგტონი რამდენიმე თავით მაღლა იდგა ვისკის მხდელ ჯორჯ ვაშინგტონზე.

მამა-დამფუძნებლის სახდელი მისი სახლის გვერდით იდგა. "დისტილდ სპირიტს ქანსილმა" - ამერიკის ვისკის მწარმოებელთა ორგანიზაციამ გადაწყვიტა, ერთი მილიონი დოლარი ჩადოს ამ სახდელის რესტავრაციის საქმეში. გენიალური მარკეტინგული იდეაა. თუ თვითონ ამერიკის შეერთებული შტატების მამა-დამფუძნებელი არა მხოლოდ სვამდა, არამედ ვისკის ხდიდა და ამით ბიზნესს აკეთებდა, აბა სცადონ პურიტანული ცხოვრების მქადაგებლებმა აუგის თქმა მის თანამედროვე მიმდევრებზე! ხომ შეგვიძლია ისინი ანტიპატრიოტიზმსა და ანტიამერიკანიზმში დავადანაშაულოთ. აქამდე ვიცოდით, რომ ჭეშმარიტება ღვინოში იყო, თურმე ვისკიში ყოფილა.

სკანვორდი



TV პროგრამა

5 ივნისი

რუსთავი - 2

08.00 კლასიკა **08.30** მულტსერიალი **09.00, 12.00, 15.00** კურიერი **09.20** მულტფილმი **11.00** ლუისი და კლარკი **12.20** "სიმფსონები" **12.50** მხ. ფილმი **15.20** ველური სამყაროს ამბები **16.10** მხ. ფილმი **17.05** "დისკავერი" **18.00, 01.00** კურიერი **18.20** დოკ. ფილმი "თანამედროვე ტექნოლოგიები" **19.15** სერიალი "სუფთა ინგლისური მკვლელობები" **21.00** კურიერი PS **22.00** საოჯახო ტოტო **23.00** "ფსიქო": მხ. ფილმი "გენერალი". რეჟ. ჯონ ბურმანი. **01.20** მხ. ფილმი "სახლი თურქულ ქუჩაზე". მთ. რ-ში: სამუელ ელ ჯეკსონი, მილა იოვოვიჩი (18).

TV5

07.00, 09.00, 11.00(კანადა) **13.00,** 16.00(ბელგია) **17.00, 19.00,** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 15.00, 20.00, 23.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **08.00** ჩაი თუ ყავა. საუბრები მრგვალი მაგიდის გარშემო. **08.35** ღია ბარათი: გურმანი. **09.25** გადაცემა ბავშვებისათვის. **17.30** რეზისტანსი. დოკ.ფილმი. **20.05** ტემპო კაზადესუ. დოკ ფილმი. შეხვედრა ლილის ორკესტრის დირიჟორ ჟან-პოლ კაზადესუსთან. **24.00** ყველაზე გრძელი ღამე. გადაცემა ეძღვნება 1944 წლის 6 ივნისიდან მე-60 წლისთავს.

პირველი არხი

08.00, 12.00, 15.00, 20.00, 00.00 მოამბე **08.15** სერიალი "ოჯახური ურთიერთობანი" **10.00** დილის პაემანი **11.05** მხიარული კარუსელი **11.35** საქართველო არის ესე **12.15** მხ. ფილმი "სახიფათო პროფესია" (გ) **14.00** სერიალი "ძვირფასი მარიანა" **15.20** სერიალი "რვაფეხა-4" 1-ლი ს. **17.00** დოკ. სერიალი "ხმელთაშუა ზღვაში ზვიგენები დათარეშობენ" **18.00** "ვესტნიკი" **18.40** იმღერე რამე **19.15** "ტელეზღაპარი" **19.30** "ისტორიანი" **20.35** ცაიტნოტი **21.50** ფორტუნა **22.30** "საღამოს საუბრები" **23.20** "მუსიკალური არჩევანები" **00.15** ვიდეოფილმი "საქართველო მე-20 საუკუნე" **00.35** მხ. ფილმი "ხელი არ ახლო თეთრ ქალს" (15)

202

10.00 დებატები 202-ზე **11.30** მულტფილმი **12.00** მხ. ფილმი "ოცეული" (18) **14.00** მუსიკა **15.00** მხ. ფილმი "ბეჭდების მბრძანებელი-2" (გ) **17.00** მუსიკა **18.00** მულტფილმი **20.00** მხ. ფილმი "უკანასკნელი ბოისკაუტი" (ბ. უილისი) (18) **22.00** მუსიკა **23.00** დებატები 202-ზე **00.00** მხ. ფილმი "სახის გარეშე" (ჯ. ტრავოლტა) (18)

მზე

09.00 მულტფილმი "პრინცესა შეჰერაზადა" **09.30** საბ. სერიალი "საოცარი მითები და ლეგენდები" **10.00** მულტფილმი "სპირიტი" **11.00** საბ. სერიალი "დინოტოპია" **12.30** მხ. ფილმი "ბოროტი მანქანა" (გ) (ვინი ჯონსი) **14.00, 17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **14.30** მხ. ფილმი "ეის ვენტურა" (გ) (ჯიმ კერი) **16.30** დოკ. სერიალი "მსოფლიო კულტურის საგანძური" **17.10** ვესტერნი მზეზე "განწირულთა ბილიკით" **18.05** სერიალი "სინატრას მოტაცება" **19.00** სერიალი "ქვეყნის კიდეზე" **20.30** მხ. ფილმი "საუკეთესო დროება" (გ) (რობი უილიამსი) **23.00** მხ. ფილმი "მოსამსახურე ქალი" (18) (ჟან-პიერ ბაკრი)

მეორე არხი

19.00 მულტფილმი "კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავალი" **19.30** სერიალი "ეშმაკუნა"(გ) **21.00** სტუმრად მსახიობთა სტუდიაში **22.00** მხ. ფილმი "მომხიბვლელი თოვლის ქალი" (12)

კავკასია

12.00 მხ. ფილმი **15.00** მხ. ფილმი "გავარვარებული ასფალტი" (გ) **17.00** მუსიკა **19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **19.20** საბ. გადაცემა "ნაცნობი ადამიანების უცნობი ნლები" **19.40** მუსიკა **21.00** მხ. ფილმი **00.20** მხ. ფილმი "სიყვარულისა და დაშნის ისტორია" (15)

იმედი

09.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00 ქრონიკა **09.15** სერიალი "ტყუპები" **10.05** ანიმაც. ფილმი "მითიური მეომრები" **10.30** დილის ფოსტა **11.00** "იმედითა შენითა" **11.15, 16.50, 05.05** იმედის მელოდიები **12.00** საიმედო ლოტო (პირ. ეთერი) **12.30** სერიალი "უკიდურესი ზღვარი" **13.10** სერიალი "უკიდურესი ზღვარი" **13.35** არჩევანი თქვენ **15.15** მხ. ფილმი "კარგი გოგონა" (გ) **17.35** დოკ. სერიალი "ყველაზე ექსტრემალური" **18.10** ერთხელ ჰოლივუდში **18.30** დოკ. სერიალი "ისტორიის ერთი კვირა" **19.30** "ვაკაჭი-ნიუსი" **20.00** სერიალი "ყავა და ლუდი" **22.00, 04.40** ქრონიკა **22.30** კლიპ-ლოტო **23.30** მხ. ფილმი "პოლონელი ლამაზმანი" (გ. ბირნი) (15) **02.10** ეროვნული საკალათ. ასოციაცია (პლეიოფი) **04.10** ტვ-მარკეტი

იბერია

08.00 დოკ. ფილმი **09.50** კონცერტი **11.00** მულტფილმი **13.00** მხ. ფილმი "მარტოსული ვარსკვლავის შტატი" (18) **14.00** დოკ. ფილმი **15.00** მხ. ფილმი "წყლის პირას" (18) **17.00** კონცერტი **19.00** დოკ. ფილმი **20.30** ლიტ. გადაცემა - სილუეტი **22.00** კონცერტი **23.00** მხ. ფილმი "მკვლელობის ცერემონია" (15) (იზაბელ იუპერი) **00.30** კონცერტი **01.00** მხ.ფილმი "ალვარი პლუს პოლუქსი" (15) (გად ელამლუ)

1 ОРТ

07.00, 11.00, 13.00, 19.00 Новости **07.10** Сериал "Все путешествия команды Кусто". "Тайны Меконга" **07.40** Татьяна Пельтцер в комедии **"ТЫ - МНЕ, Я - ТЕБЕ" 09.20** Играй, гармонь любимая! **10.00** Слово пастыря **10.10** Здоровье **11.10** "Смак" **11.30** "Любовные истории". Виктор Бычков **12.00** "Я так думаю!.. Буба Кикабидзе". Фильм из цикла "Интересное кино" **13.10** История с географией. "Братья по крови: Хищники" **14.10** Дог-шоу **15.00** Дисней-клуб: "Приключения Мики и Дональда" **15.30** Умницы и умники **16.10** Премьера. "Операция "Оверлорд". Док. фильм **16.50** Летающие обезьяны в прикл. фильме **"ПРОЕКТ "Х" 18.50** Золотые годы Микки Мауса. Впервые в России **19.10** "КВН - 2004". Премьер-лига. Третья игра **21.00** "Кто хочет стать миллионером?" **22.00** Время **22.20** "Розыгрыш" **23.40** "Золотой Граммофон" **00.40** Майкл Парэ в боевике **"КРАСНЫЙ ЗМЕЙ" 02.30** Джин Хэкмен в фильме **"ПОД ПОДОЗРЕНИЕМ" 04.40** Комедия **"МАКС ДЬЮГАН ВОЗВРАЩАЕТСЯ"**

НТВ

06.50 Пирс Броснан в фильме **"И ЦЕЛОГО МИРА МАЛО" 09.00, 13.00, 17.00** Сегодня. **09.20** "Улица Сезам". **09.45** "Та-ра-рам!" **10.00** "Без рецепта". Доктор Бранд. **10.30** Обозреватель. **11.00** Кулинарный поединок: Данко - Игорь Шурупов. **12.00** Квартирный вопрос. **13.20** "Дикий мир: чернобурое кино". Экспедиция Тимофея Баженова. **14.00** Вкусные истории. **14.05** Шон Эстин в прикл. фильме **"БАЛБЕСЫ" 16.30** Криминальная Россия: автосервис на крови. **17.15** "Женский взгляд". Зинаида Кириенко. **17.55 Сериал "ИДЕАЛЬНАЯ ПАРА: КОРОЛЕВА БЕНЗОЗАПРАВКИ". 19.00** Своя игра. **20.00** "Личный вклад" **21.00** Красная стрела. Спецвагон. **21.15** Евгений Миронов в фильме **"МУСУЛЬМАНИН". 23.40** Жан-Поль Бельмондо в детективе **"СТРАХ НАД ГОРОДОМ" 02.10** Двое в городе. **02.40** "Ночные музы". "Стиль от..." Ренаты Литвиновой.

ქველმოქმედება სტადიონზე

დღეს თბილისის ლოკომოტივის სტადიონზე გაიმართება გრანდიოზული საქველმოქმედო გალა-კონცერტი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ქართული შოუ-ბიზნესის წარმომადგენლები: თამუნა ამონაშვილი, თემურ თათარაშვილი, ზურაბ დოიჯაშვილი, რომან რცხილაძე, "ნიკოლ შოუ," "სეიშენი," "ემი," "ისინი," "ბრავო," "ღამის სტუმრები." აქციის ორგანიზატორია საზოგადოება "თემი". "სოციალურად დაუცველი ადამიანების პრობლემა საქართველოში განსაკუთრებით მწვავეა. ახალ ხელისუფლებას ამ ეტაპზე არ შეუძლია გადაჭრას მასთან დაკავშირებული ყველა პრობლემა, ამიტომ საჭიროა ჩვენი დახმარება ამ კუთხით მივმართოდ", - განაცხადა საზოგადოება "თემი"-ს დამფუძნებელმა ბადრი ბაგრატიონ-გრუზინსკიმ.

ნინო ბერელიძე

"ამ დღისთვის დიდი ხანია ვემზადებით, ყველაფერი მხოლოდ იმიტომ კეთდება, რომ დავეხმაროთ უმწეო ადამიანებს, - ამბობს ბადრი ბაგრატიონ-გრუზინსკი, - **აქციის მოსამზადებელი თანხები მე და ჩემმა მეგობრებმა გავიღეთ, ვინმე იტყვის ისე მიეცათ ეს ფულიო, მაგრამ ეს მხოლოდ ერთჯერადი ქველმოქმედება იქნებოდა. ამიერიდან, ყოველ ორ კვირაში ერთხელ გაიმართება მსგავსი ღონისძიება. პირველ რიგში დავეხმარებით უპატრონო ბავშვთა სახლებს, შემდეგ დახმარებას უმწეო მოხუცებსაც გავუწევთ. იმედია, ჩანაფიქრი გაამართლებს."**

კონცერტიდან შემოსული თანხით, პირველ ეტაპზე, უპატრონო ბავშვთა ისანი-სამგორის ექვსი სახლისათვის შეიძენენ საჭირო ნივთებს. ეს მომღერლებისა და ჟურნალისტების თანდასწრებით მოხდება. თანხების გამჭვირვალობის აუცილებლობას ხაზი პარლამენტის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის კომიტეტის თავჯდომარემ, გიგი წერეთელმაც გაუსვა: **"საქართველოში ყოველთვის არსებობდა უამრავი კარგი იდეა სოციალურად დაუცველი ადამიანების პრობლემების მოსაგვარებლად. ზოგი განხორციელდა კიდეც და, რა თქმა უნდა, შესაბამისი თანხებიც არსებობდა, მაგრამ არამიზნობრივად ხდებოდა მათი ხარჯვა. მე ამ ხალხს დიდი ხანია ვიცნობ და მათ პატიოსნებაში დრწმუნებული ვარ. ყოველი თეთრი მიმართულად დაიხარჯება. ხელისუფლების სახელით თანადგომას ვუცხადებ საზოგადოება "თემი"-ს ხელმძღვანელებს. შეძლებისდაგვარად დავეხმარებით დაწყებულ კეთილშობილურ საქმეშიც, მით უმეტეს, რომ არსებობს ხელისუფლების კეთილი ნება, არც ერთ ბავშვს არ მოაკლდეს ოჯახური გარემო."**

საქველმოქმედო აქციებისას გათამაშდება წამახალისებელი ლატარია, რომლის მონაწილე კონცერტის ბილეთის მფლობელი ავტომატურად გახდება. თამაშდება უამრავი პრიზი: მუსიკალური ცენტრი, ტელევიზორები, კომპიუტერები და ავტომანქანა გოლფ-3. აქციის ორგანიზატორები, მიახლოებით, იმ თანხასაც ასახელებენ, რომელიც შეიძლება კონცერტიდან შემოვიდეს. სავარაუდოდ, ეს 10-15 ათასი ლარია. დაწყებულ საქმეში თანადგომა ბადრი ბაგრატიონ-გრუზინსკიმ განსაკუთრებით ჟურნალისტებს სთხოვა და აღგვითქვა, რომ ყოველი გახარჯული ლარი ცნობილი იქნება.

1-ლი ქართული საერთაშორისო გამოფენა "მშენებლობა"

Georgia Build 2004

შერატონ მეტეხი პალასი

9-11 ივნისი

თბილისი, საქართველო

შესვლა უფასოა

ორგანიზატორები: ITE GROUP PLC, Iteca

ოფიციალური მხარდაჭერა:

Tel.: +995 32 552130 Fax: +995 32 552190
E-mail: office@ite.cdn.ge

შპს "იბერია რეფრეშმენტსი", "პეპსი-კოლას"
ოფიციალური ბოთლერი საქართველოში სამუშაოდ იწვევს 25 წლამდე ასაკის მამაკაცებს, სავაჭრო წარმომადგენლის თანამდებობაზე. სამსახურში მიღება წარმოებს ტესტირებისა და გასაუბრების საფუძველზე.

აუცილებელი მოთხოვნები:
ა) ასაკი 25 წლამდე;
ბ) უმაღლესი განათლება;
გ) მართვის მოწმობა (სასურველია BC კატეგორია)

დაინტერესებულმა პირებმა გამოაგზავნონ CV ფაქსის შემდეგ ნომრებზე: 241090, 758565

განცხადების მიღების მოლო ვადაა 31.05.2004

სწავლა ლონდონში
ხელმისაწვდომ ფასად

ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სკოლა (ლონდონი) გენერალ ხარისხის მოსაბოვებლად შემდეგი პროგრამების ფარგლებში. ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სკოლის (ლონდონი) კმაყოფილ მდგომარეობს ლონდონ პროდუქტ. ეს ის ადგილია, სადაც ლონდონის ლორსმენეჯმენტობენია თავმოყრილი. პროგრამები მაგალითის ხარისხის მოსაბოვებლად ხორციელდება სანდერლენდის (გაერთიანებული სამეფო) უნივერსიტეტთან ერთად; ხოლო პროგრამები მაგისტრის ხარისხის მოსაბოვებლად ხორციელდება ისტ ლონდონის (გაერთიანებული სამეფო) უნივერსიტეტთან ერთად. პროგრამები ცხადდება ნელინდაში სამეფო (ოიმბერი / ამრილი / აგვისტო). მორიგი კურსის დაწყების თარიღი 2004 წლის 4 აგვისტო.

MBA MSc
მარკეტინგი / ფინანსები / IT
საინფორმაციო ტექნოლოგიები
კომპიუტერული სისტემის ინჟინერია
ინტერნეტის ინჟინერია

სრული ერთის ფასი £3950
სანარკვევია 16.

ბიზნესის ან ბიზნეს ინფორმაციის ტექნოლოგიის პროგრამების ფარგლებში მაგალითის ხარისხის მოსაბოვებლად 2-ნელიანი დამჭერებული კურსის - BA (Hons) მოლიანი ღირებულებაა £ 6950.

ზამოთ ალნიშნული თანხის გადახდა შესაძლებელია ეტაპობრივად
იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც ზემოაღნიშნული პროგრამებით სწავლობენ, ერთწლიანი ინტენსიური ინგლისური ენის კურსის გავლა შესაძლებელია დამატებითი £ 1000 გადახდის შემთვეგ.
იმ სტუდენტებისთვისაც, რომლებიც მიღალი აკადემიური მოსწრება არა აქვთ, ხელმისაწვდომია მოსამზადებელი პროგრამები.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით:
ნონა მეხუზაური / ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის მიმღები განყოფილება
მის: თბილისი, მეტეხის 2, სადარბაზო 1, ოფისი 1.
ტელ: 253045, 230284 მობ. 893-352067
E-mail: stmgeorgia@hotmail.com
www.stmlondon.co.uk

თბილისის სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტი აცხადებს მიღებას შემდეგ სპეციალობებზე:

- იურიდიული (სამართლისმცოდნეობა)
- საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები
- ფინანსები და საბანკო საქმე

მისაღები გამოცდები ჩატარდება ტესტირების წესით.

ინსტიტუტში ლექციებს კითხულობენ ცნობილი მეცნიერები და პედაგოგები, პროფესორები ოთარ გამყრელიძე, იაკობ ფუტკარაძე, ნინო სავანელი, გრიგოლ თოდუა, შოთა ვეშაპიძე, მალხაზ ჩახნაშვილი, ნათია თურნავა და სხვები.

ინსტიტუტს გამოცემული აქვს შესაბამის კათედრებზე შედგენილი და სამეცნიერო საბჭოს მიერ დამტკიცებული ორიგინალური სასწავლო პროგრამები.

ინსტიტუტთან არსებული ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა აცხადებს მიღებას VII-XI კლასებში.

მისამართი: ქ. თბილისი, ბროსეს 8
(46-ე საშუალო სკოლის შენობა)
ტელეფონები: 99 96 88, 8 99 51 80 84.

რას გვიქადის "მატა ჰარი"

ნათია ვადაჭკორია

ორი დღის განმავლობაში - 3 და 4 ივნისს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში ქორეოგრაფიული სასწავლებლის მოსწავლეთა გამოსაშვები საღამო მიმდინარეობდა. მაყურებლის წინაშე გედების ცეკვით, ვარიაციებითა და საკონცერტო ნომრებით ბალეტებიდან: "დონ კიხოტი", "გედების ტბა" და სხვა საინტერესო ნომრებით, ზოგი თავდაჯერებულად და ღირსეულად წარდგა, ზოგი შედარებით ნაკლებად მომზადებული. საერთო ჯამში, მოსწავლეთა კონცერტის შემხედვარეს თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის ქორეოგრაფიული სასწავლებელი შემოქმედებითი თვალსაზრისით სათანადო დონეზეა და არც პედაგოგ-რეპეტიტორები იშურებენ ძალისხმევას, რათა მათი აღზრდილები პროფესიონალი მოცეკვავეები დადგნენ. 6 ივნისს კი თბილისის ოპერაში კიდევ ერთი პრემიერა გაიმართება. მაყურებელი ქორეოგრაფ თამაზ ვაშაკიძის მიერ დადგმულ ბალეტ - "მატა ჰარის" იხილავს. მთავარ პარტიას ოპერის სოლისტი ლალი კანდელაკი შეასრულებს. აღსანიშნავია, რომ "მატა ჰარი" აქამდე ჯერ არცერთ ქვეყანაში არ დადგმულა. თამაზ ვაშაკიძის დადგმა თანამედროვეა და მასში გარდა ოპერის სოლისტებისა, მსახიობები კახა ბაკურაძე და ნიკა თავაძეც მონაწილეობენ. როგორც კახა ბაკურაძემ აღნიშნა, მას სხვადასხვა ქვეყნის მრავალ სცენაზე უთამაშია, ოპერის სცენაზე კი პირველად მოხვდა. მასაც და ნიკა თავაძესაც ძალიან მოსწონთ ლალი კანდელაკის პარტნიორობა.

სპექტაკლის მუსიკა გოგი ძოძუაშვილს ეკუთვნის. მასში ედიტ პიაფისა და რახმანინოვის სიმღერებიცაა გამოყენებული. მოკლედ, სანახაობა მეტად საინტერესო უნდა იყოს. უფრო დაწვრილებით "მატა ჰარის" პრემიერისა და შთაბეჭდილებების შესახებ, შემდეგ ნომერში მოგითხრობთ.

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24

საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური"
გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:

- კლავიატურაზე ბეჭდვის ათვითეთანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოეწყობა სხვა კურსებიც.

მისამართი: დ.უზნაძის N70 ტელ:29-48-61
ვებ-გვერდი: WWW.mziuri.ge

საოჯახო ოტრ!
შეიძინეთ! გაერთეთ! მოიგეთ!
ფირმა "ფენიქსი"
გისურვებთ წარმატებას.
ყოველ შაბათს, რუსთავი 2-ის პირდაპირ ეთერში გაიმართება ტოტალიზატორ "საოჯახო ტოტოს" გათამაშება.

წამალი "სალხინო"

ქართული ფლორის საოცრება

თუ განუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.